„შემოტანა“, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და უცხოელი ინვესტორების სტიმულირების მსოფლიო პრაქტიკის შესწავლა და სხვა აქტუალური საკითხების კვლევა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება უცხოური ინვესტიციების და საერთოდ, საინვესტიციო საქმიანობაში არსებული პრობლემების დაძლევის გზაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ბოლო ათწლეულების მანძილზე საერთაშორისო ეკონომიკური ტრანზაქციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. იგი სულ უფრო მეტად იმსახურებს მკვლევარების, მეცნიერ-ეკონომისტების ყურადღებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ექსპორტის ახალი მიმართულება XX ს. 80-იანი წლების ბოლოდან გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც სწრაფი საბაზრო გარდაქმნების გზას დაადგნენ. მათ განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზნად თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია დაისახეს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული პოტენციური სარგებელი ინვესტიციების იმპორტიორი ქვეყნებისთვის ერთობ მრავალფეროვანია. ეს ინვესტიციები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტრანსფორმირებადი ეკონომიკისათვის¹ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. რადგანაც - **ჯერ ერთი** - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - ეს არის საწარმოო კაპიტალის დამატებითი წყარო - ერთობ დეფიციტური რესურსი პოსტსოციალისტურ ეკონომიკაში ღრმა სტრუქტურული რეფორმების პირობებში. ამ კონტექსტში უცხოური ინვესტიციები გამოდიან ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის როლში.

მეორე - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის გავრცელებული და განვითარებული ფორმაა და ამიტომაც ითვლება მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნულ ეკონომიკათა ინვესტიციის ერთ-ერთ ეფექტიან ხერხად, ფორმად. ინვესტიციები, როგორც წესი, ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდას, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ფორმირებისა და მრავალფეროვნების ზრდას. უცხოური ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეკონომიკის მსოფლიო ბაზრის გახსნილობაში, ჩართვასა და ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მესამე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ ტექნოლოგიების ტრანსფერტს, ნოუ-ჰაუს, მართვისა და მარკეტინგის მოწინავე მეთოდების ტრანსფორმაციას და ამით ხელს უწყობენ საწარმოო რესურსების გამოყენებას ეფექტიანობის ამაღლებას, როგორც მიმღები ქვეყნების ერთობლივ საწარმოებში, ასევე, ეროვნულ ფირმებში. პირდაპირი უცხოური ინვესტი-

ციები შეიძლება რეალიზდეს სხვადასხვა გზებით. პირველი გზაა საწარმოს ტექნოლოგიური კომპონენტების საბაზრო გზით შეძენა და ნოუ-ჰაუ (ლიცენზირებული შეთანხმება). ახალი საწარმოო ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის ტექნოლოგიების დიფუზია (შეთანხმებები საწარმოო კოოპერაციის, შეთანხმებები მენეჯმენტის შესახებ, კვალიფიციური სპეციალისტების მობილურობა უცხოურ და ეროვნულ კომპანიებს შორის) წარმოადგენს ტექნოლოგიური ტრანსფერტის კიდევ ერთ გზას. ტექნოლოგიების გაცემის დამატებითი არხია მათი იმიტაცია ან კოპირება (ახალი პროდუქტების კოპირება, რეკლამის შინაარსი და მეთოდები, უცხოური კომპანიების გასაღების ქსელის ორგანიზაციები). იყენებს რა თანამედროვე ტექნოლოგიების ტრანსფერტის სხვადასხვა არხს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკების პირობებში გამოდიან, როგორც მათი ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უფრო ეფექტიანი სამეურნეო-ეკონომიკური სისტემის თვალსაზრისით.

მეოთხე, ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ საბაზრო ეკონომიკის ახალი ინვესტიციური სტრუქტურების ჩამოყალიბებას, განამტკიცებენ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის საბაზრო სისტემაზე ორიენტირებულ სამეურნეო კავშირებს. ამ კონტექსტში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის ქმედითი ფაქტორები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკებში.

უცხოური ინვესტიციების გავლენა რეციფიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე ერთმნიშვნელოვანი მოვლენა არ არის. საერთაშორისო კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ ეროვნულ ბაზრებზე, შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ, როგორც მიმღები ეკონომიკის, ასევე ტრანსფორმირებული ეკონომიკის სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

ჩვენი მოსაზრებით, უცხოური ინვესტიციები თავისთავად არ არის მნიშვნელოვანი. მისი რაოდენობრივი სიდიდე საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ვიმსჯელოთ მის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკაში, მის მიმზიდველობაზე. საბოლოო ეკონომიკური შეფასება შეიძლება გაკეთდეს მისი სტრუქტურის, ეროვნული ეკონომიკის იმ დარგების განვითარების შეფასებით, სადაც ისინი უნდა განთავსდეს, ასევე მათი გამოყენების გავლენით მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების ხასიათისა და ბევრ სხვა ფაქტორზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით წინა პლანზე **წამოწეულია ორი პრობლემა**:

1) შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოყენება, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება და რაოდენობრივად და ხარისხობრივად დახასიათდება იმ მრავალი ფაქტორის მნიშვნელობა, რომელზედაც დამოკიდებულია, საბოლოო ჯამში, უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური შეფასება.

2) უცხოური ინვესტიციების მოდინების რეგული-

¹ კატეგორიები „ტრანსფორმაციული ეკონომიკა“ და „გარდამავალი ეკონომიკა“ პირველად გამოყენებულია დასავლეთის ეკონომისტების შრომებში, რომლებიც ეძღვნებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების პრობლემებს XX ს. 80-იან წლებში. გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ტერმინებს ფართოდ იყენებდნენ რუსულ და ქართულენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში.

რების მოქმედი ეკონომიკურ-სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მათ რაციონალურ სიდიდეს, სტრუქტურასა და გამოყენების მიმართულებებს.

შესწავლის დონე

უცხოური ინვესტიციების ანალიზი მეცნიერ-ეკონომისტების შრომებში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. გამოიყო რა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკური თეორია გამუდმებით ცდილობს გადაჭრას მთელი რიგი ფუნდამენტური პრობლემები. ერთ-ერთი მათგანია ინვესტორის საქმიანობა, რომელიც საკუთარ კაპიტალს აბანდებს უცხო ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში. ამ პრობლემის გადაჭრის შედარებით ცნობილი და პოპულარული მცდელობები წარმოდგენილია ს. ჰაიმერის შრომებში [29, გვ. 381-382]. აქ მოცემულია ცნების „სპეციფიკური უპირატესობების“ (firm-specific advantages) განმარტება, რომელიც უნდა გააჩნდეს ინვესტორს, რათა ეფექტიანად და წარმატებულად განახორციელოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არასრულყოფილი ბაზრის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ ქართული კომპანიები მსოფლიო კაპიტალუბის ბაზრებზე წარმატებით გამოვლენ ინვესტორების როლში, ს. ჰაიმერის შრომები განსაკუთრებულ აქტუალობას შეიძენენ.

ამ მიმართულებით საკმაოდ აღიარებულია ასევე, დ. დანინგის შრომები [23, 24, 25, 26], რომელშიც საუბარია საერთაშორისო წარმოების ეკლექტიკურ პარადიგმაზე (OLY პარადიგმა owner-chip-location-internationlistion). OLI პარადიგმის მეშვეობით შეიძლება აიხსნას, თუ რა პირობებში იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და როგორ არის ეს დაკავშირებული ინვესტორი ქვეყნის და კონკრეტული ფირმის ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

უცხოური ინვესტიციების პრობლემის კვლევას სულ უფრო მეტი ეკონომისტის შრომა აქვს მიძღვნილი [6, 9, 10, 15, 16, 28, 33, 48, 55 და სხვ.]. ამ შრომებში მოცემულია უცხოური ინვესტიციების განმარტება და კლასიფიკაცია, ფორმულირებულია საინვესტიციო კლიმატის ცნება და ახსნილია მისი შინაარსი, მოცემულია ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოზიდვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, მოცემულია ასეთი მოზიდვის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები: ეს პრობლემა სისტემატურად განიხილება ეკონომისტების პუბლიკაციებში. ამასთან, ამ პრობლემასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჯერჯერობით პასუხგაუცემელია ანდა არასათანადო დონეზეა შესწავლილი. კერძოდ, შემდგომ კვლევებს ექვემდებარება ისეთი საკითხები, როგორიცაა ურთიერთკავშირი სახელმწიფოს საბაჟო და სავალუტო პოლიტიკასა და უცხოელ ინვესტორებს შორის. გადახედვა-დაზუსტებას მოითხოვს უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. აუცილებელია საპროცენტო განაკვეთების დინამიკის ანალიზი საქართველოს საბანკო სისტემაში და მათი გავლენა საქართველოს კომერციული ბანკებისა და საბანკო სტრუქტურების ფინანსურ დავალიანებათა დინამიკაზე საგარეო ბაზრებზე.

მეთოდოლოგია

შრომაში „უცხოური ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“ მუშაობის პროცესში დავყვარდებით უცხოური ინვესტიციების რთული ფენომენის, მათი მოზიდვის და დაბანდების ცლკეული ასპექტების შესწავლის ფუნდამენტურ ნაშრომებს, მათ შესხებ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების პრაგმატული ხასიათის კვლევებს.

სტატიაზე მუშაობისას შევეცადეთ დაგვეცვა მეცნიერული შემეცნების პრინციპები, დებულებები და არსი; ლოგიკური, ეკონომიკური, სტატისტიკური და სისტემური ანალიზის მეთოდები.

ძირითადი ტექსტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსის ძირითადი ასპექტები

საყოველთაოდ მიღებულია, რომ უცხოური ინვესტიციები - არის კაპიტალის საზღვრის გარეთ დაბანდება საწარმოების ასაშენებლად ან უკვე არსებულის გასაფართოებლად, რაც განაპირობებს განსაზღვრული ხარისხით კონტროლს მათ მართვაზე. ამ განსაზღვრებაში მნიშვნელოვანია ოთხი მომენტი:

1. ინვესტიციების საწარმოო დანიშნულება;
2. უშუალო ზემოქმედება შექმნილი საწარმოს საქმიან აქტივობაზე - მმართველობითი კონტროლი;
3. საწარმოებში ახალი საშუალებების შეტანა, რომელშიც მონაწილეობს ინვესტორი;
4. ახალი საწარმოს რეორგანიზაცია, ან უკვე არსებულის გაფართოება, ანუ კაპიტალის რეციპიენტ-ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობის მიღება.

ასეთი ინვესტიციები არის პირდაპირი და ისინი „პორტფელის“ ინვესტიციებისგან განსხვავდებიან კონტროლის პირობებით. „პორტფელის“ ინვესტიციები ძირითადად დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების დაბანდებასთან, პროცენტებისა და დივიდენდების სახით შემოსავლების მიღებისა და მათი შემდგომი ზრდის მიზნით. „პორტფელის“ ინვესტიციების განმასხვავებელი ნიშანია აგრეთვე ისიც, რომ ინვესტორს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს საწარმოს საქმიანობაზე; მან შეიძინა აქტივები ფასიანი ქაღალდების ფორმით მოგების მოსაზიდად. ასეთი ინვესტორებისთვის არ არის აუცილებელი ახალი სიმძლავრეების შექმნა და კონტროლი მათ გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში, ინვესტორი ეყრდნობა რეალური აქტივების სხვის მიერ მართვას. როგორც წესი, ის მხოლოდ ყიდულობს არსებულ ფასიან ქაღალდებს (აქციები, ობლიგაციები), იღებს რა უფლებას მომავალ შემოსავლებზე.

ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმასხვავებელი ნიშანი არის:

- ა) საწარმოო მნიშვნელობა;
- ბ) გრძელვადიანობა;
- გ) ინვესტორის უზრუნველყოფა საწარმოზე მართვითი კონტროლის უფლებით.

ეს სამართლებრივი საფუძვლები და კონტროლის კრიტერიუმები ძირითადი კომპანიის ხელშია საწარმოს კენჭისყრით მიღებული აქციების სახით.

სამართლებრივი თვალთახედვიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები - ეს არის საზღვარგარეთის (კერძო ან სახელმწიფოს) საკუთრება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სტატუსი როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამართალში.

რეგულირების სამართლებრივი მექანიზმებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ელემენტებს შორის შეიძლება დავასახელოთ:

მისი იურიდიული ბაზა, არცთუ იშვიათად, სპეციალური კანონების ფორმით, შემოზიდვის რეგლამენტირებული წესრიგი და პირდაპირი ინვესტიციების ფორმირება, ხელისუფლების მხრიდან და ადგილობრივი პარტნიორების მხრიდან მათზე კონტროლი; ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციების შემოზიდვის პროცედურას მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე და თვალს ადევნებენ მათ ფუნქციონირებას; სავალუტო კონტროლი; გადასახადების დაბეგვრა; საზღვარგარეთელი ინვესტორის ანგარიშგების წესები; მათი დაცვის წესები; დავის გადაწყვეტის პროცედურა.

უცხოური ინვესტიციების განმარტება საშუალო კონვენციის მიხედვით

საერთაშორისო კონვენცია მრავალმხრივი სააგენტოს დაარსების შესახებ ინვესტიციების გარანტიებით (1985 წელი, სეულის კონვენცია), რომლის რატიფიკაცია საქართველოში 1992 წელს მოხდა [9. გვ.15-16]. მისი მიზანია გარანტიების გაცემა უცხოურ ინვესტიციებზე. მრავალმხრივი სააგენტო ინვესტიციების გარანტიებით კონვენციის 23-ე მუხლში მოყვანილია: „ინვესტიციები, რომლებიც არიან გარანტიის ქვეშ, მოიცავენ აქციონერულ მონაწილეობას, მათ შორის საშუალოვადიან და გრძელვადიან სესხებს, რომლებიც გადაეცემა დაინტერესებული სანარმოს აქციების მფლობელს ან ხდება მათი გარანტირება. ყოველივე ამას განსაზღვრავს დირექტორთა საბჭო“. ამ მხრივ, დირექტორთა საბჭო ითვალისწინებს ერთ პირობას: გარანტიების განაწილება შესაძლებელია მხოლოდ იმ სესხებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან იმ კონკრეტულ კაპიტალდაბანდებასთან, რომელიც მონონებულია სააგენტოს მიერ. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ნებისმიერი საზღვარგარეთის ვალუტა, არსებული კაპიტალდაბანდების (სანარმოს) გაფართოება და განვითარება.

გაცემს რა გარანტიებს, სააგენტო დარწმუნებულია კაპიტალდაბანდების ეკონომიკურ საფუძვლიანობაში და მის წვლილის შეტანაში მიმღები ქვეყნის განვითარებისთვის; კაპიტალდაბანდების შესაბამისობაში მიმღები ქვეყნის კანონებთან და წესებთან, მიზნებთან და პრიორიტეტებთან; მიმღებ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებისთვის პირობების არსებობაში, რაც მოიცავს სამართლიანი და თანაბარი მიდგომის არსებობას კაპიტალდაბანდებისადმი და მის სამართლებრივ დაცვაში.

კონვენციის ავტორები გამოდიან იქიდან, რომ უცხოური ინვესტიციების განმარტება უნდა მოიცავდეს ეკონომიკური თანამშრომლობის ვარიანტებისა და ფორმების შეუზღუდავი რიცხვის გამოყენების შესაძლებლობას. ეს მრავალმხრივი სააგენტოებს ინვე-

სტიციების გარანტიებით აძლევს შესაძლებლობას, მოახდინონ ინვესტიციების არატრადიციული ფორმების გარანტირება, მაგალითად, ხელშეკრულებითი, რომელიც ხელმძღვანელობს საშუალებების გრძელვადიანი წარმოდგენით და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობით.

უცხოური ინვესტიციების ცნება საერთაშორისო სამართალში

მრავალრიცხოვანი ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება ამ სფეროში წარმოდგება უცხოური ინვესტიციების ფართო ცნებიდან. მაგალითად, 1992 წელს აშშ-ში დადებული ხელშეკრულება კაპიტალდაბანდების ნახალისებასა და დაცვის შესახებ შეიცავს შემდეგ განმარტებას: „ინვესტიცია ნიშნავს ნებისმიერ კაპიტალდაბანდებას ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე, რომელიც მიეკუთვნება სხვა მხარის მოქალაქეებსა და კომპანიებს, ან ხდება მათ მიერ ისეთი საქმეების კონტროლირება, როგორიცაა კომპანიის საკუთრებაში მონაწილეობა, მოვალეობებზე უფლება, ხელშეკრულება მომსახურებისა და კაპიტალდაბანდების განხორციელების შესახებ, მაგრამ გამონაკლისია:

I. ყოველი სახის საკუთრება, რომელიც შეიცავს უძრავ და მოძრავ ქონებას, ხელშესახებ და ხელშეუხებელ ქონებას და, აგრეთვე, შესაბამის უფლებებს, როგორიცაა გირაოს უფლება;

II. კომპანიაში მონაწილეობის ნებისმიერი სახეობა, მათ შორის აქციები, მართვასა და ხელმძღვანელობაზე უფლებები, ან კომპანიის აქტივებში მონაწილეობა;

III. ფინანსური საშუალებების ან ვალდებულებების მოთხოვნის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური ღირებულება და დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებასთან;

IV. ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს უფლებებს:

- ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებზე, მათ შორის, ხმის ჩანერაზე;

- გამოგონებები ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში;

- ინტელექტუალური სქემების ტოპოლოგია;

- ნოუ-ჰაუ, სავაჭრო საიდუმლოებები და კონფიდენციალური კომერციული ინფორმაციები და, აგრეთვე,

- სავაჭრო ნიშნები, მომსახურებისა და საფირმო დასახელების ნიშნები.

V. ნებისმიერი უფლება, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებასთან, გაცემულია კანონით ან ხელშეკრულებით, აგრეთვე ძალაშია ნებისმიერი ლიცენზიითა და ნებართვით, რომელიც გამოცემულია კანონებთან შესაბამისობში“ [10. გვ. 427].

4. პირველ სამართლებრივ აქტებში უცხოური ინვესტიციები განისაზღვრება, როგორც მათი მონაწილეობა თანამედროვე სანარმოებში, რომლებიც იმ პერიოდში საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვის ერთადერთი შესაძლო ფორმა იყო. მაგალითად, თავდაპირველად საინვესტიციო კანონმდებლობით უცხოური ინვესტიციები განისაზღვრებოდა როგორც არარეზიდენტების

მიერ სხვა ქვეყნების სამეწარმეო საქმიანობაში კაპიტალის დაბანდება, უცხოელი ინვესტორის კუთვნილი სამოქალაქო უფლებების სახით, თუ ამგვარი ობიექტები არ არის აკრძალული ან არ არის შეზღუდული სახელმწიფო კანონმდებლობით. როგორც ჩანს, მოცემული განმარტება არ ითვალისწინებს ფორმულირებას, რომელიც შედის საერთაშორისო დოკუმენტებში, ნაწილობრივ, უცხოური ინვესტიციების ნახალისებისა და დაცვის ორმხრივ შეთანხმებაში.

გარდა ამისა, განმარტებაში გვხვდება სერიოზული უზუსტობა: მასში არაფერია ნათქვამი მოგების მიღების მიზნებზე. მეორე სერიოზული პრობლემაა გაურკვევლობა სესხებისა და კრედიტების შესახებ და აქედან გამომდინარე, არ არის ნათელი, ქვეყანაში რა შეიძლება იყოს ინვესტიცია და რა - არა. 1985 წელს შექმნილი სეულის კონვენცია ზუსტად არეგულირებს გრძელვადიან სესხებთან დაკავშირებულ პრობლემას. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში 1996 წლის 12 ნოემბერს დამტკიცებული კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ შეიცავს ცნებას „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ“. ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;

გ) მინით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება [9, გვ.91].

კონვენციაში მრავალმხრივი სააგენტოს ინვესტიციების გარანტიების შესახებ, პირდაპირი კაპიტალდაბანდების ცნება ემთხვევა იმ განსაზღვრებას, რომელიც მოგვცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა. პირდაპირი კაპიტალდაბანდება (ინვესტიცია) არის „კაპიტალდაბანდება, რომელიც ინარმოება საწარმოებში გრძელვადიან მონაწილეობაზე უფლებების შესყიდვით მიმღებ ქვეყანაში, რომლის დროსაც ინვესტორი ისწრაფვის მიიღოს რეალური გავლენა საწარმოს მართვაში“.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს დირექტორთა საბჭო პირდაპირ ინვესტიციებს განიხილავს, როგორც ინვესტიციის ახალ ფორმებს, როგორცაა ხელშეკრულება მართვის შესახებ, თანხმობა ფრანშიზზე (კომერციული კონცესია), ლიცენზირებულ შეთანხმებას, ხელშეკრულებას პროდუქციის გაყიდვის შესახებ, ხელშეკრულებას საფინანსო იჯარის შესახებ (ლიზინგი) და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, არ ექვევა ყურადღება იმას, კაპიტალდაბანდება ხდება ფულადი თუ არაფულადი

ფორმით, მაგალითად, მოწყობილობა-დანადგარების, მომსახურების ტექნიკური პროცესებით თუ ტექნოლოგიების წარმოდგენის გზით. სააგენტოს, დირექტორთა საბჭოს გადანყვეტილებით, შეუძლია გასცეს გარანტიები კაპიტალდაბანდების სხვა ფორმებით; გამონაკლისია „ის სესხები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კონკრეტულ გარანტირებულ კაპიტალდაბანდებთან“. შეძენილის 10%-ის მიკუთვნება პირდაპირ ინვესტიციებზე, როგორც ის მოცემულია საერთოდ უცხოური ინვესტიციების შესახებ მიღებულ კანონმდებლობაში, ყოველთვის არ იძლევა შესაძლებლობას მართვაში მონაწილეობის მისაღებად და კონტროლის განსახორციელებლად.

უცხოელი ინვესტორი

ცნებას „უცხოელი ინვესტორი“ უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობა შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის საზღვარგარეთული ორგანიზაცია, რომელიც არ გვევლინება იურიდიულ პირად და პირი მოქალაქეობის გარეშე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციები და საზღვარგარეთის სახელმწიფო.

საქართველოს კანონის - „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ მიხედვით:

1. უცხოელ ინვესტორად ან საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში.

2. უცხოელ ინვესტორად ითვლება:

ა) უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე;

ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ;

დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

3. საწარმო, რომელშიც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენს არანაკლებ 25%-ს, სარგებლობს იმავე უფლებებით, როგორც უცხოელი ინვესტორი.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან დაკავშირებით მუდმივად იზრდება იმ სუბიექტების რიცხვი, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას ისე, რომ არ შემოიფარგლებიან ერთი სახელმწიფოს საზღვრებით. პრაქტიკული თვალთახედვიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში საჭიროა დავადგინოთ, რომელ სახელმწიფოს მიეკუთვნება ესა თუ ის იურიდიული პირი ანუ განვსაზღვროთ მისი ეროვნულობა. პრაქტიკაში, იურიდიული პირის ეროვნულობის დადგენა ძნელია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი ინფორმირებულია ერთ ქვეყანაში, ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, ხოლო ძირითად საქმიანობას ახორციელებს მესამე ქვეყანაში და მის აქციონირებად გვევლინებიან სხვადასხვა ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები. თუ ზემოთ მოცემული კრიტერიუმები ერთმანეთს დაემთხვა, მაშინ სირთულე არ წარმოიქმნება.

ინვესტიციების მოზიდვა - ეკონომიკის ამოსავალი წერტილი

ინვესტიციებისთვის საჭიროა კაპიტალის დაგროვება და საკრედიტო რესურსები, მათი სტრატეგიული განვითარების უნარი. ამიტომ, როგორც ბიზნესი, ისე მთავრობა, ყველანაირად ცდილობს მოიძიოს როგორც ინვესტიციები, ასევე მათი გამოყენების რეცეპტები. მოთხოვნილება ინვესტიციებისადმი იზრდება. საინვესტიციო პროცესში განვითარებული პაუზა განაპირობებს არა მხოლოდ განვითარების ტემპების შენელებას. საწარმო-დანადგარებისა და მოწყობილობების ცვეთისას (საშუალოდ ის ქვეყანაში შეადგენს არა ნაკლებ 40%-ისა) წარმოების განახლების შეჩერება ემუქრება მთლიანად ეკონომიკის ზრდის ტენდენციას. ამიტომ, მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვა კი არ უნდა იყოს ამოსავალი წერტილი, არამედ უნდა მოხდეს დაგროვებული სიმდიდრის შენარჩუნებაც და მოზიდული უცხოური ინვესტიციების ეფექტიანი დაბანდება, განსაკუთრებით მწარმოებლურ დარგებში.

ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელია ახალი მაღალი ტექნოლოგიების დაფუძნება და ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ ტიპზე გადასვლა. ეს საკმაოდ რთული სამუშაოა, მაგრამ მისი განხორციელება აუცილებელია, თუ ქვეყანას უნდა, რომ მიაღწიოს რეგიონების დაბალანსებულ განვითარებას და დარგობრივ დივერსიფიკაციებს. ეკონომიკაში ინვესტიციების შემოსვლა საქართველოში უკვე 2000-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა, მასზე მოთხოვნილება მაინც განუზომლად მაღალია. საწარმოებს ჯერ კიდევ უჭირთ უცხოური ინვესტიციების თამამად მოზიდვა და გამოყენება, ვინაიდან ისინი ისევ თვითდაფინანსების მარნუხებში არიან მოქცეულები საბანკო კრედიტების სიძვირის გამო. სახელმწიფო, დიდი რაოდენობით საგარეო ვალების გამო, ვერ გამოდის საბიუჯეტო დეფიციტის მარყუჟიდან, არ გააჩნია არანაირი საკუთარი ფინანსური საშუალება, რათა აქტიურად ჩაერთოს საინვესტიციო პროცესში. ზოგადად, ქვეყანა განიცდის ტექნოლოგიების დანერგვისა და ახალი იდეების განხორციელების სიძნელეებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის თანამედროვე საინვესტიციო პოლიტიკა წარსულს აფასებს იმგვარად, რომ „ასე ცხოვრება არ შეიძლება!“ და ეძიებს პასუხს კითხვაზე „რა ვაკეთოთ მომავალში?“ ქვეყნის გამოცდილება, დაენიოს (არადა ეს სიტყვა თითქოსდა „მოძველდა“) სხვა განვითარებულ ქვეყანას, შეგვიძლია განვიხილოთ იაპონიის მაგალითზე. იაპონიაც ხომ დაენია სხვა განვითარებულ ქვეყნებს და ახლა ერთ-ერთ წამყვან სამრეწველო ქვეყნად იქცა. 50-60-იან წლებში იაპონიამ მიიღო დასავლეთის ტექნოლოგიები და ნოუ-ჰაუ ლიცენზიის ყიდვის საშუალებით. ის არ თაკილობდა აგრეთვე საწარმოო შპონაჟსაც. იაპონიაში ახალი ტექნოლოგიები შედიოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე. ამერიკაც დაენია ევროპას და ახლა ევროპა თავისი (სამრეწველო განვითარების მხრივ აშშ-ს უკან მოჰყვება. აღარაფერს ვამბობთ ჩინეთზე, რომელიც განვითარებული ქვეყნების რიგშია, უფრო მეტიც, უზარმაზარი ნახტომი გააკეთა ქვეყნის განვითარების ტემპებში. ინდოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზოგიერთი ქვეყანა აქტიურადაა ჩაბმული განვითარებულ ქვეყნებთან „დანების მოძებნაში“ [8. გვ.359].

დღეისთვის, მსოფლიო ბაზრის ინტეგრაციული პროცესების პირობებში, გაჩნდა შესაძლებლობა დავძლიოთ ჩვენი ჩამორჩენა სხვა ქვეყნის უცხოური კაპიტალის ხარჯზე. ამისთვის საჭიროა მოვიძიოთ მათი მოზიდვის გზები და გამოვიყენოთ ისინი ჩვენი ეროვნული ინტერესებისთვის. ამის შესრულება ძალიან რთულია, მაგრამ შესაძლებელი. ამისთვის, უნდა განისაზღვროს პოტენციური დონორის ინტერესები და მოხდეს მათი შეთავსება ეროვნული ეკონომიკის ინტერესებთან. ზოგჯერ ხდება ისიც, რომ უცხოურ კაპიტალს „თან მიმართება“ მოგება, რის გამოც ხდება თავისი ადგილობრივი პარტნიორების ინტერესების შელახვა. ეს, მართლაც, ასეა. მაგრამ ამის გარეშე ადგილობრივ მწარმოებლებს ექნებოდათ ნაკლები დაკვეთები, რაც შეწყვეტდა მათ შემოსავალსა და საქმიანობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კაპიტალის იმპორტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. მისი დაბანდება ხდება ეკონომიკის რეალურ სექტორში, რითაც იზრდება მისი საინვესტიციო კაპიტალი. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არა მხოლოდ განაპირობებს, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, საწარმოებში შემოაქვს ახალი ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და საბაზრო ტიპის მენეჯმენტის ახალი მეთოდები. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვეყანას ახალი ტექნოლოგიების ათვისებისთვის დროის მოგებისა და ეკონომიკური დეფორმაციების ტვირთის შემცირების საშუალებას აძლევს [42. გვ.42-63].

ძნელია შევაფასოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. საწარმოო ტრანსფორმაციასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოქმნიან მოთხოვნილებებს, რომელთა განხორციელებაც ხდება შემდეგ უკვე ადგილობრივი მწარმოებლების მიერ. შეკვეთების მიღების შემდეგ იწყება მათი გაფართოება, იზრდება სამუშაო ადგილები. ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თავის ირგვლივ ქმნის მოთხოვნილებების ჯანსაღ ზონას (რაც ეკონომიკური თეორიის ენაზე ნიშნავს მულტიპლიკატორის დადებით ეფექტს).

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აძლიერებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარებისთვის. ამავდროულად ხდება ანტიინფლაციური ძალების მოკრება. წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება შემოსავლებით, ვინაიდან ფართოვდება გადასახადების დაბეგვრის ბაზა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ უცხოური ვალუტის შემოდენას (ნაკადს).

უცხოური ინვესტიციები - ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის ფაქტორი, რომელიც იცავს მას არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკური კონფლიქტებისგანაც. როგორც ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი, ის

აძლიერებს საშუალო კლასის ფორმირების ტემპებს. საგულისხმოა, რომ ექსტრემიზმი ყველაზე ხშირად იქ ბუდობს, სადაც ეკონომიკას არ შეუძლია გადაჭრას დღევანდელი ცხოვრების უმარტივესი პრობლემები. ქვეყნის ჩამორჩენილი ეკონომიკა ხალხს პოლიტიკური სტაბილურობისთვის ბრძოლის ბიძგს აძლევს.

დღეისთვის ჩვენი ქვეყანა აქტიურად ეძებს საზღვარგარეთელ პარტნიორებს თავისი მსხვილი საინვესტიციო პროექტებისთვის. ბიზნესის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან სახელმწიფოს ეკონომიკური გაძლიერებით. შეიცვალა ბიზნესის წარმომადგენლების მოსაზრებაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებ: სახელმწიფო მუდმივად ცდილობდა შეემცირებინა თავისი როლი ეკონომიკაში, რომელიც ყველა დაავადების წამალია და ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. მაგრამ ეკონომიკური დერეგულაცია არ ნიშნავს ეკონომიკის მოდერნიზაციას. თავისუფალ ბაზარს ძნელად თუ შეუძლია განსაზღვროს საზოგადოების გასაჭირი. სახელმწიფოს სტრატეგიული გავლენა არ საჭიროებს ბიუროკრატიული სტრუქტურების ზრდას. აუცილებელია მხოლოდ კარგი სტრატეგია და მისი გატარების სწორი არჩევანი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკაზე სასარგებლო გავლენის გათვალისწინებით, ზოგიერთი მთავრობა ნადირობს ინვესტიციების ნაკადზე და შემოაქვს ის თავის ქვეყანაში. მათ კაპიტალის მსოფლიო ბაზრის რესურსების მოზიდვისა და თავიანთი ეროვნული პრობლემების გადაჭრის დიდი გამოცდილება აქვთ. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ინდოეთი და განსაკუთრებით ჩინეთი, რომელიც უკვე ორი ათწლეულის განმავლობაში იყენებდა ეკონომიკის განვითარების ამ ბერკეტს. ამ მიმართულებით ძალიან აქტიურად მიდიან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და ლათინური ამერიკა. ამ გზას დაადგნენ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები და აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგიერთი რეციპიენტი-ქვეყანა აღარ ელოდება ბედნიერ შემთხვევას, არამედ იმედოვნებენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თვითონ მივლენ ქვეყანაში და მთავრობა, როგორც შვეიცარი, მხოლოდ ეროვნული ბაზრის კარს გაუღებს მათ. სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ცდილობენ სტრატეგიულად იმოქმედონ. ისინი სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავენ ტრანსნაციონალური კომპანიის მოზიდვის მეთოდებს და წარმოადგენენ სტაბილურ საკანონმდებლო და ფინანსურ უზრუნველყოფას, აგრეთვე, სხვა სარგებელსაც, მათ შორის, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, მასტიმულირებელ მექანიზმებს, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საგადასახადო შეღავათებს, საბაჟო გადასახადების გამარტივებას, გარანტიებსა და მინის პირად საკუთრებაში გადაცემას.

სირთულეები საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში

დღემდე საქართველოს, პრაქტიკულად, სრულად არ გამოუყენებია ეკონომიკური პროგრესის შესაძლებლობები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

დახმარებით. საქართველოს ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სირთულე განისაზღვრება, როგორც მისი მიზერულობით მთლიან შიდა პროდუქტთან დამოკიდებულებაში (1-2%), ასევე იმით, რომ ინვესტიციების ნაკადი მიმართული არაა მოდერნიზაციის საჭიროების მქონე დარგებსა და რეგიონებში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი მიმართული იყო ენერგეტიკაში, ვაჭრობაში, გზების მშენებლობასა და სასტუმროების ქსელის გასაფართოებლად, ამასთან, თითქმის 70% კონცენტრირებული იყო თბილისსა და ბათუმში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში განვითარებული კრიზისული მდგომარეობა იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანას არ გააჩნია არანაირი შანსი წარმატებისკენ. შანსი, გახდეს მიმზიდველი ბაზარი საზღვარგარეთელი ინვესტირებისთვის, საქართველოს აქვს და ის დაკავშირებულია საქართველოსთვის ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებასთან: ევროპის სავაჭრო ბაზრის გადავსება ევროპის ტრანსნაციონალურ კომპანიას აიძულებს, მოიზიდოს ახალი ბაზრები თავისი საქონლის რეალიზაციისთვის. შედეგად, საზღვარგარეთული კომპანიების ინტერესი ჩვენი ქვეყნის ბაზრის მიმართ მომავალი ექსპანსიისთვის გარდაუვლად იზრდებოდა 2007-2015 წლებში. საქართველო ევროპის ბაზრიდან „გამოძევებული“ ინვესტორებისთვის კაპიტალდაბანდების საუკეთესო ადგილი ხდებოდა, ვინაიდან, ევროპის ბაზრები უკვე „დაკავებული“ იყო. საქართველო წრმოადგენდა და წარმოადგენს ევროპაში მიმზიდველ ბაზარს მდიდარი იაფი ნედლეულისა და რესურსის პოტენციალით და კვალიფიკაციური კადრებით.

უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის სტრატეგიულ განვითარებაში

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად არსებული შანსების გამოსაყენებლად საჭიროა გადაიხედოს საინვესტიციო სტრატეგიასა და პოლიტიკისადმი დამოკიდებულება. უნდა ვიმოქმედოთ ინვესტიციების მოზიდვის ეროვნული პროგრამის საფუძველზე, რომელიც სახელმწიფოსა და ბიზნესს ერთმანეთთან გააერთიანებს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გრძელვადიანი შემოსავლების გათვლა და ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თავისებურებების შესახებ სისტემური ცოდნის არსებობა. მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარება უზრუნველყოფს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების - მოზიდვას და ეფექტიან დაბანდებას. უცხოური ინვესტიციების სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დაგვიანებით შემუშავება აიხსნება მისი ეკონომიკური ლიბერალიზაციის კენ მისწრაფებით. ლოზუნგი - „სახელმწიფოს ეკონომიკიდან გამოსვლა“ - არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დამოკიდებულებაში. ჩვენი მხრიდან გულუბრყვილო იქნება იმაზე ფიქრი, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე უცხოური ინვესტიციები შექმნიან თავიანთ რეალურ ეკონომიკურ

სექტორს. გარდა ამისა, სახელმწიფოს შეუძლია დაიცვას ზოგადეროვნული ინტერესები საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვისას დარგებსა და ეკონომიკის სფეროებში. ეს მით უფრო შეუძლია ლიბერალურ მთავრობებსაც, მაგ.: აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში გვხვდება ბაზრის თვითგანვითარების საექსპორტო თეორიები. ეს მთავრობები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ატარებენ სტრატეგიული დარგების განვითარებისკენ მიმართულ პოლიტიკას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთულ „მოთამაშეებს“ არ აძლევენ სიტუაციის გაკონტროლების უფლებას. საზღვარგარეთ ეს ქვეყნები გავლენას ახდენენ რეპიციენტების მთავრობებზე, ხელს უწყობენ რა თავიანთი თანამემამულეების პროექტების განვითარებას [13. გვ.85-96].

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დახმარებით წარმატებით განვითარებული ქვეყნისადმი ახალი მიდგომა, დღევანდელი ექსპერიმენტატორებისთვის ერთგვარ მაგალითად იქცა. სხვადასხვა ქვეყანას საშუალება მიეცა აარჩიოს ასეთი გზების საუკეთესო ვარიანტები და ყურადღება გაამახვილოს ახალ დარგობრივ და რეგიონალურ პრიორიტეტებზე. აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც მუდმივად კორექტირდება მეურნეობის ყველა დონეზე და პრაგმატულად რეაგირებს კონიუნქტურულ ცვლილებებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკა ჯერ ისევ ღრმა ტრანსფორმაციის სტადიაზეა, პირდაპირი ინვესტიციების სივრცობრივ განაწილებაში ასევე თავს იჩენს დიდი ცვლილებები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სამ ფაქტორზე: **ჯერ ერთი**, გლობალური ეკონომიკის დაცემა მთლიანად ნეგატიურად აისახება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინებაზე და გადინებაზე, რომლის მთლიანად აღმოფხვრა მოკლე დროში შეუძლებელია. **მეორეც**, შეინიშნება გლობალური სავაჭრო პროტექციონიზმის ზრდის ტენდენცია, რაც გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბრუნვაზე მსოფლიოში. **მესამეც**, ვითარდება და ყალიბდება ეკონომიკური პოლიტიკის შეუთანხმებლობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, მწვავედ განვითარებული ქვეყნების კაპიტალის დაბრუნების პროცესი იკვეთება წარმოება უცხოური ინვესტიციების გამოყენებისათვის განვითარებად ქვეყნებში.

ზემოთ დასახელებული ფაქტორები არა მარტო ხელს არ უწყობს გლობალური ეკონომიკის ზრდას, არამედ სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საგარეო ვაჭრობის განვითარებას. უნდა განხორციელდეს ეფექტური ღონისძიებები აღნიშნულზე აქტიური რეაგირებისათვის. უცხოური კაპიტალის გამოყენებით მომუშავე სანარმოების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან ერთად საჭიროა აქტიური მონაწილეობის მიღება გლობალურ ეკონომიკურ მართვაში, აუცილებელია ეკონომიკურ გლობალიზაციასთან ადაპტირება, რაც შესაძლებელს გახდის იმ ფაქტს, რომ ეკონომიკურმა გლობალიზაციამ სულ უფრო ღრმად შეაღწიოს ყოველ ქვეყანასა და ყველა რეგიონში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არასწორი ორიენტირება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის არასწორი ორიენტირება არა მხოლოდ აგვაცდენს დასახულ მიზანს, არამედ დააზიანებს ქვეყანასაც. უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ არასწორ ორიენტირებაზე: [13. გვ.133-136].

1. მცდარია ჰიპოთეზა, თითქოსდა მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის ფორმირება სრულიად საკმარისი პირობაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აქტივაციისთვის. პრაქტიკა ადასტურებს, რომ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად;

2. არასწორია იმის მტკიცება, რომ პორტფელური ინვესტიციები ავტომატურად ტრანსფორმირდება პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში. სიტუაცია ამტკიცებს, რომ სინამდვილეში, პორტფელური ინვესტიციები ძირითადად ატარებენ სპეკულაციურ ხასიათს და არ ახდენენ რეალური ეკონომიკის სექტორის ტრანსფორმაციას;

3. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ სასარგებლოა, პირველ რიგში, მსხვილი საინვესტიციო პროექტების მოზიდვა. ტრანსნაციონალური კომპანიის სტრატეგიების შესწავლა ადასტურებს, რომ რეციპიენტი-ქვეყანა უნდა ორიენტირდეს საშუალო და მცირე ტრანს-ნაციონალური კომპანიების მოზიდვაზე. მისი შერჩევის კრიტერიუმია არა მათი სიდიდე, არამედ ის ტექნოლოგიები, რომლებიც შემოაქვთ ქვეყანაში;

4. ასევე, ალოგიკურია იმის მტკიცება, რომ ქვეყნის ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე მოახდინონ საქართველოს მრეწველობის დივერსიფიცირება. ფინანსური-სამრეწველო ჯგუფების მხრიდან სამრეწველო ტრანსფორმაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ალტერნატივა, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ უახლესი ტექნოლოგიები და ზრუნავენ არა სანარმოო ტრანსფორმაციაზე, არამედ საკუთრებაზე, მაღალი მოგების მიღებაზე;

5. მიუღებელია თეზისი იმის შესახებ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების სტრუქტურების ფორმირება, თავის მხრივ, ითვლება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიად. ნებისმიერი ინსტიტუციონალური სტრუქტურა, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფარგლებშიც, სარისკოა, რათა ბიუროკრატიული დაბრკოლების სახე არ მიიღოს;

6. კატეგორიულად ვენიანაღმდეგებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადების მოზიდვა შეიძლება სახელმწიფოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის შემუშავების გარეშეც. მათი გენერირება შეუძლია კერძო სექტორს გარდამავალი ეკონომიკის პირობებშიც კი. ეს ასე არ არის. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საჭიროა სპეციალური კანონები, რომლებიც მოახდენენ უცხოური ინვესტიციების გარანტირებულ დაცვასა და რეგულირებას. მოუმწიფებელ საბაზრო გარემოში

ეკონომიკურ ლიბერალიზმს არ შეუძლია მოახდინოს აუცილებელი ეფექტიანობისა და ქვეყნის საწარმოო სიმძლავრის გარანტირება;

7. ნაწილობრივ საჭიროებს დამატებით არგუმენტირებას მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვის საკითხი დგება მაშინ, როცა უცხოელი ინვესტორი თვითონ გამოავლენს კონკრეტულ ქვეყანაში კაპიტალის ჩადების ინტერესს. ასეთი მიდგომა გამოწვეულია ქვეყნების არამდგრადი პოლიტიკური სიტუაციებით და არ ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის ზრდას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალიზაციის კონტექსტში;

8. უარყოფითად ვაფასებთ იმის მტკიცებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოლიტიკის არსია მასტიმულირებელი მექანიზმების სისტემა, რომელსაც ქმნის ქვეყანა-რეციპიენტი ან რეგიონი-რეციპიენტი. მსგავსი წარმოდგენები საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა, ის არ ითვალისწინებს, რომ სტიმულების სისტემის გამოყენება მრავალთაგან მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრატეგიების რეალიზაციისთვის. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით არ უნდა გავითვალისწინოთ ის საკითხები, რომლებმაც დროის გამოცდას ვერ გაუძლეს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როგორც სამეურნეო პრაქტიკამ გვიჩვენა, უცხოური ინვესტორების მოზიდვის სფეროში ცდების ჩატარებისა და შეცდომების ანალიზის არასისტემური მეთოდი ნაკლებეფექტიანია. საჭიროა ახალი ნოუ-ჰაუს ძიებაში დაინტერესებული ბიზნესისა და პოლიტიკის მომსახურება, ზუსტი სტრატეგია. მთავარია ეკონომიკის მოდერნიზებისა და წინსვლის დასაბუთება და პრაქტიკულად დადასტურება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენების პარიანტები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასული ყოფილი პოსტ-სოციალისტური რესპუბლიკების წინაშე სამეურნეო სტრუქტურებისა და საწარმოების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის რთული ამოცანები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დადგა. მას შემდეგ გავიდა ათეული წელი, მაგრამ ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ ფორმირებული არ არის ეკონომიკის წინსვლის ეროვნული სტრატეგიები.

ჩვენი მოსაზრებით, ეს პრობლემა საქართველოს წინაშეც დგას. გამოვიყენებთ ცნობილ ფრაზას: „რატომ უნდა გამოვიგონო ველოსიპედი, როცა ის უკვე გამოგონილია“. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს რომ დავემსგავსოთ, აღარ ვამბობ დავენიოთ, აუცილებელია შევიძინოთ და გამოვიყენოთ ამ სახელმწიფოების მიერ გამოყენებული ტექნოლოგიები და ნოვაციები. რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლისთვის, უცხოური ინვესტიციების კუთხით, საჭიროა სწორი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

ეს არის პრობლემის გადაჭრის ერთი მხარე. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი - ახალი ნოვაციების და-

სანერგად, ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ფინანსური და მატერიალური, ასევე ინტელექტუალური რესურსები.

ფინანსური საშუალებების გარეშე შეუძლებელია გამოვიყენოთ ის ფიზიკური პოტენციალი, რომელიც გაგვაჩნია. სამწუხაროდ, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტის სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან, ყოფილი ნაკლებეფექტური სამეურნეო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა ქვეყანას მაღალი შემოსავლებით. რაც ნაკლებია ქვეყანაში ფინანსური რესურსები, მით უფრო ჭკვიანურად უნდა მოხდეს მისი განაწილება და უაზროდ არ გაიფლანგოს ის. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს რესურსები მაინც არ არის საკმარისი. მხოლოდ მათზე დაყრდნობით შეუძლებელია აღმოიფხვრას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენა. თუმცა, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები ჩვენ არ გველოდებიან, როდის დავენევიოთ, არამედ, ისინი მაღალი ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გამოყენებით აგრძელებენ წინსვლას. დრო კი მოითხოვს „სამრეწველო ნახტომებს“ საკუთარი რესურსების უკმარისობის დროს. ამ შემთხვევაში, საკუთარი ეროვნული პრობლემების გადაჭრა ხდება „უცხო“ საზღვარგარეთული კაპიტალით. ძველი იგავი იმის შესახებ, რომ საქმე უნდა გავაკეთოთ სხვისი ხელით, მოცემულ შემთხვევაში, ასე გაჟღერდება: „გააკეთე საქმე სხვისი კაპიტალით და სხვისი რესურსებით“ [28. გვ.112]. მაგრამ ამისთვის, საჭიროა მოვიძიოთ პირობები, რაც ორივე მხარის ინტერესებს ერთმანეთთან დააკავშირებს. უცხოური კაპიტალის გამოყენება უნდა განხორციელდეს ქვეყნისთვის სასარგებლო დარგებში. ამისთვის საჭიროა უცხოური კაპიტალის მოზიდვა ჩვენს ქვეყანაში და მისი დახმარებით განხორციელდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

აღსანიშნავია, რომ თვით ჩვენი ეროვნული ინტერესებიც საჭიროებს შესწავლას. ამასთან, რესურსების უცხოელი მფლობელების შესწავლაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უცხოური კაპიტალის ინტერესების ობიექტურად შეფასებისთვის აუცილებელია მისი ადგილის გამოკვლევა საკუთარი ქვეყნის მეურნეობასა და მსოფლიო ბაზარზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ქვეყნის პოზიციები და ფუნქციები სივრცეში განსაზღვრავს მისი ინტერესებისა და სტრატეგიების მიმართულებას. გასარკვევია, აგრეთვე, შეესაბამებიან თუ არა მათი ინტერესები და სტრატეგიები მიმდები ქვეყნის ინტერესებს. ამ ერთმანეთთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შესწავლილ უნდა იქნეს კაპიტალის მსოფლიო ბაზრის რეალიები და, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიო ბაზარში კაპიტალის ჩართვისა და კონკურენტუნარიანი ეროვნული დარგების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

ამრიგად, დღის წესრიგში დგება დასმული პრობლემების, განსაკუთრებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეცნიერული კვლევებისა და, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული თეორიების დასკვნების გაცნობის, მათი გამოყენების აუცილებლობის, ეკონომიკური შინაარსის, მათი

ეფექტიანობის, განხორციელების სწორი პოლიტიკისა და სტრატეგიის და საკანონმდებლო ბაზის შესწავლის საკითხები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი ეყრდნობოდნენ მხოლოდ ერთი ეკონომიკური სკოლის დასკვნებს. 80-90-იან წლებამდე სოციალისტური ქვეყნებიდან კაპიტალის გატანა განიხილებოდა, როგორც „პარაზიტიზმი კვადრატში“. აღნიშნავდნენ, რომ ეს პასუხობდა იმ ქვეყნის უკიდურესად მერკანტილურ ინტერესებს. რომელიც ახდენდა კაპიტალის ექსპორტირებას. ქვეყანა-რეციპიენტისთვის ექსპანსიის შედეგად ვითარდებოდა ცალმხრივი სპეციალიზაცია, მონოკულტურული ორიენტაცია და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე მზარდი დამოკიდებულება. მსგავსი შეხედულობები ასახავდა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების რეალურ ტენდენციებს XX საუკუნის დასაწყისში. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში მრავალი რამ შეიცვალა. გაჩნდა კაპიტალის გატანის ახალ მოტივაციები, მათი ორგანიზაციული ფორმები და სექტორული მიმართულებები; დღეისთვის, მსოფლიო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ მოვლენად იქცა სპეციალური პროგრამების ფორმირება. რაც განაპირობებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათ კეთილსაიმედო გავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველო გვიან დაადგა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზას, მაგრამ მას შეუძლია მიაღწიოს წარმატებებს, თუ გამოიყენებს სხვა ქვეყნების მიერ დაგროვებულ გამოცდილებებს, ცხადია, საკუთარი ინტერესების დაცვით.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში დაბანდების ფორმულა მარტივია: საუკეთესო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოძიების საჭიროება და აქედან ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით მათი ამორჩევა, რომლითაც შეიტანენ უახლეს საუკეთესო ტექნოლოგიებს. მათი დაბანდება ხელს შეუწყობს წარმოების გაფართოებასა და განვითარებას, შესაბამისად, მთლიანად ეკონომიკურ ზრდას; შემდეგ საჭიროა პოტენციური დონორების მოხიბვლა ადგილობრივი ბაზრის უპირატესობით და მიმზიდველობით. უცხოური კაპიტალის მოზიდვის შემდეგი ამოცანაა მისი განთავსება დარგებში, სექტორებსა და რეგიონებში ზემოთ დასახელებული პრიორიტეტების საფუძველზე. ყოველივე ამის განხორციელება საკმაოდ რთულია, მაგრამ საჭიროა მოქმედება, წინსვლა, თითოეული ნაბიჯის მოფიქრება. თუმცა, ამ გზაზე წარმატებით სიარულისთვის, უნდა გავთავისუფლდეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ირგვლივ შექმნილი მითებისა და ყოფითი ილუზიებისგან, თითქოსდა უცხოური ინვესტიციების შემოსვლა გამოიწვევს ადგილობრივი მენარმეების საინვესტიციო პოლიტიკის აქტივობის პარალიზებას, ან განაპირობებენ მის დეფორმაციას.

დღეისთვის საქართველოს ეკონომიკის ზრდისთვის გადაუდებელი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის საინვე-

სტიციო მექანიზმის ეფექტიანობის ამაღლება. მხოლოდ ეს უკანასკნელი დაეხმარება ქვეყანას დაგროვილი მწვავე პრობლემების გადაჭრაში და მისცემს ბიძგს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას. გასულ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ, შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურა, ხელახლა დამუშავდა და გადაიხედა მოსაზრებები საკუთრების შესახებ, შენელდა ინფლაციის ზრდის ტემპები. ახალმა მესაკუთრეებმა დიდი მატერიალური ზარალის გარეშე გადაიტანეს ცვლილებების შოკი, თანდათანობით მოხდა მათი ადაპტაცია საბაზრო გარემოსთან. დადგა დრო, ქვეყანა გათავისუფლდეს საბაზრო გარემოში ე.წ. 'გადარჩენის' მოდელისგან და გადავიდეს 'ბაზრის აყვავების' მოდელზე, რომელიც პერსპექტიული განვითარების უფრო სისხლსავსე და მედეგი გზაა. გამოიკვეთა ორი ბერკეტის არსებობის აუცილებლობა: უცხოური ინვესტიციების შემოტანა და ქვეყნის ეკონომიკის მართვის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

განვითარებული ქვეყნების საწარმოების აქტიურობა, განხორციელონ ინვესტიციები საზღვარგარეთ, სხვადასხვა ფორმით ვლინდება.

პირველ რიგში ეს არის ახალი საწარმოების შექმნა ან მოქმედი საწარმოების შექმნა.

კაპიტალის დაბანდების კიდევ ერთი ფორმაა საწარმოების შექმნა ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებით, ისე, რომ საგარეო ბაზარს მიეწოდოს ამ ნედლეულის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია.

მესამე ფორმა - იმ ქვეყნებში, სადაც ზდება საერთოდ ტექნიკის ექსპორტი (სამხედრო და სამოქალაქო), ამ ტექნიკისთვის ლოჯისტიკური და სერვისული სისტემების შექმნა, რაც აუცილებელი პირობაა ამ მდგრადი ბაზრის შესანარჩუნებლად. **მეოთხე ფორმა** - აქტივების ნაწილის ან მთლიანად ამ აქტივების შესყიდვა გაზგამანაწილებელ და ნავთობპროდუქტების გამანაწილებელ სისტემებში ქართული ენერგორესურსების იმპორტიორ ქვეყნებში. ქართული კაპიტალის ასეთი დაბანდება საზღვარგარეთ ამარტივებს, ასუსტებს ენერგომატარებელთა ტრანზიტორ ქვეყნებზე დამოკიდებულებას და ამაღლებს ენერგორესურსების მიწოდების საიმედოობას უცხოელი პარტნიორებისთვის. მეხუთე ფორმა - ეს არის ზოგიერთ ქვეყანაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობა კომერციულ საწყისებზე. მაგალითად გამოდგება ირანში ბუშერის ავტომური ელექტროსადგურის აშენება. დაბოლოს, მეექვსე ფორმა - ეს არის კაპიტალის მონაწილეობა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებაში უცხოეთში უცხოელ პარტნიორებთან ერთად, რაც დამახასიათებელია კოსმოსური დარგებისა და ავიაშენებლობისთვის, ასევე სხვა დარგებისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ძირითადი ხერხებით:

1. ტრადიციულად იქმნება უცხოური ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ფილიალები მთლიანად კონტროლდება მეთაური კომპანიის მიერ, არ არიან იურიდიული პირები, არა აქვთ საკუთარი ბალანსი და იყენებენ მეთაური კომპანიის ბალანსს, რაც პასუხისმგებელია

ფირმის ვალდებულებებზე. შვილობილი კომპანიები კი პირიქით, არიან იურიდიული პირები, დამოუკიდებელნი არიან საკუთარი ვალდებულებების მიმართ, აქვთ საკუთარი ბალანსი და თვითონვე განსაზღვრავენ ფირმის განვითარების მიმართულებებს;

2. საერთაშორისო შერწყმა და შთანთქმა (mergers and acquisitions - MBA);

3. სტრატეგიული პარტნიორობა (ალიანსები) (strategie alliances).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზისას რეციფიენტმა ქვეყანამ საჭიროა გაითვალისწინოს შემდეგი:

- ახალი საწარმოების შექმნა და ამით ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ზრდა;

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რომელიც უფრო თანამედროვე იქნება ამ ქვეყანაში არსებულთან შედარებით;

- შრომის მწარმოებლურობის ზრდა და ყველა სხვა საწარმოო რესურსების ეკონომია და შესაბამისად, მთელი ეკონომიკის რენტაბელობის ამაღლება;

- ბაზარზე ახალი პროდუქტების გამოჩენა, რომლებიც უფრო სრულად აკმაყოფილებს მომხმარებლის მაღალ მოთხოვნებს და ამით უზრუნველყოფს მათი ცხოვრებისეული სტანდარტების მაღალ დონეს;

- კონკურენტული გარემოს შექმნა სამამულო მწარმოებლებისთვის, რაც უმეტეს წილად დამახასიათებელია მაღალგანვითარებული ეკონომიკების მქონე ქვეყნებისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანი უცხოური ინვესტიციების სფეროში უნდა იყოს ჯერ ერთი, პირობების შექმნა მათი რაოდენობრივი ზრდისთვის, მეორეც, რაოდენობრივი ცვლილებები მათ საერთო სტრუქტურაში პირდაპირი ინვესტიციების ზრდის თვალსაზრისით. მესამეც, დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება იმ დარგების სასარგებლოდ, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნის პოსტინდუსტრიულ ეკონომიკას. და მეოთხეც, ქვეყნის რეგიონების საინვესტიციო მიზიდველობის გაძლიერება მის ტერიტორიაზე ამ ინვესტიციების შედარებით თანაბრად გასანაწილებლად. ეს მიზნები უნდა აისახოს ქვეყნის შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი მ., 2012. საინვესტიციო პოლიტიკა. თბ.: „უნივერსალი“. 376 გვ.;

2. გრეჰემი ე., 1999. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“. №1, გვ. 37-42;

3. ნასყიდა დარბუაშვილი. (2018). როცა უცხოურ ინვესტიციებს სახელმწიფოს დასაქცევად ვიყენებთ! *Business and Legislation*, 11(1), 5-6. Retrieved from <https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/9>

4. დარბუაშვილი ნ. (2001) საგადასახადო პოლიტიკა და ქვეყნის ინვესტიციური უსაფრთხოება. „ეკონომიკა“ №3-4, გვ. 84-86;

5. კვარაცხელია დ., 2007. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები, „სოციალური ეკონომიკა“, №2, გვ. 163;

6. სილაგაძე ლ. (2018) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (1996-2016) გვ. 180;

7. სიხარულიძე დ., 2012. უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე (ინგლისურ ენაზე), ეკონომიკა და ბიზნესი, № 6, თბილისი, გვ. 61-78;

8. ქოქიაური ლ., 2002. ინვესტიციის ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა. თბ.: თსუ. გვ. 538;

9. ქოქიაური ლ., ბერიაშვილი ლ., 2009. საინვესტიციო კანონმდებლობა. თბ.: თსუ. გვ. 15-16;

10. ქოქიაური ლ., 2010. საინვესტიციო საქმე. თბ.: სტუ. 1361 გვ.;

11. ქოქიაური ლ., 2016. ფინანსები (ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი) ტ. I წიგნი 1, თბ.: „კალმოსანი“. გვ.1122;

12. ქოქიაური ლ., 2016. ფინანსები (ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი) ტ. I წიგნი 2 თბ.: „კალმოსანი“. გვ. 972;

13. ქოქიაური ლ., უცხოური ინვესტიციები (2017) . თბ.: საფინანსო საინვესტიციო პოლიტიკისა და სტრატეგიის ფონდი. გვ. 887;

14. ქოქიაური ლ., 2025. საინვესტიციო საქმიანობა ტ. 1 ინვესტირების თეორიული საფუძვლები. გამომცემლობა „კალმოსანი“ 707 გვ.;

15. ჭარაია ვ., 2014. წნეხი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „ძლიერ ველზე“, ეკონომიკა და ბიზნესი, № 4, გვ. 109-122;

16. ხარხელაური ხ., 2013. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი;

17. ჯანჯღავა ქ., 2013. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე), სადისერტაციო ნაშრომი; ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი;

18. Ashoka Mody, (2007), Foreign Direct Investment and the World Economy, Publisher: „Routledge“, p. 608;

19. Assaf Razin and Efraim Sadka, (2007), Foreign Direct Investment: Analysis of Aggregate Flows, Publisher: „Princeton University Press“, p. 160;

20. Blomström M., A. Kokko, M. Zejan, (2000), Foreign Direct Investment: Firm and Host Country Strategies, Publisher: „Palgrave Macmillan“, p. 253;

21. Chaisse Julien (ed.), (2019), China's International Investment Strategy: Bilateral, Regional, and Global Law and Policy, Oxford University Press, 600 p.;

22. Cheng Bian, (2022), National Security Review of Foreign Investment: A Comparative Legal Analysis of China, the United States and the European Union, Routledge, 260 p.;

23. Dunning John H., (1993). Multinational Enterprises

and the Global Economy. Wokingham, Addison-Wesley. P. 435;

24. Dunning John H., (Ed.), (2000), Regions, Globalization, and the Knowledge-Based Economy, Publisher: "Oxford University Press", p. 520;

25. Dunning John H., and Rajneesh Narula (Eds.), (2003), Foreign Direct Investment and Governments: Catalysts for Economic Restructuring, Publisher: „Routledge“, p. 520;

26. Dunning John H., and Sarianna M. Lundan, (2008), Multinational Enterprises and the Global Economy, Second Edition, Publisher: „Edward Elgar Publishing“, p. 920;

27. Gitman L., Birman M. Jonk, H. Schmidt, Elements of Investments. Translation made by **L. Qoqiauri** (Second edition). 2012. p.745;

28. Fisher P., (2004) Attracting Foreign Direct Investment into Russia: 5 Steps Towards Success / aul Fisher. - M.: Nauka, 328 p;

29. Humer, Stephen H. 1960\ 1976 The International operations of national firms: study of direct foreign investment. Cambridge MA: MIT press. p.381-382;

30. Imad A. Moosa, (2002), Foreign Direct Investment: Theory, Evidence and Practice, Publisher: „Palgrave Macmillan“, p. 312;

31. Information Resources Management Association (IRM), (2020), Foreign Direct Investments: Concepts, Methodologies, Tools, and Applications, IGI Global, 2000 p.;

32. Jean-François Bélanger (ed.), (2020), Foreign Investment, Strategic Assets and National Security, Cambridge University Press, 350 p.;

33. Kojima K., (1978). Direct Foreign Investment: a Japanese Model of Multinational Business Operations. London; 320 p.;

34. Modern Investment Theory (5th Edition) by **Robert A. Haugen** (Paperback - Jun 8, 2000).

35. Peter J. Buckley (Ed.), (2009), Foreign Direct Investment, Six-Volume Set, Publisher: „SAGE Publications Ltd“, p. 1,728;

36. Qoqiauri L., 2001. About Attracting Foreign Investment to Georgia. Moscow, Magazine „Obshchestvo i ekonomika“, Vol.11-12. pp.267-273;

37. Qoqiauri L., 2009. Investment Projects: Theory, Analyze, Management. Tbilisi State University. p. 418;

38. Qoqiauri L., 2009. Modern Theories of Investment and Management (lecture course of masters). Tbilisi State University. p.260;

39. Qoqiauri L., 2009. Theoretical Genesis of Investments. Popular Sciences Edition. New York. 590 p.;

40. Qoqiauri L., 2012. Investment Management and Policy (Second Edition). Technical University of Georgia. p. 924;

41. Qoqiauri L., 2016. New Vision on Investment Genesis. International Journal of Latest Research in Science and Technology (IJLRST). Volume 5. Issue 2. p. 10-24;

42. Qoqiauri L., 2016. The Main Tendency of Investments in the Process of Reforms in Georgia. March. Black Sea. Volume 28, Issue 02. Baku. pp. 43-63;

43. Rudolf Dolzer and Christoph Schreuer, (2022), Principles of International Investment Law, Oxford University Press, 456 p;

44. Sornarajah M., (2021), The International Law on Foreign Investment, Cambridge University Press, 666 p;

45. Theodore H. Moran, Edward M. Graham, and Magnus Blomström (Eds.), (2005), Does Foreign Direct Investment Promote Development?, Publisher: „Institute for International Economics“, p. 450;

46. Бланк И. В. (2018), Инвестиции: Теория и практика, Москва, Издательство: Юрайт, 360 с.;

47. Игоница Л.Л., 2004. Инвестиции. М.: Экономистъ. с. 35-36;

48. Кадочников С. М. (2002) Прямые зарубежные инвестиции современной теории институциональной экономики и международной торговли. СПб. с. 128;

49. Колесников В. А. (2021), Мировая экономика и инвестиции: Глобальные тенденции, Санкт-Петербург, Издательство: Экономистъ, 380 с.;

50. Моисеев Н. Н. (2018), Мировая экономика и международные инвестиции, Санкт-Петербург, Издательство: Питер, 350 с.;

51. Плотников Н. С. (2019), Экономика и управление инвестициями: Учебник для вузов, Москва, Издательство: Экономика, 370 с.;

52. Поршнев А. А. (2016), Глобализация экономики и ее влияние на инвестиционную деятельность, Москва, Издательство: Экономика, 300 с.;

53. Фабоци Ф., 2000. Управление Инвестициями. Пер с англ. М.: ИНФРА-М. с. 10-25.

54. Финансы и инвестиций. Толковый словарь. М.: „Джон Уфйли энд Сфиз“. 1995. с.83.

55. Хозанович Э., 2011. Иностранные инвестиции. М.: КНОРУС. с. 44-45;

56. Шарп В., Александер Г., Бейли Дж., 1972. Инвестиции/Пер. с англ.-ого. СПб: Копирайт. 425-442.

საბადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის ზოგიერთი საკითხისათვის

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.03>

ანოტაცია

თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების საფინანსო მეთოდებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია საბიუჯეტო და საგადასახადო.

თანამედროვე სახელმწიფო, სახელმწიფო კაპიტალდამანდებლათა მოცულობის ზრდით ხელს უწყობს მოთხოვნის ამაღლებას, სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდას, ინვესტიციების გაფართოებას, კონიუნქტურის გამოცოცხლებას, ინფრასტრუქტურის დაფინანსებას. იგი ხელს უწყობს კერძო კომპანიების წარმოების ხარჯების შემცირებას, კაპიტალის ბრუნვის პროცესის დაჩქარებას და მათი მოგების ზრდას. სამხედრო მიზნებზე ასიგნებათა გამოყოფით სახელმწიფო მოთხოვნას აყენებს სამხედრო ტექნიკასა და შეიარაღებაზე, სამრეწველო მასალებზე, მოწყობილობებზე, ნედლეულზე, ამცირებს უმუშევართა რიცხოვნობას, აჩქარებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკაზე სამხედრო ხარჯების ზემოქმედება უკიდურესად წინააღმდეგობრივია. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება სოციალური პროგრამები.

საგადასახადო პროგნოზირება გულისხმობს გარკვეული დროითი პერიოდისათვის სახელმწიფო ან ადგილობრივ ან კონსოლიდირებულ ბიუჯეტში ეკონომიურად იმ მოცულობის დადგენას, რომლის გადახდა მოსალოდნელია კონკრეტული გადასახადის გადამხდელისაგან. გამომდინარე აქედან, საგადასახადო პროგნოზირებას გააჩნია ორი ასპექტი: ერთ მხრივ, იგი სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის პოზიციებიდან განსაზღვრავს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების მოცულობას, ხოლო მეორე მხრივ, ადგენს გადასახადის გადამხდელთა პოტენციურ შესაძლებლობებს და მათ მიერ ბიუჯეტში შესატანი გადასახადების სიდიდეს.

სახელმწიფო ხარჯების გამუდმებული ზრდით მაკროეკონომიკის პოლიტიკის ბერკეტების-გადა-



ბესარიონ ნაყოპია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>
besarionakopia@yahoo.com

სახადებისა და სახელმწიფო ხარჯების დახმარებით სახელმწიფო ეკონომიკის სტაბილიზირებას ცდილობს. ინფლაციის დაბალი დონით უფრო სრული დასაქმების მდგომარეობამდე მისი მაქსიმალური მიახლოებით. სახელმწიფო ხარჯების გამუდმებული ზრდის, მთლიან შიდა პროდუქტში მათი წილის მატების პირობებში საეჭვოა არსებობდეს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირების მტკიცე საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: ფისკალური მდგრადობა, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა, ეკონომიკური ციკლები, ეკონომიკური ზრდის საკითხები.

SOME ISSUES OF IMPROVING THE TAX-BUDGETARY SYSTEM

BESARION NAKOPIA

Professor at Tbilisi Humanitarian University
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>
besarionakopia@yahoo.com

SUMMARY

Among the financial methods of influence on modern state economic especially are spread budgetary and tax methods. The modern state, by increasing the volume of state capital investments, contributes to increasing demand, increasing the volume of industrial production, expanding investments, revitalizing the economy, and financing infrastructure. It assists private companies to reduce production expenses, accelerate capital turn process and raising of their profit. By allocating appropriations on the military targets, it places state demands on military technique and weaponry, industrial materials, equipment, raw materials, reduces numbers of unemployment, accelerates temps of economical raising. However, the impact of military spending on the country's economy is extremely contradictory. Social programs are financed from the state budget.

Tax forecast means to stablish the volume in state or local or in consolidate budget for some period, which payment is probable from the exact tax payer. Hence, tax forecast has two aspects: on the one hand, from the positions of state and local self-governing authorities it determines volume f the budgetary tax incomes, but, on the other hand, it determines the potential capabilities of taxpayers and the amount of taxes they must pay into the budget.

With constant raising of state expenses, with assisting of macroeconomic political leverage-payments and state expenses, it tries to stabilize state economics. With a lower level of inflation, it is closer to a state of full employment. With constant raising of state expenses, in raising of the whole share internal products, it is doubtful that there is solid base of reducing of state interruption in modern society economic and social life.

Keywords: fiscal sustainability, high technologies, innovations, growth of budget revenues, economic cycles, economic growth issues.



ძირითადი ტექსტი

შემოსავლების გადანაწილების სახელმწიფოებრივ მექანიზმში გადამწყვეტი როლი აკისრია საგადასახადო დაბეგვრას. სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების დაწესებით აწარმოებს ხაზინაში შემოსავლების მობილიზაციას, რათა ხელისუფლებამ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს. სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები, მათი განაწილება წყაროებისა და მიმართულებების შესაბამისად წარმოგვიდგება სახელმწიფო ბიუჯეტის სახით, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ფისკალური პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით აღწევს დასახულ მიზნებს. ფინანსური სისტემის მდგომარეობა ყოველთვის წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, მისი ეფექტიანობის მაჩვენებელს. სახელმწიფოს ღონისძიებათა კომპლექსს ფულადი რესურსების ფორმირებისა და განაწილების სრულყოფის მიმართულებით კონკრეტული სოციალური მიზნების მისაღწევად არის ფინანსური პოლიტიკა. ეკონომიკის გაუმჯობესებისადმი საერთო ტენდენციამ გამოიწვია სახელმწიფოსა და სახელმწიფო ფინანსების როლის ზრდა სოციალური ამოცანების გადაჭრაში. ბიუჯეტის ხარჯების ზრდით ქვეყანაში განხორციელდა ცხოვრების დონის, განათლების, ჯანდაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოების მხარდასაჭერი ღონისძიებები. ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა დამატებითი სახსრები, რომლებიც შემოდის ბიუჯეტში გადასახადების სახით. გადასახადები გამოხატავს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებას გარკვეული ზომით მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ფინანსების ფორმირებაში. გადასახადების ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია-აღამიანთა დაინტერესებაა ან დაინტერესების შეზღუდვა საქმიანობის ამა თუ იმ ფორმით. გარდა ამისა, გადასახადების მეშვეობით მხარდაჭერილია სამართლიანობის პრინციპი შემოსავლების განაწილებასა და გადანაწილებაში, ფორმირდება ფინანსური საშუალებები სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაჭრელად.

ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის საკითხები, საბიუჯეტო მონყოფის პრობლემების განხილვა და მისი განვითარების გზები გახდა უმნიშვნელოვანესი საკითხი შემოსავლების ზრდის განხილვისას.

გადასახადები ოდითგანვე ემსახურებოდა სახელმწიფოს ფულადი რესურსების ფორმირების ძირითად წყა-

როს და ამიტომ ეკონომისტთა ყურადღებას ყოველთვის იქცევდა გადასახადებით დაბეგვრის საკითხები. აქ მნიშვნელოვანია: სახელმწიფოში ყველანი უნდა მონაწილეობდნენ მთავრობის შენახვაში შემოსავლების შესაბამისად. ყოველი გადასახადი უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული ვადის, გადახდის წესის და თანხის მიხედვით; თითოეული გადასახადი უნდა იქნეს ამოღებული იმ ვადაში და იმ წესებით, რომლებიც მოსახერხებელია გადამხდელისათვის; თითოეული გადასახადი ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი აკრეფა მცირე დანახარჯებით. უფრო რთული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის დროს სახელმწიფო ზრდის გადასახადებს, მაგრამ, ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ გადასახადების ზრდა საწარმოს მოგებაზე განსაზღვრულ ფარგლებს მიღმა ამცირებს დასაბეგრ ბაზას და წარმოების მოცულობას.

დღეისათვის საბიუჯეტო პოლიტიკის თემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგანაც საქართველოს ეკონომიკა რთული პრობლემების წინაშე დგას. იმაზე, თუ როგორ განახორციელებს ხელისუფლება საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკას, დამოკიდებულია ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანისა და მთელი ქვეყნის ბედი. ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იმოძრაოს იმ მიმართულებით, რომ მიმდინარე დროისათვის მხოლოდ ის ხარჯები გასწიოს, რომლებიც დღეისათვისაა სასიცოცხლოდ აუცილებელი და ეს უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაციის გზით, არამიზნობრივი და არასაჭირო ხარჯების შემცირებითა და აღმოფხვრით.

სწორედ სტატიის მიზანსა და საკითხს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის გზების განხილვა და მოძიება მდგრადი ეკონომიკურად და მზარდი ეკონომიკის განვითარებისათვის. როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე მიმართულებაზე, რომლებიც დღეს ეკონომიკური ზრდის მთავარ როლს თამაშობს კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის სფეროში მიმდინარე ტენდენციები. მიზნები და ამოცანები სწორად უნდა განისაზღვროს, ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს თავისთავად სახელმწიფო ბიუჯეტი, რა ფუნქციები ხორციელდება ბიუჯეტის დახმარებით და რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეკონომიკურ ზრდასთან არის დაკავშირებული ინტელექტუალური განვითარების დაბალი შედეგები, რადგან იგი უარყოფითად მოქმედებს

წარმოების ზრდაზე და კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მოხსენებებში საერთოდ არ ფიგურირებს. არადა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში იგი საკმაოდ მაღალია. საკმაოდ დაბალია კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელიც, რაც ძირითადად გამოწვეული არის განვითარების დაბალი დონით, კონკურენტუნარიანი ბაზრების არარსებობით, სახელმწიფოს დაბალი ეფექტიანობით, თუმცა საქართველო ფლობს საკმაოდ დიდ პოტენციალს, რათა გადაიქცეს კონკურენტუნარიან ქვეყნად. თუ გადავხედავთ კონკურენტუნარიანობის პოლიტიკას, ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მაინც არსებობს მთელი რიგი გამოწვევები. კონკურენციის დაბალი დონე ძირითადად მონოპოლისტური კონკურენციით არის გამოწვეული. ასევე უნდა გამოვყოთ საბაზრო პრინციპების არასრულყოფილი დანერგვა, ადგილობრივი წარმოებისა და შემოსავლების დაბალი დონით. მსოფლიო პრაქტიკით ტექნოლოგიური სიმძლავრე, მსხვილ ბაზრებზე შესვლის უნარით, წარმოების დანახარჯებსა და ბაზრებზე ფასებს შორის სხვაობით და ქვეყნის ზრდის სტრატეგიის მართვის პოლიტიკური შესაძლებლობებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური სისტემის ძირითადი რგოლია. ეს განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელობით და შინაარსით ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. ბიუჯეტი აერთიანებს ძირითად ფინანსურ პარამეტრებს თავისი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი მხარეებით. აგრეთვე, დროის სხვადასხვა პერიოდებში ესაა ეკონომიკის სტაბილიზაცია და კრიზისიდან გამოყვანა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, ფულის მიმოქცევის სტაბილიზაციის დაგეგმვა და რეალიზაცია.

აქ მნიშვნელოვანია სტრატეგიული პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზაციის მეთოდების, გზების განსაზღვრა. რა თქმა უნდა, მათი განხორციელებისას ყოველთვის არსებობს თანმხლები ეფექტები, რომლებიც თავს იჩენს განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე. საუბარია ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებზე. ქვეყანაში გაუმჯობესდა სამეწარმეო სფერო, შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, რაც ძირითადად მოიცავდა ლიბერალური საგადასახადო კოდექსის შემოღებას, მაკონტროლებელი ორგანოების შემცირებას და შეზღუდვას. სწორედ ამ პოლიტიკის რეფორმების პირველ ეტაპზე გატარებამ განაპირობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციები, რომელთა დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ იყო მიმართული. ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის დიდი წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და 1.6-იანი კლებით ხასიათდებოდა, ხოლო ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის საშუალო ზრდის ტემპი კი 2,8% შეადგენდა. გაჩნდა განცდა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ხელი უნდა შეეწყო ახალი ცოდნის მიღებისა და ტექნოლოგიების დანერგვაში, რაც იქნებოდა ექსპორტის გაზრდის, დივერსიფიცირებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პირობა, რაც დაგეგმილი იყო

გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. ქვეყანაში ბოლო წლებში გაძლიერდა სამთავრობო უწყებები და გაიზარდა მათი გამჭვირვალობა, შედეგად გაუმჯობესდა ხარჯვის ხარისხი, გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები. მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფცია, არსებითმა საოპერაციო ბალანსმა სახელმწიფოს საშუალება მისცა გაეზარდა კაპიტალური ხარჯები. კიდევ უფრო გაძლიერდა ევროინტეგრაციის კურსი, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება. საქართველოს ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა აღნიშნული ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DGFTA) შეთანხმება. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით (DGFTA) გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DGFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის ეკონომიკასთან. DGFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, ხოლო მეოთხეს, ადამიანის თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი. შედეგად მივიღეთ ის, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა ძირითადად უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკით იყო განპირობებული. ბოლო წლებში ეკონომიკური აქტივობების ყველაზე სწრაფად მზარდ დარგებში მოხდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური აქტივობები, გართობა. მიუხედავად მზარდი დივერსიფიკაციისა, საქართველო რჩება ადგილობრივ სერვისებზე ორიენტირებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად, რაც ეკონომიკის 2/3 შეადგენს და თუ არ ჩავთვლით ტურიზმს, უმეტესწილად არაექსპორტირებად საქმიანობას მოიცავს. ასევე ცალკე საკითხად უნდა გამოვყოთ ეფექტიანობის საკითხი. თუ ვიმსჯელებთ ზოგადი პრინციპებით, ძირითადი ყურადღება წარმოების დონეზე არის გადატანილი. დიდი ყურადღება უნდა გავამახვილოთ ასევე თვითონ სახელმწიფოს ეფექტიანობაზე. ამ უკანასკნელის ძირითადი ეფენტიანობა განპირობებულია სახელმწიფოს საზოგადოებრივი საქონლით, რომელიც იზომება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხით. როგორ არის შესაძლებელი გაიზომოს სახელმწიფოს ეფექტიანობა? ამ კითხვაზე პასუხი მაინც მთლიან შიდა პროდუქტში უნდა ვეძიოთ, ოღონდ განსხვავება მდგომარეობს იმაში, საზომად სახელმწიფო მართვის სისტემაში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობა უნდა მივიჩნიოთ. თუ დავეყრდნობით ეკონომიკის სტრუქტურული განვითარების მოდელებს, მთავარი მაინც ზრდის დაგროვებისა და მოხმარების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა, ინვესტიციების სტრუქტურა არის. ეკონომიკური ზრდა ძირით

თადში მაინც ერთობლივი მოთხოვნით განისაზღვრება, რომელიც მოსახლეობის, სახელმწიფოს, კერძო ინვესტორებისა და ექსპორტიორების ხარჯებს მოიცავს. ძირითად როლს მაინც მოსახლეობის შემოსავლები თამაშობს, განსაკუთრებით კი ხელფასის წილი მშპ-ში. საქართველოში დაბალია არა მარტო დანაზოგების, დაგროვებისა და ინვესტიციების წილი მშპ-ში, არამედ სახელმწიფო მოხმარების წილი. კერძო მოხმარების თვალსაზრისით, შეინიშნება მაღალი დონე, რაც ძირითადად გამოწვეულია მაღალი რესურსმოხმარებით, ვიდრე მწარმოებლურობით. საქართველოში დანაზოგებისა და ინვესტიციების დიდი ნაწილი ხორციელდება გარე ფულადი რესურსების გადმოგზავნით. შედეგად ვიღებთ სურათს, რომ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით შიდა ინვესტიციების წილი მცირეა და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარედან მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე. აქ აღსანიშნავია ინვესტიციების გადასახადებისაგან განთავისუფლება ან მათი ნაწილობრივი შემცირება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ჩარჩოებში, რაც ხარჯების შემცირებას გამოიწვევს. გარდა ზემოაღნიშნული რამდენიმე მიმართულებისა, უნდა გამოვყოთ ეკონომიკური ზრდის უთანაბრობა, ზრდის დაბალი ხარისხი და განვითარების დაბალი ინდექსი. განსაკუთრებული როლი ენიჭება ინტელექტუალურ კაპიტალს. დღესდღეობით იგი წარმოადგენს ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს, რაც ძირითადად გამოწვეული არის განათლების მცირე დაფინანსებით, ტექნოლოგიური განვითარების დონის დაბალი ინდექსაციით, განსაკუთრებით ახალი ინფორმაციული, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მცირე მასშტაბით.

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის შემოთავაზებულია და მუშაობს ელექტრონული ბიუჯეტირების მოდელი, რომელმაც უნდა გადაჭრას შემდეგი პრობლემები:

1. ბიუჯეტირების სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კონკრეტული საპროგრამო სისტემის გამოყენებით, სახელმწიფოსათვის აუცილებელ დონეზე მისი სრულყოფით;

2. სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა დანახარჯისა და შემოსავლის გაკონტროლება.

3. მნიშვნელოვანია, თუ რა როლს ასრულებს ბიუჯეტი და გადასახადები სახელმწიფოში და როგორ შეიძლება გავლენის მოხდენა ეკონომიკის განვითარებასა და საერთოდ, ქვეყნის კეთილდღეობაზე ამ საკითხების რეგულირებითა და სრულყოფით.

საქართველოს საგადასახადო და საბიუჯეტო სისტემების ანალიზის შედეგად ირკვევა, თუ როგორ რეგულირდება საბიუჯეტო სისტემები ქვეყანაში და რა პრობლემები წარმოიქმნება ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის დროს; თუ რომელი ცალკეული გადასახადი აითვისება უკეთ ქვეყანაში და რომელი გადასახადების სრულყოფა შესაძლებელია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია საგადასახადო ადმინისტრირების უფრო ეფექტიანი ინსტრუმენტების და საგადასახადო შეღავათების სისტემის გამოყენება საგადასახადო ტვირთის სიმძიმის შესამცირებლად.

საბიუჯეტო დაგეგმვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია ხარჯების კლასიფიკაციისადმი ახლებური მიდგომა, რომელიც შეესაბამება IFRS (International Financial Reporting Standards);

ჩვენს მიერ საჯარო ხარჯების გამჭვირვალობის და ზოგადად საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შემოთავაზებულია საინფორმაციო ნაკადების ფორმირებისა და დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნას ელექტრონული ბიუჯეტირების პროგრამა (Oracle Hyperion Planning).

მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ფისკალური პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკის სფეროა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოებისა და სამეურნეო საქმიანობის ყველა დანარჩენი სუბიექტების ურთიერთქმედებასთან. ეს ურთიერთქმედება მიიღწევა სახელმწიფო დაკვეთების, გადასახადებით დაბეგვრისა და ტრანსფერტული გადახდების სისტემის მეშვეობით. ნებისმიერი მთავრობა ყოველთვის ატარებს გარკვეულ ფისკალურ პოლიტიკას იმისაგან დამოუკიდებლად, აცნობიერებს ის ამას თუ არა. რეალურად საკითხი მდგომარეობს იმაში, ეს პოლიტიკა კონსტრუქციული იქნება თუ გაუაზრებელი და არათანმიმდევრული. დიდ ადგილს იკავებს გადასახადებით დაბეგვრა მაკროეკონომიკის ფინანსურ რეგულირებაში. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საგადასახადო კანონმდებლობისა და გადასახადების აკრეფის პრაქტიკის სრულყოფაა. ფინანსურ ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციებიდან გამომდინარე, საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმში შეტანილი უნდა იქნეს გარკვეული ცვლილებები. გადამხდელთა ერთ ნაწილზე საგადასახადო მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებით და მეორე ნაწილზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სიმპატიებს არ ავლენს, უნდა გატარდეს გადასახადების გადიდების პოლიტიკა. ბიზნესში გაბედულად უნდა იქნეს გამოყენებული გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია. ეს იძლევა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას, თუმცა გამორიცხული არ არის ამან სტიმულირების სანაწილმდეგო ეფექტიც გამოიწვიოს.

იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს მართებულია თუ არა მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკა, აუცილებელია მისი შედეგების შეფასება. ყველაზე ხშირად ამ მიზნით გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა, რადგანაც ფისკალური პოლიტიკის გატარება თანდაყოლილია ბიუჯეტის დეფიციტისა თუ პროფიციტის ზრდით ან შემცირებით. ამ მაჩვენებლის მიხედვით მსჯელობა განხორციელებული დისკრეციული პოლიტიკის შესახებ საკმაოდ რთულია. ეს აიხსნება იმით, რომ, ერთის მხრივ, ბიუჯეტის ფაქტობრივი დეფიციტი თუ პროფიციტი შეიძლება იცვლებოდეს სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების მიზანმიმართული ცვლილებების შედეგად, ხოლო, მეორეს მხრივ, მათ სიდიდეზე შეიძლება გავლენას ახდენდეს ეროვნული პროდუქტის მოცულობის შემოსავლების

ცვლილება, რაც განპირობებულია ავტომატური სტაბილიზატორების არსებობით.

ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავს სხვადასხვა სახის გადასახადებითა და საგადასახადო განაკვეთებით მანიპულაციებს, გარდა ამისა, ტრანსფერტულ გადახდებსა და სხვა სახის სახელმწიფო ხარჯებს. ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპლექსური ინსტრუმენტი და ეფექტიანობის მაჩვენებელია სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც აერთიანებს გადასახადებსა და ხარჯებს ერთიან მექანიზმში.

საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი გადასახადებით დაბეგრის ცვლილებაა. მთავრობა ეკონომიკურ პირობებსა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების ეტაპზე დამოკიდებულებით ირჩევს საბიუჯეტო-საგადასახადო ზემოქმედების ფორმებს, რომლებიც იყოფა პირდაპირ და ირიბ ფორმებად. რეგულირების პირდაპირი ფორმა გულისხმობს ძირითადად საბიუჯეტო რეგულირების ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელთა შორისაა სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები ცალკეული საწარმოების, დარგებისა და რეგიონების მიმართ; მიზნობრივი კრედიტები, საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ინვესტიციები. სახელმწიფო შესყიდვები აყალიბებს ერთობლივი დანახარჯების და შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის ერთ-ერთ კომპონენტს. როგორც კერძო დანახარჯები, სახელმწიფო შესყიდვებიც ზრდის ერთობლივი დანახარჯების დონეს. სახელმწიფო შესყიდვების გარდა არსებობს სახელმწიფო ხარჯების კიდევ ერთი სახე, კერძოდ-ტრანსფერტული გადახდები. ის არ არის ჩართული მთლიან შიდა პროდუქტში, თუმცა, ის შედის და გაითვალისწინება პირად შემოსავალსა და განკარგავდ შემოსავალში. კერძო მოხმარების მოცულობა უფრო მეტად დამოკიდებულია არა ეროვნულ შემოსავალზე, არამედ განკარგავდ შემოსავალზე. ტრანსფერტული გადახდები ირიბად ახდენს გავლენას სამომხმარებლო მოთხოვნაზე, რითაც ზრდის შინამეურნეობების განკარგავდ შემოსავალს. ერთობლივ დანახარჯებზე უარყოფითი ზემოქმედების ინსტრუმენტი გადასახადები. განკარგავდი შემოსავლის შემცირება, თავის მხრივ, იწვევს არა მარტო სამომხმარებლო ხარჯების, არამედ დანაზოგების შემცირებასაც.

რეგულირების ირიბი ფორმა ეფუძნება საბიუჯეტო და საგადასახადო რეგულატორების კომბინაციას, რომლის დახმარებითაც სახელმწიფოს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მწარმოებელთა ფინანსურ შესაძლებლობებზე, გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზომებზე, ინვესტიციებზე, საწარმოთა დანახარჯებზე, ინფლაციურ პროცესებზე, ბიუჯეტის დეფიციტზე, სახელმწიფო ვალზე და სხვ. რეგულირების ირიბ ფორმებს შორის აღსანიშნავია გადასახადები და საგადასახადო შეღავათები, სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანები, სახელმწიფო სესხები და სხვ.

ფისკალური პოლიტიკა, როგორც ეკონომიკის ფინანსური რეგულირების საშუალება, ხორციელდება მძლავრი ბერკეტების დახმარებით - გადასახადებით დაბეგრითა და სახელმწიფო დანახარჯებით, ამასთან, დაკავშირებით ტარდება ორი ტიპის ფისკალური პოლი-

ტიკა: დისკრეციული და არადისკრეციული. დისკრეციული პოლიტიკაა სამთავრობო შესყიდვებით, გადასახადების განაკვეთებითა და ტრანსფერტული გადახდებით შეგნებულად მანიპულირება. დისკრეციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებს წარმოადგენს:

ა) საგადასახადო ამოღების მოცულობის ცვლილება;
ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე დასაქმების პროგრამების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს უმუშევართა უზრუნველყოფას სამუშაო ადგილებით;

გ) სოციალური პროგრამების რეალიზაცია, რომელიც მოიცავს შემწეობების გაცემას სიღატაკის, ინვალიდობის მიხედვით, ღარიბი ოჯახებისადმი დახმარებებს, განათლებაზე ხარჯებს.

საბიუჯეტო-საგადასახადო რეგულირების სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვანი დროითი ლაგის არსებობა. ჯერ **ერთი**, ის მოიცავს დროს, რომელიც გადის დაწყებული იმის გაცნობიერებიდან, რომ ქვეყანაში იწყება წარმოების ვარდნა ან ინფლაცია - აქ მნიშვნელოვანია სერიოზული ყურადღება მიექცეს ინფლაციის პირობებში ინფლაციის ტემპების შესაბამისად ხელფასების ინდექსაციას, სხვანაირად შეუძლებელია საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში შემოსულობის სტაბილიზაცია. კონკრეტული ქმედებების განხორციელების აუცილებლობის გაგებად; **მეორე** - დროით შუალედს ამ აუცილებლობის გაცნობიერებიდან ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების დამტკიცებამდე; **მესამე** - დროის პერიოდს მოცემული ღონისძიებების დამტკიცებიდან მათი რეალიზაციის შედეგად ეფექტების მიღებამდე.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებად გვევლინება ავტომატური სტაბილიზატორები; უმუშევრობაზე შემწეობები, სიღარიბის მიხედვით შემწეობები; პროგრესიული საშემოსავლო გადასახადი; ფერმერებისადმი სუბსიდიები, რომლებიც ზემოქმედებენ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაზე ან შემცირებაზე ეკონომიკის მდგომარეობაზე დამოკიდებულებით. ავტომატური სტაბილიზატორები მართულია წარმოების შესაძლო ვარდნისა და ინფლაციის უარყოფითი შედეგების დასაძლევად, მაგრამ პოლიტიკოსების მხრიდან რაიმე სახის კონკრეტული ზომების მიღების აუცილებლობის გარეშე. საგადასახადო სისტემისა და შემწეობების ავტომატური სტაბილურიზაცია, რომლებიც დაწესებულია პროცენტებში წინა გამომუშავების მიმართ, ამსუბუქებს ეკონომიკური რყევების სიმძიმეს, თუმცა მას არ ძალუძს სრულად მოახდინოს ეკონომიკის ციკლური განვითარების არასასურველი შედეგების კორექტირება. ავტომატურ სტაბილიზატორებს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, ირიბი გადასახადები (უპირველეს ყოვლის დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი), უმუშევრობაზე შემწეობა და სოციალური გასაცემლები.

ეკონომიკის ავტომატური სტაბილურობის ხარისხის ამაღლება ეწინააღმდეგება სხვა, ფისკალური პოლიტიკის უფრო გრძელვადიან მიზნებს-წარმოების ფაქტორების მიწოდების გაფართოებისადმი სტიმულების გამყარებას და ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, სტიმულები იწვე-

სტირებისადმი, სამეწარმეო რისკისადმი და შრომისადმი უფრო ძლიერი ფუნქციის შედარებით უფრო დამრეცი მრუდის პირობებში, რომლის მიღწევაც შესაძლებელია გადასახადებით დაბეგვრის ზღვრული განაკვეთების შემცირების გზით. მაგრამ ეს შემცირება თანდაყოლილია ციკლური ბიუჯეტის დეფიციტისა და პროფიციტის სიდიდეების შემცირებით და შესაბამისად, ეკონომიკის ავტომატური სტაბილურობის ხარისხის შემცირებითაც. ფისკალური პოლიტიკის მოკლევადიან და გრძელვადიან ეფექტებს შორის არჩევანი წარმოადგენს რთულ მაკრო-ეკონომიკურ პრობლემას როგორც ინდუსტრიულად განვითარებული, ისე გარდამავალი ეკონომიკისთვისაც. ავტომატური სტაბილიზატორები არ აღმოფხვრის წონასწორული მთლიანი ეროვნული პროდუქტის ციკლური რყევების მიზეზებს მისი პოტენციური დონის გარშემო, არამედ მხოლოდ ზღუდავს ამ რყევების ამპლიტუდას.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ძირითადი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ბიუჯეტის დახმარებით ფინანსდება უპირატესად ის საზოგადოებრივი საჭიროებები ან სახალხო მეურნეობის ის სფეროები, სადაც კერძო ინიციატივა არ მუშაობს ან მუშაობს ცუდად; აგრეთვე თუ საჭიროა საზოგადოების ცალკეული ფენების ან მთელი მოსახლეობის დაცვა, ერთდროულად გადასახადების, სესხების, ხარჯების განწევის მეშვეობით მთლიანად ეკონომიკაზე ხდება ზეგავლენის მოხდენა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციისაგან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისაგან, მოქმედი კოდექსისგან და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. გადასახადებით დაბეგვრისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულების დადგომიდან. თუ საქართველოს პარლამენტისა და ძალაში შესული საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი გადასახადებით დაბეგვრის ნორმები განსხვავდება ნორმებისაგან, რომელიც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობითაა დადგენილი, მიიღება საერთაშორისო შეთანხმების ნორმები.

აქვე აღსანიშნავია, თუ საგადასახადო განაკვეთი იცვლება მიმდინარე წელს, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია გამოთვალოს კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი და აწარმოოს მისი წინასწარი გადახდა, წინა საგადასახადო წლის გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის მიმართ მოქმედი საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით.

საწარმო განიხილება უცხოურ საწარმოდ, თუ ის არ არის ქართული საწარმო (ე.ი. არ არის ინკორპორირებული და არ გააჩნია საკუთარი მენეჯმენტი საქართველოში). უცხოური საწარმოები, როგორც წესი, საქართველოში იბეგრებიან მიღებულ შემოსავალზე ჩვენი ქვეყნის გადასახადებით, შემოსავლის აღნიშნული ქართული წყარო იბეგრება გადასახადით დაბეგვრის სტანდარტული სქემების გამოყენებით (ე. ი. ის, რომელიც გამოიყენება საქართველოს საწარმოების მიმართ, რაც წარმოადგენს დასაბეგრი შემოსავლის 15%-ს). თუ შემოსავალი მიღებულია საქართველოში უცხოური

საწარმოს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ექვემდებარება გამოქვითვად დაბეგვრას, თუ ის არ არის მიღებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით.

ამჟამად, საქართველო წარმოადგენს შეთანხმების მხარეს ორმაგი დაბეგვრის მიხედვით 30 ქვეყანასთან ერთად. შეღავათებით სარგებლობის წესი, რომლებიც შემოთავაზებულია ორმაგი დაბეგვრის მიხედვით შეთანხმებით, დგინდება მინისტრის ინსტრუქციით. ამ წესების თანახმად, საქართველოს რეზიდენტი, რომელიც უხდის არარეზიდენტს, ვალდებულია წარადგინოს საქართველოს საგადასახადო ორგანოებში განცხადების შესაბამისი ფორმა დასაკავებელი გადასახადის თავიდან აცილების ან შემცირებისათვის. განცხადების ფორმა წარმოდგენილი უნდა იყოს გადახდამდე ან გადახდიდან ექვსი თვის განმავლობაში. თუ განაცხადის ფორმა წარმოდგენილია მითითებული ექვსთვიანი პერიოდის შემდეგ, გამოიყენება ჯარიმა საქართველოს საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო. თუ გადასახადი დაკავებულ იქნა გადახდის დროს, არარეზიდენტმა შეიძლება მოითხოვოს ანაზღაურება განცხადების შესაბამისი ფორმის წარმოდგენით.

საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროები და ხარჯვითი ნაწილის მიმართულებებია:

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საბიუჯეტო უფლებამოსილება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, საქართველოს საკონსტიტუციო კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, მოქმედი კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების-აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტების საფუძველზე. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყოველი მონაწილე საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა იცავდეს შემდეგ პრინციპებს:

- ა) ყოვლისმომცველობას;
- ბ) გამჭვირვალობას;
- გ) ანგარიშვალდებულებას;
- დ) დამოუკიდებლობას;
- ე) ერთიანობას;
- ვ) უნივერსალურობას;
- ზ) კონსოლიდირებას.

საბიუჯეტო პროცესი საქართველოში საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია, საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობაა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარმოდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. საბიუჯეტო პროცესის სისტემა შედგება ოთხი პორტალისაგან.

1. საბიუჯეტო ორგანიზაციები (SU)-დანესებულებათა დანახარჯების დაგეგმვა, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;

2. საგადასახადო-საბიუჯეტო პროგნოზირების დეპარტამენტი (FFD) - სახელმწიფო შემოსავლების დაგეგმვა;

3. ვალების მართვის ელექტრონული სისტემა (eDMS) - საინვესტიციო პროექტებისა და სახელმწიფო შემოსავლების დაგეგმვა;

4. მენეჯმენტი (BUD) - კონფიგურაციითა და კლასიფიკატორებით მართვა, ნაშთების დაგეგმვა, სახელმწიფო ბიუჯეტის შენიშვნების და კონსოლიდირებული ვერსიის დამტკიცება. საქართველოს ელექტრონული საბიუჯეტო სისტემის ძირითადი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების, ხარჯების და ნაშთის დაგეგმვა და კორექტირება; სისტემა ახდენს ბიუჯეტის მომზადების პროცესის ავტომატიზირებას, უზრუნველყოფს მიმდინარე საბიუჯეტო წლის ასიგნებების მართვას; ამ სისტემის დანერგვის შედეგად შემცირდა შეცდომების დაშვების ალბათობა, რომელიც უკავშირდება ადამიანისეულ ფაქტორს ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

ამგვარად, ფისკალური პოლიტიკა, რომელიც ტარდება მთავრობის მიერ, უნდა პასუხობდეს საქართველოს საგადასახადო სისტემის აგების ძირითად პრინციპებს და უნდა ახდენდეს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებას. გარდა ამისა, საბიუჯეტო პოლიტიკის რეალიზაცია უნდა ითვალისწინებდეს გადსახადებით დაბეგვრის სახელმწიფო მართვის რამოდენიმე ფუნქციას: სახელმწიფო დანახარჯების ფინანსური, ე.ი. გადასახადების პირდაპირ ფუნქციას; სოციალური წონასწორობის შენარჩუნებას ცალკეული ჯგუფების შემოსავლებს შორის თანაფარდობის ცვლილების გზით, მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრის გზით; ეკონომიკის ინფლაციის საწინააღმდეგო, სექტორული, დარგობრივი და რეგიონული სახელმწიფო რეგულირებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო ბალანსის წონასწორობას. მის დასაბალანსებლად საჭიროა ექსპორტის გაფართოება და საგარეო ვალის შემცირება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განვერიანებით საქართველოს მიეცა შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზრებზე შედგათიანი პირობებით პროდუქციის ექსპორტირებისა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება. საჭიროა ასევე ექსპორტის დივერსიფიკაცია. ამ მიზნების განსახორციელებლად საჭიროა სწორი ფისკალური, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული ვერ განხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე, რომლის შემოძინებასაც თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. იმისთვის, რომ განხორციელდეს ინვესტიციების შემოძინება, საჭირო არის ინსტიტუციური წესრიგის არსებობა, პოლიტიკური სტაბილურობა. ეს არ უნდა გახდეს ეროვნული კაპიტალის დასუსტების საგანი. პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც, მისი გაძლიერების საშუალება, მათ შორის საბანკო სფეროში. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს მუდმივი კონტროლი კაპიტალის შემოსვლაზე,

რადგან იგი იმპორტის გაზრდისთვისაც შეიძლება იქნეს გამოყენებული, რაც თავის მხრივ, ნეგატიურ ასახვას პოვნებს საგადასახადო ბალანსზე. ამ უკანასკნელთან გარკვეული კავშირი აქვს სავალუტო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებას. ამისთვის საჭიროა თანმიმდევრული, მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკონომიკის გამოცოცხლების და მისი ზრდის ამალგებისკენ. ეფექტიანი სავალუტო სისტემის ფუნქციონირება საშუალებას მისცემს ქვეყნის საფინანსო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებას. ცალკე თემად უნდა გამოვყოთ ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც დაკავშირებულია კვალიფიციური კადრების არსებობასთან. აქ კი მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების შესაბამისი დონის ამაღლება. ფინანსური რესურსების ხარჯვაში ე.ი. შემოსავლების გადანაწილების პროცესში ყოველი არასწორი ქმედება საზიანოა სამეურნეო ცხოვრებისთვის. იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ მწირი საშემოსავლო ბაზა გააჩნია, ფისკალური პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესი სერიოზული ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ქვეყნის ცენტრალიზებული ფინანსური რესურსები უნდა განთავისუფლდეს ე. წ. ფონდწარმომქმნელი ინსტიტუციური ორგანიზაციებისგან. აუცილებელია დასახულ იქნეს სახელმწიფოს ფისკალური და საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების დამატებითი ღონისძიებები, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის მოულობის ზრდის, არამედ მშპ-ში მისი წილის გადიდების ტენდენციაც. ამასთან, საშემოსავლო ბაზის გაფართოება უნდა მოხდეს არა მარტო საკანონმდებლო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გააქტიურებით, არამედ სამეურნეო საქმიანობის ლეგალიზაციისთვის ეკონომიკური პირობების შექმნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სილაგაძე. ა., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, 2021 წელი;
2. Papava v. 2022. On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy, Eurasia Review, [https://www.eurasiaarciew.Com31032022-on-the-main-challeng-of-the-architechure-transformation-of-the-world-economy-oped](https://www.eurasiaarciew.Com31032022-on-the-main-challeng-of-the-architechure-transformation-of-the-world-economy-oped;);
3. კოვზანაძე ი., თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2022 წელი;
4. ნაყოფია ბ., საქართველოში ფისკალური პოლიტიკის პრობლემები და მათი სრულყოფის გზები. თბილისი. 2021 წელი;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2025). საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://nbg.gov.ge/>;
6. www.rs.ge - შემოსავლების სამსახური. (2025). www.rs.ge. <https://www.rs.ge/>;
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2024). www.mof.ge. <https://www.mof.ge/>;
8. საქართველოს პარლამენტი. (2019). [Parliament.ge](https://parliament.ge/). <https://parliament.ge/>.

ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია, როგორც ბიზნესის სტიმულირების აქტიური ინსტრუმენტი

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.04>**დეზდემონა მაღლაკელიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0000-3464-8153>
Dezdemonamaghlakelidze@atsu.edu.ge

ნათელა ვაშაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0001-3354-6777>
Natela.vashakidze@atsu.edu.ge

დიანა უგლავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი
ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორი
<https://orcid.org/0009-0000-5181-044X>
Diana.uglava@atsu.edu.ge

აბსტრაქტი

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნებს შორის კაპიტალის თავისუფალი გაადადგილება. პროცესი მიღწევადია ბიზნესსაქმიანობის მხოლოდ კარგად ინფორმირებული ბაზრის მეშვეობით. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითად მიზანს წარმოადგენდა სწორედ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და ფინანსური სახსრების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციული ბაზით შექმნა. საინფორმაციო სისტემაში განსაკუთრებით დიდია ფინანსური ანგარიშგების როლი. იგი საწარმოს ფინანსური საქმიანობის ამსახველი სურათია, რომლის სწორად აღქმაში გვეხმარება მმართველობის ანგარიშგება.

ნაშრომში ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია განხილულია, როგორც ბიზნესის სტიმულირების აქტიური ინსტრუმენტი. ასეთი მნიშვნელობა მან შეიძინა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, რომელმაც წარმოქმნა ვალდებულება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ევროსტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებლობაზე. საქართველოში ბიზნესის ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების გამჭვირვალობის ხარისხის ზრდა აყალიბებს საიმედო ინფორმაციულ რესურსს, რომელიც ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს საწარმოთა ბიზნესის მართვის ეფექტიანობის გაზრდას და მეორეს მხრივ, ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას და საბოლოოდ, ეკონომიკურ აღმავლობას.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება, აუდიტი, ინფორმაცია.

ACCOUNTING INFORMATION AS AN ACTIVE TOOL FOR STIMULATING BUSINESS

DESDEMONA MAGHLAKELIDZE

Associate Professor, Akaki Tsereteli
State University
<https://orcid.org/0009-0000-3464-8153>
Dezdemonamaghlakelidze@atsu.edu.ge

NATELA VASHAKIDZE

Associate Professor, Akaki Tsereteli
State University
<https://orcid.org/0009-0001-3354-6777>
Natela.vashakidze@atsu.edu.ge

DIANA UGLAVA

Akaki Tsereteli State University
Visiting Specialist, Doctor of Business
Administration
<https://orcid.org/0009-0000-5181-044X>
Diana.uglava@atsu.edu.ge

ABSTRACT

In the context of business globalization, one of the important factors for the world's economic development and poverty alleviation is the free movement of capital between countries. The process is achievable only through a well-informed business market. The main goal of accounting and reporting is precisely to create an information base on the development of international economic relations and the possibilities of rational use of financial resources. The role of financial reporting in the information system is particularly large. It is a picture of the financial activities of the enterprise, the correct perception of which is helped by management reporting.

The paper discusses accounting information as an active tool for stimulating business. It has acquired such importance after the Georgian government signed the Georgia-EU Association Agreement, which created an obligation to comply with European standards for accounting, reporting and auditing. Increasing the transparency of financial and governance re-

porting of businesses in Georgia creates a reliable information resource that, on the one hand, will contribute to increasing the efficiency of business management of enterprises and, on the other hand, to the development of the capital market in the country, access to financial resources and, ultimately, economic growth.

Keywords: Business, accounting, financial and management reporting, audit, information.



ძირითადი ტექსტი

საწარმოთა მმართველებს წარმოექმნებათ სხვადასხვა სახის რისკი და მოულოდნელობები, როგორცაა ფასების მკვეთრი ცვლილება, პროდუქციის გაყიდვის პრობლემა, ასევე შესაძლებელია წარმოექმნეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და გაყიდვასთან, სავალუტო და უძრავი ქონების ტრაზანქციებთან, დივიდენდებთან, რომლებსაც ლეზულობენ საწარმოებში ნილობრივი მონაწილეობიდან და ა.შ. აღნიშნულის გამო, მენეჯერმა რომ მიიღოს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება, იგი უნდა ფლობდეს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ეფექტიან სისტემას. ამ სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვა ასრულებს პრინციპულად სხვა ფუნქციას, რომელიც მრავალი მიზეზით არის გამოწვეული:

პირველი, ეს გამოწვეულია იმით, რომ საწარმოში სხვადასხვა მესაკუთრეა, რომელიც დაინტერესებულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგებით, რამდენადაც ამ საწარმოში მათ დაბანდებული აქვთ საკუთარი კაპიტალი.

მეორე, საწარმოს მენეჯერი ვალდებულია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც საწარმოს დამკვიდრებას კონკურენტულ გარემოში და ასევე მყარ ფინანსურ შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად სწავლობს ბაზრის კონიუქტურას, თვითონ გეგმავს საწარმოო საქმიანობას და მის შესაბამისად პოულობს მომწოდებლებსა და მყიდველებს, აწესებს პროდუქციის გასაყიდ ფასებს და ა.შ.

მესამე, ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროებისათვის საწარმოები უმეტეს შემთხვევაში იძულებული არიან ჩაებან კონკურენტულ ბრძოლაში არა მარტო გასაღების ბაზრებისათვის, არამედ კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებისა და პოტენციური ინვესტორების მოძიებისათვის.

აღნიშნულის შედეგად, საწარმოს, ერთის მხრივ, წარმოექმნება თავისდროული და სრული ინფორმაციის საჭიროება, რათა მიიღოს სწორი მმართველობითი გადაწყვეტილება ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის. მეორე მხრივ, საწარმომ სათანადო ინფორმაცია უნდა წარუდგინოს ინვესტორებსა და პოტენციურ ინვესტორებს. ამასთან ერთად აუცილებლობას იწარჩენებს ანგარიშგება სახელმწიფოს წინაშე გადასახადების სწორად გაანგარიშებისა და თავისდროულ გადახდაზე. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრული აღრიცხვა კარგავს უბრალო ანგარიშსწორებისა და სტატისტიკის ფუნქციებს და გარდაიქმნა ინფორმაციის შეგროვებისა, დამუშავებისა და გადაცემის ინსტრუმენტად დაინტერესებული მხარეებისათვის.

დღეისათვის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითად მიზანს წარმოადგენს შექმნას საერთაშო-

რისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა შესაძლებლობები. ამისათვის აღრიცხვაში გამოყენებულ უნდა იქნას ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საერთაშორისო კავშირების ეფექტური განვითარებისათვის. მაგრამ დასავლეთის ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის სისტემების ირგვლივ მკვლევართა ნაშრომებით და დღევანდელი გარკვეული გამოცდილებების გაზიარებით დგინდება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მიუხედავად ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში არსებული მსგავსებისა, მნიშვნელოვანი განსხვავებანიც არსებობს, რომელიც თავისთავად გარკვეულ შეფერხებებს უქმნის თავისუფალი კაპიტალის მიმოქცევას და სხვადასხვა პირობებში აყენებს ინვესტორებს. ქვეყნებს შორის განსხვავებათა გამომწვევი ფაქტორებია:

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები;
 - პოლიტიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;
 - განსხვავებანი საკანონმდებლო სისტემებში;
 - განათლების საერთო დონე ქვეყანაში და ა. შ.
- რაც შეეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებს, თავის მხრივ, განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები:
- ქვეყნის ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციის დონე;
 - კაპიტალის ბაზრის განვითარების დონე და ხასიათი;
 - ინფლაციის დონე;
 - საწარმოთა სტრუქტურა, სიდიდე და სხვა.

ყოველივე აღნიშნულის გამო ყველა ქვეყანას ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების საკუთარი მოდელი გააჩნია. ზოგიერთ ქვეყანაში აღრიცხული საკითხები რეგულირდება ცალკე გამოცემული სტანდარტებით (აშშ, ინგლისი), ზოგან სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული კანონებით (გერმანია, საფრანგეთი, ევროპის სხვა ქვეყნები), ხოლო ზოგ ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ კანონით და შესაბამისი დებულებებით (დსთ ქვეყნები, მონღოლეთი). „ამ კანონმდებლობების ჰარმონიზაციის კუთხით გარკვეული მცდელობები იქნა განხორციელებული ევროკავშირისა და აშშ-ის ქვეყნებში, რითაც უზრუნველყოფილია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრული მომზადება იმის მიუხედავად, თუ სად ფუნქციონირებს საწარმო“ [1, გვ. 34]. საქართველოს განვითარება მიმართულია ევროკავშირის წევრად აღიარებასთან. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას და ამოქმედებას. ქვეყანათა თავისებურებებს აერთიანებს ის, რომ ისინი უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საე-

რთაშორისო ნორმებს, სტანდარტებს.

საქართველოში ამჟამად შექმნილია ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების ეროვნული სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილება, აღნიშნულის დადასტურებაა 2016 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“ აღნიშნული კანონი არეგულირებს ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებისა და გამოქვეყნებისათვის საჭირო ძირითად საკითხებს. მიმდინარე მოვლენების და გარემოებების შესაბამისად ხდება ცვლილებების შეტანა კანონში მისი სრულყოფისათვის, კვლავ ძალაში რჩება ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები და მათი მოთხოვნები. ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვა იყოფა ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად.

ფინანსური აღრიცხვა საწარმოში მომხდარი ოპერაციების და მოვლენების ჩანერის, შეფასების და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. მომხმარებლებისათვის სააღრიცხვო ინფორმაციის მომზადებისას გამოიყენებს ორმაგი ჩანერის სისტემას, სავალდებულოა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების და ნორმების, ანგარიშგების პერიოდულობის, ობიექტურობის და სიზუსტის დაცვა. „ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემის საბოლოო შედეგს წარმოადგენს გადანაცვებილების მიღების პროცესში ყველაზე საიმედო აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბება“ [1, გვ. 8]. მმართველობითი აღრიცხვა მოიცავს ინფორმაციის ისეთ სახეს, რომლებიც განკუთვნილია საწარმოს ხელმძღვანელობისა და ცალკეულ განყოფილებებისათვის ანუ საწარმოს შიდა მომხმარებლებზეა ორიენტირებული. დამუშავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი, მიზანშეწონილი სისტემა, ნორმა, აქ შეზღუდვები არაა დაწესებული. ამიტომ ერთადერთი კრიტერიუმი ინფორმაციის ვარგისიანობაა, აუცილებელი არ არის აბსოლუტური სიზუსტე, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია ზუსტი მონაცემების გამოყენება. „ფინანსური აღრიცხვა წარმოადგენს მმართველობითი აღრიცხვის საფუძველს“ [1, გვ. 28]. მაგრამ აუცილებელია ავლენივით, რომ მმართველობითი აღრიცხვა იყენებს, როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ინფორმაციას. რომელიც აძლევს საწარმოს მენეჯერს შესაძლებლობას გადანაცვებილების მისაღებად. „მმართველობითი აღრიცხვა, როგორც ტერმინი, მოიცავს საწარმოს საქმიანობის ფართო სპექტრს. მაგალითად, ბიუჯეტის მომზადება საწარმოს აძლევს საშუალებას შეაფასოს მიმდინარე ან შემდეგი წლების ფინანსური შედეგები. ამასთანავე ეხმარება არსებული პროგნოზის შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებაში“ [1, გვ. 31].

მმართველობითი გადანაცვებილებისათვის საჭიროა სრული და დროული ინფორმაციის მიღება, რისთვისაც საჭიროა ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის კომპლექსურად გამოყენება. ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის გამიჯვნა კომერციული საიდუმლოებების დაცვის აუცილებლობით არის

გამოწვეული. ფინანსური ანგარიშგების მომზადება აუცილებელია ინვესტორებსათვის ფუნდამენტური გადანაცვებილების მისაღებად. ბუღალტრებს შეუძლიათ ფინანსური ანგარიშგების მომზადებით დაეხმარონ „ბიზნესის მფლობელებს საწარმოს ფინანსური ინდიკატორების შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის წარდგენით“ [1, გვ. 51]. სწორედ ამიტომ, საერთო მიზანი ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების არის თითოეული მისი კომპონენტის ინფორმაციის გაცნობა, რომელიც სასარგებლოა ფინანსური გადანაცვებილების მისაღებად. „დღეისათვის, დასავლეთის კომპანიებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად, აუცილებელია არსებობდეს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საჯარო და გამჭვირვალეა ყველასთვის და არა მხოლოდ რომელიმე ორი ან მეტი ბიზნეს-პარტნიორისთვის“ [2, გვ. 23].

ჩვენი ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა გასაჯაროებული ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით 2020 წლიდან დაიწყო წარმოდგენილი ანგარიშგებების შინაარსობრივი შესწავლა და განხილვა მათი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. „ამ პროცესში 2023 წელს განხორციელდა 51 ანგარიშგების დეტალური შემოწმება ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, საიდანაც 30 სუბიექტთან გაიგზავნა საბოლოო სარეკომენდაციო წერილი, 7 სუბიექტთან არ გამოვლინდა ფასს სტანდარტებთან შეუსაბამობა, ხოლო დანარჩენ 14 კომპანიასთან შემოწმება განხილვის პროცესშია, ბუნებრივია, სამსახური მომდევნო წლებში აღნიშნული მაჩვენებლის ზრდას გეგმავს.“¹

ბუღალტრულ აღრიცხვაში ფინანსური ანგარიშგება წარმოგვიდგება ინსტრუმენტად, რომლითაც ბუღალტრები საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ანგარიშს ამზადებენ და აქვეყნებენ. „საწარმო, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას აქვეყნებს დიდი ალბათობით საიმედოა“ [2, გვ. 23]. უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონის მიხედვით ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს აუდიტორის მოსაზრება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე, რაც ზრდის მათ სანდოობის ხარისხს.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს და ბასს) საწარმოებს ავალდებუებს გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას თან დაურთონ წერილობითი განმარტებები და გაანგარიშებები, რასაც მმართველობითი ანგარიშგება ეწოდება. იგი მოიცავს ა) საქმიანობის მიმოხილვას, ბ) კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას და გ) არაფინანსურ ანგარიშგებას. „მმართველობის ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ერთიან კონტექსტში ქმნის და დაინტერესებულ პირებს მრავალმხრივ ინფორმაციას აწვდის სუბიექტის შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიცავს ხელმძღვანელი პირების ხედვას, არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა (დადებითი და უარყოფითი გარემოებებით), არამედ იმასაც, თუ რატომ მოხდა და რა შესაძლოა

1 <https://surl.li/lxojxj>

გავლენა ექნება მომხდარს სუბიექტის სამომავლო საქმიანობაზე, ასევე ინფორმაციას კორპორაციული მდგრადობის საკითხების, კერძოდ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ფაქტორების ზემოქმედების შესახებ”[3. გვ. 5].

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS) მდგრადობის ანგარიშების ევროპულ სტანდარტებს აქვეყნებს, რომელიც შემუშავებულია ევროპის ფინანსური ანგარიშგების მრჩეველთა ჯგუფის (EFRAG) მიერ და და სამოქმედოდ დაინერგა ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში 2023 წლის 31 ივლისს. სტანდარტების მიზანია გაზარდოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საწარმოთა მდგრადი განვითარების პროცესში. ქართულ ენაზე თარგმნილია 12 სტანდარტი, რომელთაგან 2 საერთო ESRS 1 და ESRS 2 სტანდარტი, ეხება ანგარიშგების მომზადების ზოგად პრინციპებს, ხოლო 10 თემატური სტანდარტი ეხება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს. აღნიშნული სტანდარტების დანერგვის პროცესი ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს საწარმოთა მდგრადი განვითარების მიმართულებით, როგორც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ასევე გააძლიერებს ბიზნეს სექტორში გამჭვირვალობას. აღნიშნულის გამო, საქართველოში შესაბამისი სტანდარტების გამოყენებით საწარმოებისათვის კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების მომზადება ამოქმედდება 2027 წელს, 2026 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში.

ამრიგად, მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ უნდა იქნას არსებითი ინფორმაცია, რომელიც გავლენას მოახდენს გარე მომხმარებლის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე, როგორებიცაა: მისცეს სესხი, დააბანდოს

ინვესტიცია და ა.შ. ინფორმაციის წარდგენა განზოგადებული სახით უნდა მოხდეს კონფიდენციალური ანუ კომერციული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გარეშე. საწარმოთა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი ფაქტორია დაინტერესებული მხარეების მათ მიმართ ნდობის ფაქტორის ხარისხის ამაღლებაში. ბუღალტრული აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ აუცილებელი და მონესრიგებული ინფორმაციის მიღება და ასევე შეუძლებელია კაპიტალის ბაზრის არსებობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბაური ლ., კვატაშიძენ. შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, თბილისი, 2020 წ.;
2. ჭილაძე ი., მაისურაძე მ. ვარდიაშვილი და სხვები, ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში, თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2019 წ.;
3. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2024). Retrieved from Saras.gov.ge website: <https://saras.gov.ge/ka/News/Detail/2724>
4. მმართველობის ანგარიშგება, განახლებული გამოცემა, 09.10.2024, <https://www.saras.gov.ge/Content/files/pdf>;
5. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2024). Retrieved from Saras.gov.ge website: <https://saras.gov.ge/>.

შემოქმედებითი სტრატეგიები, როგორც სასტუმროს კონკურენტუნარიანობის მოპოვების ეფექტური შესაძლებლობა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.05>

ანოტაცია

სტატიაში განხილულია რამდენად მნიშვნელოვანია სასტუმროებისთვის შემოქმედებითი სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა სამომხმარებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ხაზგასმულია მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკის დანერგვის მნიშვნელობა; დასაბუთებულია შემოქმედებით სტრატეგიებსა და მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვას შორის კავშირის აუცილებლობა.

კვლევის შედეგების საფუძველზე გაანალიზებულია სასტუმროს მომსახურების მომხმარებელთა დამოკიდებულების შეფასება შემოქმედებითი სტრატეგიების, კულტურული ელემენტების და ზოგადად, მიღებული უნიკალური გამოცდილებისადმი. გაცემულია რეკომენდაციები შემოქმედებითი სერვისის შექმნის მსურველი ხელმძღვანელებისთვის.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემოქმედებითი სერვისის შექმნის მსურველ სასტუმროს მენეჯერებს შეუძლიათ ინიციატივა დასაქმებულთა საშემსრულებლო უნარების განვითარებისკენ მიმართონ. ეს ხელს შეუწყობს მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკის დანერგვას, რაც სასტუმროს ოპერაციულ ეფექტურობაზე ახდენს გავლენას, მათ შორის, სერვისის ხარისხზე, ინოვაციურობაზე, ფინანსურ საკითხებსა და კონკურენტულ უპირატესობაზე.



ელისო გველესიანი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
<https://orcid.org/0009-0003-2417-8516>
E-mail: eliso.gvelesiani@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო ინდუსტრია, კონკურენტული უპირატესობა, ადამიანური რესურსები, შემოქმედებითი სტრატეგიები.

CREATIVE STRATEGIES AS AN EFFECTIVE MEANS OF GAINING HOTEL COMPETITIVENESS

ELISO GVELESIANI

Academic Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
<https://orcid.org/0009-0003-2417-8516>
E-mail: eliso.gvelesiani@atsu.edu.ge

ABSTRACT

Given article discusses the issue of importance of developing creative strategies and their implementing in the consumer market in order to increase the competitiveness of the hotels; To improve service quality, the importance of implementing highly effective human resource practices is emphasized; The necessity of the links between creative strategies and highly effective human resource management is substantiated.

Based on the research results, the assessment of the attitude of hotel service users towards creative strategies, cultural elements and, in general, the unique experience received is analyzed. Recommendations for managers wishing to develop a creative service are issued.

Pursuant to the research results, hotel managers who want to create a creative service can direct investments towards developing the performance skills of their employees. This will facilitate implementation of highly effective human resource practices, which have an impact on the operational efficiency of the hotel, including service quality, innovation, financial performance, and competitive advantages.

Keywords: Hotel industry, competitive advantage, human resources, creative strategies.

შესავალი

შემოქმედებითი სტრატეგიის შემუშავება სასტუმროებისთვის სამომხმარებლო ბაზარზე თავის წარმოჩენისა და კონკურენტუნარიანობის მოპოვების ეფექტური გზაა. სერვისებში შემოქმედებითი ელემენტების დანერგვა ეხმარება სასტუმროებს მომხმარებლისთვის უნიკალური შთაბეჭდილების შექმნაში, რაც სულიერი საზრდოს მაძიებელ ტურისტებს მეტად იზიდავს. მსგავსი გამოცდილება უცხოელ მოგზაურებს ადგილობრივი კულტურის უკეთ გაცნობის შესაძლებლობას აძლევს.

მომხმარებლების ტურისტული ინტერესის დასაკმაყოფილებლად სასტუმროები ადგილობრივი კულტურის ადაპტირებასა და მომსახურების პრაქტიკაში ინტეგრირებას ცდილობენ. ისინი იყენებენ ბუნების, ხელოვნების, წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების სხვადასხვა ელემენტებს. თუმცა, ყველა სასტუმრო ვერ ახერხებს მომხმარებლისთვის მიმზიდველი შემოქმედებითი მომსახურების შექმნას. მთავარი დაბრკოლება სერვისისა და აქტივობების დაგეგმვისას წარუმატებლობის მაღალი რისკის არსებობა და დიდი დანახარჯებია. ხელმძღვანელებს, რომლებსაც მომსახურებაში შემოქმედებითი ელემენტების დანერგვის სურვილი აქვთ, შეუძლიათ ინვესტიცია დასაქმებულთა საშემსრულებლო უნარების განვითარებისკენ მიმართონ, რაც ხელს შეუწყობს მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკის დანერგვას.

ძირითადი ტექსტი

მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკა - ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაა, რომელიც კომპანიაში მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად თანამშრომლების მოტივაციის, ჩართულობის დონისა და შანსების გაზრდას გულისხმობს. ეს მიდგომა ზრდის იმის ალბათობას, რომ თანამშრომლები მეტი ენთუზიაზმით ჩაერთვებიან შემოქმედებითი სერვისების შექმნის მცდელობებში და შეამცირობენ მისი დანერგვისთვის საჭირო ხარჯებს.

დასაქმებულები ეხმარებიან სასტუმროებს მომხმარებლის დაკვეთის შესაბამისი ინოვაციური სერვისის შექმნასა და დანერგვაში. იმის მიუხედავად, რომ დასაქმებულების უნარების გამოყენებას, შემოქმედებითი მომსახურების შექმნისას, ხშირად წარმატება მოაქვს, მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკა კარგად შესწავლილი მაინც არ არის. ამ პრობლემის უკეთ გასააზრებლად შემოგთავაზებთ კვლევას, რომელიც დაგვეხმარება შემოქმედებით სტრატეგიასა და მაღალეფექტურ ადამიანური რესურსების მართვას შორის კავშირის დანახვაში. ასევე გავაანალიზებთ, როგორ გვეხმარება ეს კავშირი თანამშრომლების განვითარებასა და შემოქმედებითი სერვისების დანერგვაში, რაც სასტუმროს ოპერაციულ ეფექტურობაზე ახდენს გავლენას, მათ შორის, მომსახურების ხარისხზე, ინოვაციურობაზე, გამოცდილებაზე, ფინანსურ საკითხებსა და კონკურენტულ უპირატესობაზე.


შემოქმედება ადამიანისთვის სულიერი და ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენის, გრძნობების

გადმოცემისა და კულტურის ავთენტური ბუნების აღქმის შესაძლებლობაა. თუმცა, იგი სერვისის პროდუქტების ლოკალიზაციისა და გლობალიზაციის გასაღებიც შეიძლება გახდეს. მომსახურების შემოქმედებითი სტრატეგიები ხაზს უსვამს პროდუქტის უნიკალურობას და აძლიერებს მიღებული გამოცდილების ღირებულებას, რაც იმ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში გვეხმარება, რომელიც სასტუმროებს ახალი ბაზრის ასათვისებლად სჭირდებათ.

ჩავატარეთ კვლევა ორი მიმართულებით. გამოვკითხეთ სასტუმროს მომსახურების მომხმარებლები და მოქმედი მენეჯერები. კვლევების შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა, კერძოდ, 71,4% წელიწადში 1-2-ჯერ მოგზაურობს, მხოლოდ 14,3% მოგზაურობს 3-5-ჯერ და 9,5% - იშვიათად. სასტუმროს ინტერიერისა და ზოგადად გარემოს ესთეტიკა ძალიან მნიშვნელოვანია 57,1%-ისთვის; სასტუმროს დიზაინსა და სერვისში ადგილობრივი კულტურის ელემენტების ჩართულობის მსურველი აღმოჩნდა გამოკითხულთა 100%. გამოკითხული რესპოდენტების 66,7%-მა აქცენტი გააკეთა ადგილობრივი კულტურის ელემენტების ჩართულობაზე, ხოლო 20% დაინტერესებულია ტრადიციული სამზარეულოთი.

მომხმარებლებს სერვისის საშუალებით, ემოციური გამოცდილების მიღება სურთ. მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს, პერფორმანსებსა თუ შემოქმედებით სერვისში პასიურ ჩართულობას. ამ გზით ისინი სტრესის შემსუბუქებასა და დადებითი ემოციების მიღებას ცდილობენ. უნიკალური გამოცდილების შექმნისთვის მხოლოდ სწორი ხედვა და დაგეგმვა საკმარისი არ არის, ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ ადგილობრივი კულტურა და ხელოვნება.


დიაგრამა 1. შემოქმედებითი ელემენტების შესაბამისობა მომხმარებლის საჭიროებებთან და მოლოდინებთან



სასტუმროებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ლოკალური კულტურული ელემენტები ოპერატიული სტრატეგიის ფორმულირების ეტაპზე. ექსპერიმენტული აქტივობების დანერგვით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ადამიანები, რომლებსაც მსგავსი გამოცდილების მიღება სურთ (**დიაგრამა 2**).

კვლევამ გვიჩვენა, რომ კულტურული რესურსების ათვისება და შემოქმედებითი კლიმატის შექმნა, მდგრად


დიაგრამა 2. შემოქმედებითი სტრატეგიების გავლენა მომხმარებლის არჩევანზე სასტუმროს არჩევისას



კონკურენტულ უპირატესობას იძლევა და დადებით გავლენას ახდენს სასტუმროს ეფექტურობაზე. შემოქმედებითი სერვისის წამრატებაში დიდ როლს ასრულებს ფიზიკური გარემო, კერძოდ, სასტუმროს შენობა და ინტერიერი, რომელიც მომხმარებელთან ემოციური კავშირის დამყარებას უწყობს ხელს. ცნობილია, რომ ავთენტურ, კულტურულ ელემენტებს მომხმარებლის პოზიტიური ემოციური რეაქციის გამოწვევა შეუძლია. გარდა ამისა, ადგილობრივი არქიტექტურის, ხელსაქმისა და ტრადიციების გაცნობა ვიზიტორებს საშუალებას აძლევს გამოსცადოს განსხვავებული ცხოვრების სტილი. მომხმარებელზე ორიენტირებული სასტუმრო გამდიდრებული უნდა იყოს ავთენტური, ლოკალური კულტურული კონტენტით, რომელიც ადამიანში დადებით ემოციებს აღძრავს. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (85,8%) სერვისებში შემოქმედებითი აქტივობების ჩართვის უდიდესი სურვილი გამოთქვა. ზოგადად, შემოქმედებითი სტრატეგიების გავლენა რომ განუზომლად დიდია მომხმარებლის არჩევანზე სასტუმროს არჩევისას, სწორედ ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მთავარი სირთულე, რომელსაც სასტუმროს მენეჯერები აწყდებიან შემოქმედებითი სტრატეგიების დანერგვისას ეს არის კვალიფიკაციური კადრების დეფიციტი.

დიაგრამა 3. შემოქმედებითი სტრატეგიის დანერგვის სირთულეები



სწორედ ამიტომაც გამართლებული მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს დასაქმებულთათვის ინდივიდუალური, დამატებითი და ურთიერთდამხმარე ადამიანური რესურსების აქტივობების შეთავაზებას, რაც უზიძგებს მათ სერვისის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.


მაღალეფექტური ადამიანური რესურსების პრაქტიკა მოიცავს კადრების მოძიებას, მომზადებას, შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას, დაჯილდოებას, თანამონაწილეობასა და უფლებების გაფართოებას; იგი საშუალებას აძლევს სერვისის თანამშრომლებს დახვეწონ მომსახურების ხარისხი, აიმაღლონ მოტივაცია და გამოიყენონ შემოქმედებითობა სასტუმროს ოპერატიული ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. კადრები, რომლებიც სასტუმროს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, რაც გულისხმობს შემოქმედებითი უნარების გამოყენებასა და სამუშაოს შესასრულებლად სწორი დამოკიდებულების ქონას, გაივლიან სელექციურ წვრთნას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ გაიუმჯობესონ შემოქმედებითი უნარები და გაიღრმავონ ცოდნა, რაც დაეხმარება სასტუმროს სერვისის ეფექტურ კონტროლში.

სასტუმროს მენეჯერების მიერ მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის გამოყენების კვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა (**იხ. ნახაზი**):

ეფექტურობის შეფასება საშუალებას გვაძლევს უკეთ დავინახოთ დასაქმებულების შემოქმედებითი უნარები და წავახალისოთ ამ უნარების გამოყენება სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამასთან, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ბერკეტი შეგვიძლია გადავულოცოთ სერვისის თანამშრომლებს, რაც გაზრდის მათ დამოუკიდებლობას და უზიძგებს მათ მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებითი სტრატეგიების დანერგვაში, მასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების პროცესსა და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში. უფლებების გაფართოება საშუალებას მისცემს თანამშრომლებს ეფექტურად უპასუხონ მომხმარებლების მოულოდნელ და არაორდინალურ მოთხოვნებს.

დასკვნა

ნაშრომში ჩამოყალიბებული არგუმენტირებული მოსაზრებები და დასკვნები კონცენტრირდება მასზედ, რომ სასტუმრო ინდუსტრიაში დასაქმებული მენეჯერების მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს მაღალეფექტური ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის დანერგვა, რაც ხელს უწყობს მომსახურე პერსონალის შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სამუშაოს შესრულების დროს სწორი ქცევისა და დამოკიდებულების გამოუმუშავებას; უფლებების გაფართოება საშუალებას აძლევს მათ ეფექტურად უპასუხონ მომხმარებლების მოულოდნელ და არაორდინალურ მოთხოვნებს, რაც ბიზნესის ზრდას განაპირობებს და სამომხმარებლო ბაზარზე თავის წარმოჩენისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტურ შესაძლებლობას იძლევა.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. გველესიანი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში“ 2023;
2. <https://www.siteminder.com/r/hotel-strategy/>;
3. Enz, C. (n.d.). *Competing Successfully with Other Hotels: The Role of Strategy*. Retrieved from <https://ecommons.cornell.edu/server/api/core/bitstreams/af95d12b-6451-4ce6-8614-fffb3fdc243f/content>;
4. Strategic, A. (2024, September 5). Ampliro - AI, Strategic Consulting & Business Solutions. Retrieved July 7, 2025, from Ampliro - AI, Strategic Consulting & Business Solutions website: <https://en.ampliro.com/insights/effective-hotel-business-strategy-for-modern-hospitality>;
5. Michalis, B. (2023, June 2). 11 Hotel Strategies to Attract Customers. Retrieved from Canarytechnologies.com website: <https://www.canarytechnologies.com/post/hotel-strategies-attract-customers>;
6. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10548400903163079>;
7. <https://www.emerald.com/insight/content/doi/10.1108/jtf-06-2016-0018/full/html>.

ხასიათი, როგორც ადამიანის თვისებების ერთობლიობა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.06>

ანოტაცია

ხასიათი ადამიანის ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელიც, თავის მხრივ, სოციალური ზემოქმედებით გარკვეულ ცვლილებებს განიცდის: გარე ფაქტორების ზეგავლენით ხასიათის ზოგიერთი თვისება მძაფრდება, ზოგიერთი სუსტდება, ზოგი კი უცვლელი რჩება.

ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად, ყალიბდებოდა ხასიათის კონცეფცია. ამ პრობლემის შესახებ ერთი საერთო მიდგომა არ იქნა შემუშავებული, სხვადასხვა მკვლევართა ჯგუფებმა განიხილეს ბუნება, სტრუქტურა, თავისებურებები, ასევე ფაქტორები, რომელიც განაპირობებს ხასიათის განვითარებას.

ხასიათი - ეს არის პიროვნების განსაზღვრული არსებული ფსიქიკური თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მის ქცევას განსაზღვრულ ცხოვრებისეულ პირობებში. პიროვნების გამოცდილების მარაგი, რომელიც ყალიბდება ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური მახასიათებლებით და გამოვლინდება ქცევის თავისებურებებში, გარემოსთან ურთიერთობებში.

ხასიათი წარმოადგენს პიროვნების ფსიქიკური თავისებურებების ინტეგრაციას, რომელიც ადამიანისათვის არის მისაღები.

მის სტრუქტურაში გამოყოფენ ორ ჯგუფს: პირველს მიეკუთვნება ნიშნები, რომლებიც უზრუნველყოფს პიროვნების მიმართულებას (მოთხოვნილებები, განწყობა, მოტივაცია, ინტერესები, იდეალი, მიზნები). პიროვნების მიმართულებაა მოთხოვნილებები და ადამიანის ქცევის მოტივი. ეს ყველაფერი წარმოადგენს ძირითად მარაგს. ამ ყველაფერის გარეშე არ ყალიბდება პიროვნების ხასიათი. ადამიანის მიმართება ვლინდება სუბიექტისა და პიროვნების ერთმანეთთან ურთიერთობისას. ადამიანის ურთიერთობები მრავალმხრივია: ურთიერთობა სამყაროსთან, საზოგადოებასთან, ერთმანეთთან, სამსახურთან და მის შედეგებთან.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ინტელექტუალური, ნებელობითი და ემოციონალური ხასიათის თვისებები. ხასიათის ინტელექტუალური თვისებები თანამედროვე პირობებში სამხედრო საქმიანობაში უმნიშვნელოვანე-



ეკატერინე სულუხია

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის
ასოცირებული, აფილირებული პროფესორი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0000-1546-2855>
Email: ekasulukhia@gmail.com (+559 577 94 84 13)

სია. მაღალი განვითარება შემეცნებითი ინტერესების და გონებრივი შესაძლებლობები, ცნობისმოყვარეობა და შემოქმედებითი მიდგომარეულ ინტელექტუალურ საკითხებზე განაპირობებს ადამიანის ურთიერთობებს რეალობასთან და პროფესიულ ცხოვრებასთან (დამოუკიდებლობა, კრიტიკულობა, რწმენა, გადანყვეტილების მიღება და სხვა). ხასიათის თვისება, ისეთი როგორიცაა გადანყვეტილების მიუღებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს სამხედრო საქმის ცოდნის სიმცირით, მისი სუსტი ინტელექტუალური მომზადებით რთულ სიტუაციებში.

ნებელობითი თვისებები განსაზღვრავენ ადამიანის მზაობას საკუთარი ქცევა დაარეგულირონ ცნობიერად, რომელიც დაკავშირებულია სირთულეების და დაბრკოლებების გადალახვასთან, ქცევა მიმართოს გარკვეული პრინციპებისა და დავალებებისაკენ.

საკვანძო სიტყვები: სახიათი, ხასიათის ინტელექტუალური თვისებები, ხასიათის კონცეფცია.

ცხოვრებისეულ პირობებთან პირდაპირი კავშირის მქონეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ გარემო განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს, ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის აღზრდას.

„ფიზიოგნომიკის“ ავტორი ლაფატერი, ხასიათს განიხილავდა, როგორც ბედს და გუნება-განწყობილებას როგორც მემკვიდრეობით.

„ფრენოლოგიის“ ფუძემდებელი გალლი პიროვნების ხასიათს მიაწერდა თავის ტვინის ნახევარსფეროებს, გალას თორიის მიხედვით, პიროვნების ხასიათი შედგება 27 ელემენტარული ფსიქიკური შესაძლებლობებისაგან.

საბოლოოდ „ფრენოლოგიის“ არათანმიმდევრულობა დამტკიცდა, თუმცა, ხასიათის კლასიფიკაციის მცდელობამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ნევროლოგიასა და ქარაქტეროლოგიაში [1. 174-189].

ცხადია, მე-18 საუკუნეში არსებობდნენ ამ თეორიის მოწინააღმდეგე თეორიები, რომლებიც ინარჩუნებდნენ ინტერესს ხასიათის საკითხთან დაკავშირებით. ქარაქტეროლოგიის, როგორც მეცნიერების შესახებ, პირველად გამოითქვა ინგლისელი ჯონ სტუარტ მილის ნაშრომებში და მან ეტოლოგია უწოდა [1. 190]. მისი ეტიოლოგიის მიხედვით - ეს არის მეცნიერება ხასიათის ფორმირების კანონების შესახებ, თუმცა პიროვნების გავლენა, ავტორის მიერ ფაქტობრივად უგულებელყოფილია.

ემპირიული ფსიქოლოგიის უძლიერესი წარმომადგენელი ტ. რიბო ხასიათის კონცეფციის გაგებისათვის გამოყოფდა ორ ძირითად პირობას: მთლიანობას და მდგრადობას. ხასიათი შეიძლება ჩაითვალოს მკვეთრად გამოხატულად, თუ მოცემულ პიროვნებას გარკვეული ნიშან-თვისებები გამოიხატება ბავშვობაში და გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. რიბო ხასიათს ყოფს ორ ნაწილად: მგრძნობიარე და ნებელობითად. გაკეთდა რა დასკვნა ხასიათის მდგრადობასთან დაკავშირებით, რიბო ამ საკითხს განიხილავს, როგორც მემკვიდრეობით, იგი არ აფასებს სოციალურ ზეგავლენას.

სხვა წარმომადგენლები ემპირიული მიმართულებისა, ა. ფულე ხასიათში იგი განიხილავდა შეძენილ თვისებებს [2], მისი მიმდევარი იყო მალაპერი. თავის ნაშრომში „ხასიათის ელემენტები და მათი ურთიერთშეთანხმების კანონები“ ის საუბრობს იმაზე, რომ ქარაქტეროლოგია შედგება ორი: სტატისტიკური და დინამიური ნაწილისაგან. პირველი შეისწავლის ხასიათის სტრუქტურას, ხოლო მეორე

მისი ევოლუციის ფუნქციებს და კანონებს. მალეპერის აზრით, ხასიათის თავისებურებები განპირობებულია აზროვნებით, გრძნობით და ნებელობით. ის გამოყოფს ხასიათის ექვსს სახეს: აპათიური, აფექტური, აზრობრივი, აქტიური, ზომიერი და ნებელობითი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მალეპარი, როგორც რიბო, ხაზს უსვამს ხასიათის ნებელობას.

ფრანგმა ფსიქოლოგმა პოლანმა შექმნა ხასიათის საკუთარი თეორია, რომელიც დაფუძნებული იყო პიროვნების მიდრეკილებებზე და ამ მიდრეკილებების ერთობლიობაზე, ასოციაციის კანონის მიხედვით. შესაბამისად, ხასიათის ეს ტიპი არის „საბოლოო დაჯგუფება კონკრეტული მიდრეკილებების სისტემაში ფსიქიკური ელემენტების ირგვლივ“. ხასიათი პოლანის მიხედვით დინამიურია, ის იცვლება გარემო-ფაქტორების ზეგავლენით [3].

ფრანგი პედაგოგი ფ. კეირა თვლიდა, რომ ხასიათის საფუძველი არის ჩვევები. იგი თავის წიგნში „ხასიათი და მორალური განათლება“ აღწერს ხასიათის კლასიფიკაციას. ფ. კეირა თვლიდა, რომ ხასიათი შედგება სამი ძირითადი თავისებურებისაგან: შთაბეჭდილებები, მიდრეკილებები და გადწყვეტილების მიღების უნარი [4].

ასე, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილ იყო ხასიათის კონცეფციისაკენ, ისინი აკეთებდნენ თეორიულ ანალიზს და ცდილობდნენ ამ საკითხების კლასიფიკაციას. კვლევები არ იყო ორიენტირებული პრაქტიკული დავალებების გადასაჭრელად.

ფსიქოლოგიის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებასთან ერთად ყალიბდებოდა ხასიათის კონცეფცია. ამ პრობლემის შესახებ ერთი საერთო მიდგომა არ იქნა შემუშავებული, სხვადასხვა მკვლევართა ჯგუფებმა განიხილეს ბუნება, სტრუქტურა, თავისებურებები, ასევე ფაქტორები, რომელიც განაპირობებს ხასიათის განვითარებას.

ასე, მაგალითად, კრეჩმერი თვლიდა, რომ ტემპერამენტი, ხასიათი და შესაძლებლობები დაკავშირებულია გარეგნულ თვისებებთან, მისი აზრით ძირითადი არის კონსტიტუცია. დაეყრდნო რა ემპირიულ მონაცემებს, მან ჩამოაყალიბა ოთხი ძირითადი აღნაგობის მქონე პიროვნება: ასთენიკი, ათლეტიკი, პიკნიკური ტიპი და დისპლასტიური ტიპი.

კრეჩმერმა ამ ტიპების შესატყვისი ორი სახის ტემპერამენტი გამოყო: ციკლოთიმიური

და შიზოთიმიური. პიკნიკურ ტიპს შეესაბამება პირველი ტემპერამენტი, ასთენიკურს, ათლექტიკურს და დისპლასტიკურს შეესაბამება მეორე ტემპერამენტი. ციკლოთიმიური ტემპერამენტისათვის დამახასიათებელია მხიარულსა და მოწყენილ მდგომარეობას შორის მერყეობა, შიზოთიმიურისთვის ფსიქოელასტიური პროპორცია, მერყეობა გაღიზიანებასა და ცივისსხლიანობას შორის. რაც შეეხება მესამე ტემპერამენტს – ფსიქიკურ ტემპს, ციკლოთიმიკისთვის დამახასიათებელია მერყეობა აქტიურსა და ფლეგმატურს შორის, ხოლო შიზოთიმიკისთვის მერყეობა მოძრაობასა და უმოძრაობას შორის [5].

ამდენად, კრეჩმერი ხასიათს კონსტიტუციაზე დამოკიდებულად თვლიდა, არსებითადაც, რომელიც თავისი არსით განსაზღვრავს ტემპერამენტს, მაგრამ ამავდროულად არ გამორიცხავს, რომ ზეგავლენას ახდენს „ფსიქიკურ აღქმაზე, გარემოსა და გაცდებზე“.

სხეულის კონსტიტუციასა და ტემპერამენტს შორის კავშირზე, შეიძლება აღმოვაჩინოთ შელდონის ნაშრომებში, მან გამოყო სხეულის აგებულების სამი ძირითადი კომპონენტი: ენდომორფული, მეზომორფული და ექტომორფული. ტერმინი ნარმოიშვა ჩანასახის ფურცლისგან, ვარაუდობდნენ, რომ ანდოდერმიისაგან ვითარდება შინაგანი ორგანოები, ენდოდერმიისაგან ყალიბდება ძვლები, კუნთები, გული, სისხლძარღვები, ხოლო ექტოდერმიისაგან - თმები, ფრჩხილები, რეცეპტორული აპარატი, ნერვული სისტემა და ტვინი [6].

შელდონის ტიპები, თავისი გამოვლინებით, კრეჩმერის ტიპების მსგავსია. ენდომორფი-პიკნიკი კრეჩმერის მიხედვით, მეზომორფი-ათლექტიკი, ექტომორფი-ასთენიკი.

დადგენილია, რომ ენდომორფია, მეზომორფია და ექტომორფია მიეკუთვნებიან ტემპერამენტის პირველად კომპონენტებს - ვისცეროტონიას, სომატოტონიას და ცერებროტონიას. პიროვნებაში შეიძლება შეფასდეს თითოეული მათგანი ცალკე-ცალკე.

იგივე მიმართულების არის დელინგერის ნაშრომიც, ის ასევე ცდილობდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური თავისებურებები. მისმა ფსიქოგეომეტრიულმა ტიპებმა გავრცელება მოიპოვეს: „ნრე“, „კვადრატი“, „ზიგზაგი“ და „სწორკუთხედი“ [7].

ფსიქოანალიტიკური ან ფსიქოდინამიური მიმართულება ქარაქტეროლოგიაში ხსნის ადამიანის ხასიათს, მის ქცევას და ქმედებას, სოციალურ

ცხოვრებას მთლიანად, ინსტიტუტებისა და არაცნობიერის ჩათვლით.

ამ მიმართულების ფუძემდებელი ზ. ფროიდი პიროვნებას განიხილავს, როგორც ზოგადად ფსიქიკურის სინონიმს. ფროიდი ამტკიცებს, რომ პიროვნება ყალიბდება იდის, ეგოსა და სუპერეგოს საშუალებით. ფსიქიკის სამი სტრუქტურა და პიროვნება არის მათი ურთიერთქმედება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას. ის თვლიდა, რომ ჩვილი სიამოვნებას იღებს პირის საშუალებით ჭამის დროს, ანალურ სიამოვნებას დეფეკაციის დროს. შედეგად განსაზღვრულ ცხოვრებისეულ გარემოებებში, ეს ზონები ინარჩუნებენ ლიბიდოს მთელი ცხოვრების მანძილზე. რეალიზება ხდება სუბლიმირებულ რეაქციებში, ეს განსაზღვრავს ხასიათის თავისებურებებს. შესაბამისად ადამიანის ანალური ხასიათის თვისებებით ცდილობს მოაგროვოს ფული, რადგანაც ის სუბლიმირდება ისეთ რეაქციაში როგორიც არის დეფეკაციის შეკავება. არაცნობიერი სურვილი ადამიანებისა ორალური ხასიათის, რომ მას კვებავდნენ, სუბლიმირდება სურვილში მიიღოს დახმარება, ცოდნა და ა.შ.

მან გამოყო ხასიათის ანალური ტიპი, რომელსაც ფლობენ ბავშვები და არიან ლიბიდოზური ტიპები: ეროტიული, ობსესიური, ნარცისული. ამასთანავე, შერეული ტიპები: ეროტიულ-ობსესიური, ეროტიულ-ნარცისული და ნარცისულ-ობსესიური [8], [9], [10].

ზიგმუნდ ფროიდისაგან განსხვავებით, რომელთანაც პირველ პლანზე გადმოდის პიროვნების სექსუალური განვითარება, მისი მოსწავლე კარლ იუნგი ტიპოლოგიის ჩამოყალიბების დროს ამოსავალ წერტილად მიიჩნევს ბიოლოგიურ განწყობას (ცნობიერი და არაცნობიერი) თვითშენარჩუნებას. იუნგმა ლიბიდო განიხილა, როგორც დიფუზური, შემოქმედებითი ცხოვრებისეული ძალა, რომელიც გამოვლინდება სხვადასხვანაირად. მაგ.: ძალაუფლების მოპოვება ან რელიგიაში წასვლა.

იუნგი ანსხვავებდა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფსიქიკურ მექანიზმებს ან ორ ცხოვრებისეულ განწყობას პიროვნებისა ექსტრავერსიან-ინტროვერსიან.

როდესაც „...ორიენტაცია ობიექტზე და ობიექტური მონაცემები გადანონის იმ ფაქტს, რომ მეტად მნიშვნელოვანი გადანწყვეტილება და საქციელი განპირობებულია არა სუბიექტური შეხედულებებით, არამედ ობიექტური ურთიერთობებით, ასეთ შემთხვევაში საუბარია ექტრავერტულ განწყობაზე. თუ ეს ხშირად ხდება, მაშინ

საქმე გვაქვს ექსტრავერტირებულ ტიპთან“ [11. 90]. „ინტროვერტირებული ტიპი ექსტრავერტისაგან განსხვავდება იმით, რომ ის არ ორიენტირდება არც ობიექტზე და არც ობიექტურ მონაცემებზე, როგორც ექსტრავერტირებული ტიპი სუბიექტურ ფაქტორებზე“.

თუმცა, ადამიანები განსხვავდებიან ერთი ძირითადი ფსიქიკური ფუნქციით, იუნგის აზრით, ეს არის: აზროვნება, გრძნობა, შეგრძნება და ინტუიცია. ორი პიროვნული განწყობის კომბინაციის შედეგი და მათი ფსიქიკური ფუნქციები გამოვლინდება რვა სხვადასხვა ტიპის პიროვნებით [12].

1928 წელს კარლ იუნგმა, შვეიცარიაში ფსიქიატრთა შეკრებაზე თქვა: „ხასიათი - არის ადამიანის არსებობის მდგრადი ფორმა, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი წარმოშობისა. სინამდვილეში სულიერი და სხეულებრივი ურთიერთკავშირი იმდენად ღრმა არის, რომ სხეულის თავისებურებებით ჩვენ არამარტო შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები სულის ხარისხზე, არამედ სულიერი თავისებურებებით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სხეულებრივ ფორმებზე.“ [11, გვ. 90].

მამ ასე, იუნგი და ფროიდი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ პიროვნება, მისი ქცევა და ხასიათი განისაზღვრება არა ცხოვრების გარეგნული პირობებით, არამედ შინაგანი თავისებურებებით.

უფრო მოგვიანებით, ტიპოლოგიაში, რომელშიც გამოიყენება იუნგის ზოგიერთი მოსაზრება, არის დ. კერსისის ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიის თანახმად ადამიანები იყოფიან ოთხი პარამეტრის მიხედვით: ექსტრავერსია-ინტროვერსია, საღი აზრი-ინტუიცია, ლოგიკურობა-შეგრძნება, განსჯა-იმპულსურობა. ამის შედეგად შესაძლებელია ჩამოვყალიბოთ 16 ფსიქოლოგიური პორტრეტი. რომელიც გაერთიანებულია 4 ტემპერამენტში: ეპიმეთეა, პრომეთეა, დიონისე, აპოლონი. ეპიმეთეასთვის დამახასიათებელია მოვალეობის გრძნობა, მიდრეკილება დაიკავოს საპატიო ადგილი გარკვეულ სოციალურ სტრუქტურაში. პრომეთეასთვის დამახასიათებელია მეცნიერული სული, ბუნების კანონზე მაღლა დადგეს და ის იყოს მბრძანებელი. დიონისიასთვის- მიდრეკილება თვალყური მიადევნოს საკუთარ იმპულსებს, ხოლო აპოლონისთვის-მიდრეკილება იყოს ის ვინც არის, საკუთარ თვალში გააჩნდეს ფასი [13].

ფსიქოანალიოტიკური ავტორების შეხედულებები უდავოდ მნიშვნელოვანია, რაც ადასტურებს მათ მნიშვნელობას, ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იუნგმა საკუთარი შეხედულებები

გამოიყენა პრაქტიკაში, პერსონალის შერჩევის დროს. მაგრამ ეს მეთოდები გათვლილი იყო სამოქალაქო პიროვნებებზე და არა სამხედროებზე. ამიტომაც არ გვაქვს უფლება გამოვიყენოთ საღი-სერტაციო ნაშრომში.

სოციალურ-კულტურული მიმართულების წარმომადგენლები ხასიათს განსაზღვრავენ, როგორც დინამიურ პროდუქტს თანდაყოლილ მოთხოვნილებებს, სოციალური ნორმების და ურთიერთობების ურთიერზეგავლენას.

აღფრედ ადლერი თვლიდა, რომ ადამიანის ორგანიზმის ცალკეული აქტივობები (მითუმეტეს ხასიათი) არ შეიძლება განხილულ იქნას ცალკე-ცალკე. ორგანიზმი ერთი მთლიანობაა და ის უნდა განვიხილოთ პიროვნება მთლიანობაში.

საკუთარი ინდივიდუალური ფსიქოლოგიის თეორიულ საფუძვლად ა. ადლერი თვლიდა: 1. არასრულფასოვნების გრძნობა და კომპენსაციას. 2. მცდელობა იყოს საუკეთესო. 3. ადამიანის ცხოვრების სტილს. 4. სოციალური ინტერესს. 5. შემოქმედებითი „მე“-ს. 6. დაბადების რიგობრიობას. 7. ფინალიზმის ფიქსაციას. (ადამიანის ქცევა მართავს მის მოლოდინებსა და ურთიერთობებს მომავალთან). ადლერმა, ცხოვრების სტილი ახსნა, როგორც პიროვნების მთლიანობის სტრუქტურა. ხოლო პიროვნების ტიპები შეესაბამება, იმას როგორც განწყობა დაკავშირებულია ცხოვრების სტილთან. განწყობის პირველი სამი ტიპი, ადლერის მიხედვით, ეს არის: მართვა, მიღება და თავიდან არიდება(გაქცევა). ყოველი ამ ტიპისათვის დამახასიათებელია სოციალური ინტერესის არასაკმარისი გამოხატულება.

ქარაქტეროლოგიას რაც შეეხება, იგი გამოყოფს ისეთ ტიპებს, როგორიცაა: მმართველი, საკუთარ თავზე ამღები და გამქცევი [14].

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მიუხედავად ადლერის პიროვნების თეორიის პრაქტიკული ორიენტაციისა, მისი ემპირიული შემოწმება იშვიათად ხორციელდება.

სოციალურ-კულტურულ მიმართულებაში საჭიროა განვიხილოთ ე. ფრომის შეხედულებები, ქარაქტეროლოგიასთან დაკავშირებით. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ქცევა შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურის ზეგავლენა, რომელიც არსებობს ისტორიის კონკრეტულ მომენტში. მან პირველმა ჩამოაყალიბა ხასიათის ტიპების თეორია, რომელსაც საფუძვლად ედო იმ საკითხის სოციოლოგიური ანალიზი, თუ როგორ აყალიბებენ ადამიანები სოციალურ პროცესებს

და კულტურას.

იმ ხასიათის თვისებას, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი, ფრომმა სოციალური ხასიათი უწოდა. (რითაც ერთი განსხვავდება მეორისაგან).

ორიენტაცია, რომლის საშუალებითაც ადამიანი კონტაქტში შედის სამყაროსთან, განსაზღვრავს მისი ხასიათის არსს. ხასიათი ეს არის ფორმა, რომელიც არის ადამიანური ენერგიის თანმხლები ასიმილაციისა და სოციალიზაციის პროცესში. ურთიერთობის ორივე ფორმა არ არის ინსტიტუტურად მოცემული, არამედ „ლია“. რადგან ენერგია მოძრაობს განსაზღვრულად, ქცევებში მომენტალურად გამოიხატება ხასიათი [15], [16].

ვეთანხმებით რა, „პიროვნების თეორიების“ ავტორებს ზინგლერს და ჰოლმს, ისინი თვლიან რომ სამწუხაროდ, ე. ფრომის ხასიათის განვითარების თეორიის ემპირიული კვლევა შეუძლებელია [17].

მამ ასე, სოციალურ-კულტურული მეთოდების მიმდევარი ავტორების კვლევებმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პიროვნების განვითარების და ხასიათის ჩამოყალიბების საკითხებში. ისინი ყურადღებას ამახვილებენ სოციალურ გარემოზე, აღზრდას, მშობლებთან ურთიერთობას და ა.შ. თუმცა ემპირიული შემოწმებით მათი თეორია არ არის დადასტურებული, პროფესიულ შერჩევაში მათ გამოყენება არ არის მისაღები.

ხასიათის არსის განსაზღვრაში თავისი მიდგომა შემოგვთავაზა აქცენტუირებული პიროვნების თეორიამ, რომლის ფუძემდებელია კარლ ლეონგარდი. მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად გერმანელმა ფსიქიატრმა, კ. ლეონგარდმა, შექმნა აქცენტუირებული ხასიათის ტიპოლოგია და ჩამოაყალიბა მისი ამხსნელი კონცეფცია. კ. ლეონგარდის კონცეფციის თანახმად, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო თანდაყოლილი თვისებებით, არამედ ცხოვრების გამოცდილებით განპირობებული თავისებურებებით. ხასიათის ფორმირება დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც ადამიანი იმყოფება. მიდრეკილებები, ინტერესები დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, თუმცა, ასევე არსებობს თანდაყოლილი ინტერესები და მიდრეკილებები. ის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ადამიანები, რომლებსაც აქვთ ხასიათის ერთნაირი ნიშან-თვისებები, მაგრამ განსხვავებული მიზნები, შეიძლება ერთმანეთის მტრები გახდნენ. ასე, სხვადასხვანაირად შეიძლება განვითარდეს მოვალეობის გრძნობა, ორ კეთილსინდისიერ ადა-

მიანში. ზუსტად რომელ მიმართულებას ირჩევს პიროვნება, ეს დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ის ცხოვრობს. ამასთან, კ. ლეონგარი აღნიშნავს, რომ არსებობენ ადამიანის ტიპები, რომელთაგანაც ყალიბდება პროფესია. მაგ: ოფიცერი, სამხედრო მოსამსახურე, კომერსანტი და ა.შ. პროფესია პიროვნებაზე ტოვებს გარკვეულ კვალს. „ადამიანში არსებული ბუნებრივი ტენდენცია ზემოქმედებს არჩეულ პროფესიაზე, ამასთანავე, ადამიანი ზუსტად იმიტომ ირჩევს ამა თუ იმ პროფესიას, რომ ის თანხვედრაშია ინდივიდუალურ მიდრეკილებებთან“ [18. 11], [19].

კ. ლეონგარდს თავის ნაშრომში „აქცენტუირებული პიროვნება“ მოჰყავს მაგალითები თავისი კლინიკური პრაქტიკიდან. რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ამა თუ იმ აქცენტუაციის განვითარებას ადრეული ბავშვობიდან. ის წერს: „თვისებები მოგვიცავენ ჩვენ მხოლოდ იმ ფორმით, რომელსაც აღმოვაჩენთ გამოკითხულთა შორის“ [18. 12].

მის მიერ აღწერილი ტიპებიდან, მნიშვნელოვანია, რომ ავტორი ხასიათს მიიჩნევს პიროვნების მდგრად თავისებურებად, რომელიც დროდადრო არ იცვლება. ხასიათის თვისებების ფსიქოლოგიურ გამოვლინებას, კ. ლეონგარდი განიხილავს, როგორც ორიენტაციულ სფეროს (ინტერესები და მიდრეკილებები), ემოციურ-ნებელობითი გამოვლინებად (გრძნობები და ნებისყოფა) და ინტელექტუალურ სფეროდ (აზროვნება და ინტელექტი).

ხასიათის აქცენტუაცია არის განსაზღვრული ნიშან-თვისებების დონის გაძლიერება. „აქცენტუირებული თვისებები არც ისე მრავალრიცხოვანია, როგორც ინდივიდუალური. აქცენტუაცია ეს არსებითად არის ინდივიდუალური, პიროვნებები, რომლებსაც ჩვენ აქცენტუირებულებს ვუწოდებთ, პათოლოგიას არ მიეკუთვნებიან.“ [18. 16].

კ. ლეონგარდი გამოყოფს შემდეგ აქცენტუირებულ ტიპებს (იხ. ქვემოთ), აგრეთვე ექსტრავერტირებულ და ინტროვერტირებულ ტიპებს, რომლებიც ემთხვევა კ. იუნგის ტიპებს. ლეონგარდის მიერ წარმოდგენილი ექსტრავერსია და ინტროვერსია დაკავშირებულია არა მარტო აღქმისა და წარმოდგენის პროცესებთან, არამედ ბავშვებში გარდატეხის ასაკთან, ასევე გენდერულ განსხვავებებთან. ლეონგარდის მიხედვით, ქალი უფრო ექსტრავერტირებულია, ვიდრე მამაკაცი. ასაკთან ერთად იზრება ინტროვერტულობა.

კ. ლეონგარდის მიერ შემოთავაზებულ მიდგო-

მას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტში. ამ კონცეფციის საფუძველზე შემუშავებულია აქცენტუირებული ხასიათის მქონე ტიპების შეფასების მეთოდოლოგია და ნარმატებით სარგებლობს მრავალი მკვლევარი (ლეონგარდ-შმიშეკის კითხვარი) [18], [19].

ამ ბოლო წლებში ფსიქოლოგიაში ხასიათს განიხილავენ სხვადასხვა კუთხით. მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ხასიათს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ისეთი როგორიცაა: ხასიათს, რომელიც გამოიხატება ქცევაში, ფსიქოლოგიურ პრაქტიკაში ხასიათის თავისებურებებს, ხასიათის ზეგავლენას სწავლის პროცესზე და სამსახურებრივ საქმიანობაში, პროფესიულ ინტერესებში, მიდრეკილებებში და ა.შ.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხასიათის ზეგავლენის შესწავლას სამხედრო მოსამსახურეებში, სხვადასხვა სამხედრო დავალებების დროს, სამხედრო ფსიქოლოგთა ნაშრომებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Борисова Е.М. О роли профессиональной деятельности в формировании личности // Психология формирования и развития личности. М., 1981;
2. Фулье А. Темперамент и характер. М., 1896. С. 9;
3. Полан Франсуа. Психология характера. СПб., 1896 г.С.120;

4. Кейра Фредерик. Характер и нравственное воспитание. СПб., 1987;

5. Кречмер Э. Строение тела и характер // Психология индивидуальных различий. М., 1982;

6. Шелдон У. Анализ конституционных различий. Тексты. М., 1982;

7. Алексеев А.А., Громова Л.А. Психометрия для менеджеров. Л., 1991;

8. Психология и психоанализ характера. Хрестоматия по психологии и типологии характеров. Самара, 1997;

9. Фрейд З. Введение в психоанализ. Лекции. М., 1995 С. 145;

10. Фрейд З. Психология бессознательного. М., 1989. С. 190;

11. Юнг К.Г. Психологическая типология. М., 1993. с. 90;

12. Юнг К.Г. Психологические типы. М., 1992;

13. Овчинников Б.В., Павлов К.В., Владимирова И.М. Ваш психологический тип. СПб., 1994;

14. Адлер А. Практика и теория индивидуальной психологии. М., 1995;

15. Фромм Э. Бегство от свободы. М., 1990;

16. Фромм Э.. Иметь или быть. М., 1990;

17. Хьел JL, Зиглер Д. Теории личности. Санкт-Петербург, 1997;

18. . Леонгард К. Акцентуированные личности. Киев, 1981;

19. Leonhard K. Akzentuierte Persönlichkeiten. Berlin: Volk. U/ Ge-sundheit, 1976.

აფხაზეთის სათბობი მრეწველობის განვითარების ჩატროსპექტივა და თანამედროვე რეალობა

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.07>

ანოტაცია

ნაშრომი შეეხება საქართველოში რეგიონალიზაციის პროცესების განვითარებას, რაც უკანასკნელი ათეული წლების მოვლენების ლოგიკური შედეგია.

კვლევაში წარმოდგენილია რეგიონული ეკონომიკის თავისებურებები, სპეციფიკური პრობლემები და ცალკეული რეგიონის ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების მიმართულებები. ქვეყნის ენერგეტიკაში ამა თუ იმ რეგიონის წილი განისაზღვრება მისი საწარმოების რაოდენობით და მასშტაბებით მოცემულ სფეროში.

კვლევაში განხილულია 90-იანი წლებიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდი, რომელიც საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლას და ქვეყნის ახალი საერთაშორისო ურთიერთობების გარემოს წარმოქმნას უკავშირდება;

ნაშრომში აქცენტირებულია თანამედროვე პირობებში არსებული ის რეგიონული პრობლემები, რომლებიც საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ძვრები დაემთხვა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკურ აშლილობას, რის შედეგადაც 1993 წელს რეგიონი ადგილობრივმა სეპარატისტებმა საქართველოსგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს და დღემდე ისინი მას თვითნებურად საქართველოს იურისდიქციიდან გასულად თვლიან. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღესდღეობით არსებული მდგომარეობის, ამ პერიოდში რეგიონის ეკონომიკის, მითუმეტეს ენერგეტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების რეალური დახასიათება-შეფასება ფაქტიურად არ გაკეთებულა. მოცემული ნაშრომის მიზანი ამ მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებაა.

თანამედროვე ეტაპზე აფხაზეთის ავტონომიური ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა კრიზისს განიცდის. 1992-1993 წლების საომარი მოქმედებების შედეგად განხორციელებული ნგრევის და მის შემდგომ პერიოდში ძარცვის და ყაჩაღობის შედეგად, რეგიონის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგმა უმძიმესი ზარალი განიცადა. განადგურდა აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან მანქანა-დანადგარების, აღჭურვილობის, ინსტრუმენტების უდიდესი მოცულობა. განადგურდა, გაიძარცვა და დაიკარგა საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობები, საწარმოო ბაზები, რკინიგზის სადგურები და მათი მოწყობილობები, სოხუმის აეროპორტი. მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ, ენერგეტიკამ, კავშირგაბმულობამ, საკურორტო



ნაზი გვარამია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

<https://orcid.org/0009-0003-1800-3883>

Email: nazigvaramia1@gmail.com

და კომუნალურმა მეურნეობებმა, განსაკუთრებით საავტომობილო გზებმა და ხიდებმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის აღდგენა-განვითარების უპირველესი საწინდარი უნდა იყოს რეგიონის ენერგეტიკული სექტორის აღდგენა-განვითარება, ვინაიდან ამ უკანასკნელზე დიდადაა დამოკიდებული მთლიანად აფხაზეთის ეკონომიკა და მისი ცალკეული დარგი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებებით, რომელიც 90-იან წლებში ჩატარდა და რაც მოცემული პერიოდისთვის არასრული იყო, ომის შედეგად მხოლოდ ეკონომიკისა და სოციალური სფეროებისადმი მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა 3,0 მლრდ. ლარს გადააჭარბა, ხოლო მოქალაქეთა პირადი ქონების ზარალმა /საბინაო ფონდის/ გარდა 5,5-6,0 მლრდ. ლარი შეადგინა, ე.ი. სულ 8,5-9,0 მლრდ. ლარი.

კვლევაში დახასიათებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სათბობი რესურსების პოტენციალი და მოცემულია სათბობი მრეწველობის განვითარების რეტროსპექტივა. წარმოდგენილია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დარჩენილი მარაგების ათვისების უაღრესად დიდი მნიშვნელობა არა მარტო ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ მთლიანად საქართველოსთვის ენერგეტიკული მეურნეობის განვითარებისთვის. აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელო დატვირთვით ფუნქციონირებს ეკონომიკა. ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება და გამოყენება

რეგიონში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მთლიანად შეწყვეტილია. რეგიონის ენერგეტიკული პოტენციალის რაციონალური გამოყენების მიმართულებების დასახვა მეტად აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაჭრას უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. იგი საშუალებას მისცემს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ამოქმედებას, ხოლო ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების სრულყოფილი ათვისებით და გამოყენებით შესაძლებელია დაკმაყოფილდეს აფხაზეთის მოთხოვნები ელექტროენერგიაზე, განხორციელდეს აგრეთვე მისი მიწოდება საქართველოს სხვა რეგიონებსა და მეზობელ ქვეყნებში.

ნაშრომში მიზნად ისახავს აფხაზეთის ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასებას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე და მის შემდგომ პერიოდში. მოცემულია დარგის პერსპექტიული განვითარების სასტარტო მდგომარეობის ანალიზი, ენერგეტიკული მეურნეობის აღდგენის პერსპექტივები. ამავე დროს, კვლევაში გათვალისწინებულია რეგიონში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომლის შესაბამისადაც, ამჟამად ენერგეტიკის საკითხი არის ერთადერთი ლეგალური სფერო საქართველოსა და დე-ფაქტო აფხაზეთს შორის თანამშრომლობის წარმართვისთვის. აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში მოცემულია რეგიონის ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების პერსპექტიული ხედვა.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, ენერგეტიკა, რეტროსპექტივა, პოტენციალი, შეფასება, ანალიზი, პერსპექტივა.

RETROSPECTIVE AND CURRENT REALITIES OF FUEL INDUSTRY DEVELOPMENT IN ABKHAZIA

Nazi Gvaramia

Sokhumi State University Associated Professor

<https://orcid.org/0009-0003-1800-3883>

E-mail: nazigvaramia1@gmail.com

ANNOTATION

The paper will address the development of regionalization processes in Georgia, which is a logical result of the events of the last decades.

The study presents the characteristics of the regional economy, specific problems and directions of development of the energy sector of a particular region. The share of a particular region in the country's energy sector is determined by the number and scale of its enterprises in a given field.

The study discusses the period from the 1990s, following the restoration of Georgia's state sovereignty and the collapse of the Soviet Union, which is related to the transition to market economic relations and the creation of a new international relations environment for the country;

The paper emphasizes those regional problems that exist in modern conditions and that have not been thoroughly studied.

The establishment of market relations in Georgia and major economic changes coincided with political unrest in the Autonomous Republic of Abkhazia, as a result of which in 1993 the region was declared an independent republic by local separatists from Georgia and to this day they arbitrarily consider it to have passed from the jurisdiction of Georgia. Therefore, a real characterization and assessment of the current situation in the Autonomous Republic of Abkhazia, the main trends in the development of the region's economy, especially energy, during this period, has not been made. The purpose of this work is to inform the public in this direction.

At the present stage, the economy of the Autonomous Republic of Abkhazia is experiencing a crisis. As a result of the destruction caused by the hostilities of 1992-1993 and the subsequent looting and robbery, all sectors of the region's economy and social sphere have suffered severe losses. A significant part of the assets was destroyed, and a large volume of machinery, equipment, and tools was almost completely out of order. Rolling stock of automobile, railway, aviation, and sea transport, industrial bases, railway stations and their equipment, and the Sukhumi airport were destroyed, looted, and lost. Agriculture, energy, communications, resort, and communal services, especially roads and bridges, suffered significant losses. Based on the above, the study presents the opinion that the primary prerequisite for the restoration and development of the economy of the Autonomous Republic of Abkhazia should be the restoration and development of the energy sector of the region, since the economy of Abkhazia as a whole and its individual sectors depend largely on the latter. According to

the calculations presented by the Ministry of Economy of the Autonomous Republic of Abkhazia, which were conducted in the 90s and which were incomplete for the given period, as a result of the war, the material damage caused to the economy and social spheres alone exceeded 3.0 billion GEL, while the damage to the personal property of citizens (excluding housing stock) amounted to 5.5-6.0 billion GEL, i.e. a total of 8.5-9.0 billion GEL.

The study characterizes the potential of fuel resources of the Autonomous Republic of Abkhazia and provides a retrospective of the development of the fuel industry. The extremely great importance of the development of the remaining reserves of the Tkvarcheli coal deposit for the development of the energy economy not only of the autonomous republic, but also of Georgia as a whole is presented. At the present stage, the economy in the territory of Abkhazia functions with a negligible load. The development and use of energy potential in the region has been completely stopped over the past 30 years. Setting directions for the rational use of the region's energy potential is a very urgent problem, the solution of which is of great economic and political importance for Georgia. It will allow the economy of the autonomous republic to be launched, and with the full development and use of local energy resources, it is possible to satisfy Abkhazia's needs for electricity, as well as to supply it to other regions of Georgia and neighboring countries.

The paper aims to assess the current state of the energy sector in Abkhazia before and after the Georgian-Abkhazian conflict. An analysis of the initial state of the prospective development of the sector and the prospects for the restoration of the energy sector are provided. At the same time, the study takes into account the difficult political situation in the region, according to which, currently, the energy issue is the only legal area for conducting cooperation between Georgia and de facto Abkhazia. Therefore, within the framework of the study, a perspective vision of the development of the energy sector in the region is provided.

Keywords: Region, Energy, Retrospective, Potential, Evaluation, Analysis, Perspective



შესავალი

ენერგეტიკის მეურნეობა წარმოების დარგია, რომელიც დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან. ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მდგომარეობას ნათლად ასახავს ენერგეტიკული ბალანსი. ენერგეტიკული რესურსები მოიცავს სახეობებს, რომელთა გამოყენება თანამედროვე ეტაპზე ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად გამართლებულია. მათ ატომური ენერგიის გარდა მიეკუთვნება ჰიდრორესურსები, სათბობი რესურსები: ნახშირი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი და თხევადი აირი, ფიქალი, ტორფი, შეშა და სხვა. ენერგეტიკული რესურსები ორი სახისაა: განახლებადი /მზის, ქარის ენერგია, ჰიდროენერგია და სხვა/ და არაგანახლებადი /ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი და სხვა/.

სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა, როგორც სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და წარმოების, მათი გადაცემის, განაწილებისა და გამოყენების ერთიანი სისტემა, რომელიც ხასიათდება ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგთან კავშირის უნივერსალურობით. სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობის განვითარება, მისი დონე, სტრუქტურა, განლაგება და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები განსაზღვრავს მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ უდაოდ დიდია ენერგეტიკის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

90-იან წლებში ჩვენი ქვეყანა იმყოფებოდა ღრმა

ენერგეტიკული კრიზისის პირობებში, რაც მისი ცალკეული რეგიონის ენერგეტიკული კრიზისითაც იყო განპირობებული. ეს ბუნებრივია, ვინაიდან საქართველოს რეგიონებად დაყოფა გულისხმობს ქვეყნის ერთიან სივრცეში ახალი, თვისებრივად განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტების წარმოქმნას. ამიტომ ცხადია, თითოეული რეგიონის ენერგეტიკული მეურნეობის მდგომარეობა ნათლად ასახება მთლიანად ქვეყნის ენერგეტიკაზე. 90-იან წლებში ისეთი ვითარება ჩამოყალიბდა, რომ ენერგეტიკა ყველა რეგიონში ერთგვაროვანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ განსაკუთრებით კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ აფხაზეთში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის ნგრევა ძირითადად განაპირობა ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა, რომელსაც შედეგად მოჰყვა საომარი მოქმედებების დაწყება 1992 წელს. სწორედ ამ პერიოდში განხორციელებულმა ძარცვამ და ყაჩაღობამ მნიშვნელოვანი დალი დაასვა აფხაზეთის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგს. განადგურდა და მწყობრიდან გამოვიდა მატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი. უდიდესი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ, ენერგეტიკამ, კავშირგაბმულობამ, საკურორტო და კომუნალურმა მეურნეობებმა.

ძირითადი ტექსტი

სათბობ-ენერგეტიკული რესურსები განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეკონომიკურ საქმიანობაში და შესაბამისად, საზოგადოების განვითარებაში. იგი ერთის მხრივ, თავად წარმოადგენს მატერიალურ რესურსს, ხოლო მეორეს მხრივ, აუცილებელი საშუალებაა სხვა

რესურსებისა და მთელი სანარმოო აპარატის გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისათვის. იგი წარმოადგენს ქვეყნის ძლიერებისა და სიმდიდრის წყაროს, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მყარ საფუძველს. ფლობდე საკმარის ენერგორესურსებს და შეგეძლოს სწორად გამოიყენო იგი, ეს ნიშნავს გქონდეს საიმედო ბაზა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნებისმიერი პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის. სათბობ-ენერგეტიკული ბაზის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ სახის ენერგორესურსების არა მარტო არსებობას, არამედ მათ ტერიტორიულ განლაგებასაც.

სათბობი მრეწველობა საქართველოში მოიცავს შემდეგ დარგებს: ნავთობმომპოვებელ, ნავთობგადამამუშავებელ და ნახშირის მრეწველობას. პირველყოფილი მდგომარეობიდან თანამედროვე ცივილიზაციამდე გადასვლის გრძელსა და რთულ გზაზე გიგანტურ ნახტომად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის მიერ „ცეცხლის მოთვინიერება“. აღმოჩენა, რომელსაც კაცობრიობა დიდხანს ელოდა, მდგომარეობდა იმაში, რომ ცეცხლს გარდა გათბობისა, თურმე შეეძლო მექანიკური მუშაობის შესრულება, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა ადამიანის ფიზიკურ შრომას და დიდ ბიძგს აძლევდა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სათბობი მრეწველობა განისაზღვრება მხოლოდ ნახშირის მრეწველობით. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული ბალანსი ტრადიციულად დეფიციტურია, წლების განმავლობაში ყოველივე ამას განაპირობებდა მის ცალკეულ რეგიონებში არსებული მდგომარეობაც. ასე მაგალითად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული სათბობი რესურსების /ნახშირის/ რაოდენობა ყოველთვის დეფიციტური იყო წარმოების დონესთან შედარებით, დანაკლისი ივსებოდა ქვეყნის გარედან შემოტანილი ნახშირით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დეფიციტი თანდათან ღრმავდებოდა. 1990 წლის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების საქმე ძირეულად შეიცვალა. ორივე მიმართულებით მდგომარეობა მკვეთრი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ცენტრალური მომარაგება შეწყდა და საწარმოები მზად არ აღმოჩნდნენ ახალ პირობებში სამუშაოდ, ამან კი წარმოშვა მწვავე ენერგეტიკული კრიზისი.

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული ტყვარჩელის ნახშირის საბადო ცნობილია 1881 წლიდან. იგი მოიძია ვ. მოკრინსკიმ და ამავე წელს შევიდა ექსპლუატაციაში. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი აფხაზეთში ნახშირის მრეწველობის აღმოცენებას. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ათვისებასთან ერთად, აიგო რკინიგზის შტო ოჩამჩირე-კვეზანი, საბაგირო გზა ქვანახშირის გადასატანად, ქვანახშირის გამადიდრებელი ფაბრიკა და „ტყვარჩელ-ქვანახშირის“ სხვა ობიექტები, რამაც ეს ტერიტორია რეგიონისა და მთლიანად საქართველოს

ერთ-ერთ დიდ სამრეწველო დასახლებულ პუნქტად გადააქცია. ქვანახშირის სატრანსპორტო საბაგირო ხაზის არსებობამ განაპირობა ტყვარჩელსრესის მშენებლობა, რასაც საფუძველი ჩაეყარა 1933 წელს.

თანამედროვე ეტაპზე რეგიონის ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნახშირის მრეწველობის აღდგენა, ხოლო ამ უკანასკნელს კი უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი გამოიყენება მეტალურგიაში /მაღალხარისხიანი საკოქსე ნახშირი/, ენერგეტიკაში /საწვავის სახით/, ქიმიურ მრეწველობაში /ქიმიური პროდუქტების მისაღებად/, სოფლის მეურნეობაში /სასუქების დასამზადებლად/. ნახშირის თბოუნარიანობა სამჯერ აღემატება შეშის და ორჯერ ტორფის თბოუნარიანობას. ამ ხარისხით იგი მხოლოდ ნავთობს და გაზს ჩამორჩება. ნახშირისგან მიიღება აგრეთვე თხევადი საწვავი.

საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი აირისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ ნახშირის მოხმარება ქვეყნის ეკონომიკაში მინიმუმადე დავიდა, რის შემდეგაც მისი მოპოვება ბოლო ათეული წლების განმავლობაში თანდათანობით შემცირდა, ხოლო შემდგომ კი ნახშირის მოპოვება საერთოდ შეწყდა. ეს ხდება იმ დროს, როცა ადგილობრივი ნახშირის გამოყენების ბაზაზე შესაძლებელია ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების სტაბილიზაციის ხელშეწყობა საბაზისო თესების ამოქმედების ხარჯზე. ადგილობრივი ნახშირის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ეკოლოგიური, უსაფრთხო, მაღალეკონომიური ტექნოლოგიების ბაზაზე. ცხადია, ამისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები, პარალელურად გათვალისწინებულ უნდა იქნას ნახშირიდან ხელოვნური სათბობის მიღების ეკონომიკური ეფექტურობის და ტექნიკური შესაძლებლობის განხილვის მიზანშეწონილობაც.

დღესდღეობით საქართველოში პერსპექტიულად მხოლოდ ტყიბული-შაორის საბადოა მიჩნეული, ვინაიდან ტყვარჩელის ნახშირის საბადოს ათვისება შეჩერებულია აფხაზეთის ომის შემდეგ. აღნიშნულ საბადოზე ექსპლუატაციაში იმყოფებოდა ხუთი შახტი, რომლებიც ერთ შახტსამმართველოში ერთიანდებოდნენ. მას შემდეგ, რაც აფხაზეთში დაიწყო ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს დამუშავება, ექსპლუატაციის პირველ წელს აქ ამოიღეს 89 ათ.ტ. ნახშირი. რეგიონში ნახშირის მრეწველობის ჩასახვამ ბიძგი მისცა მისი ეკონომიკის განვითარებას. 1937-1940 წწ. საქართველოს ნახშირის მრეწველობაში თანდათან შემცირდა მისი ძირითადი ბაზის ტყიბულის საბადოს და შესაბამისად, გაიზარდა ტყვარჩელის საბადოს ხვედრითი წილი. ამ პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა მთლიანად საქართველოში მოპოვებული ქვანახშირის მოცულობის 32,5%. 1945-1948 წწ. ტყვარჩელში ერთმანეთის თანმიმდევრობით დაიწყო ახალი შახტების მშენებლობები: №2 შახტი-1945 წ, №4-1949 წ, №5-1951 წ, №3-1953 წ, №6-1955 წ. მათი ჯამური სიმძლავრე შეადგენდა 870 ათ. ტ. წელიწადში.

ნახშირის მოპოვების დინამიკა ტყვარჩელში /ათ.ტ./

წლები	ნახშირის მოპოვება საქართველოში		ტყვარჩელი	ტყვარჩელის ხვედრითი წილი ნახშირის საერთო მოპოვებაში, %
	სულ	მათ შორის, საკოქსე		
1960	2 850	2 165	1 244	43,6
1965	2 621	2 047	1 006	38,3
1970	2 298	1 786	952	41,4
1975	2 050	1 666	758	36,9
1980	1 860	1 462	598	32,1
1985	1 674	1 313	469	28,0
1986	1 712	1 360	459	26,8
1987	1 620	1 250	438	27,0
1988	1 426	1 085	426	29,8
1989	1 152	844	282	24,4
1990	955	702	290	30,3

წყარო: შედგენილია სახელმწიფო დეპარტამენტ „საქნახშირის“ მონაცემების საფუძველზე

ნახშირის მრეწველობა აფხაზეთში და მთლიანად საქართველოში 1960 წლამდე აღმავალი გზით მიდიდა. ყველაზე დიდ მაჩვენებელს მან 1958 წ. მიაღწია. ამ პერიოდში სულ მოპოვებულ იქნა 3 014 ათ. ტ. ნახშირი, რომელიც სარეკორდო მაჩვენებელია საქართველოს ნახშირის მრეწველობის ისტორიაში.

1960 წლიდან 1990 წლამდე ტყვარჩელში ნახშირის მოპოვების დინამიკას ასახავს **ცხრილი 1**.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ნახშირის მოპოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ტყვარჩელში და მთლიანად საქართველოში შეინიშნებოდა 1960 წ. და იგი შესაბამისად შეადგენდა: ტყვარჩელში - 1 244 ათ.ტ, საქართველოში - 2 850 ათ.ტ. 60-იანი წლებიდან მოყოლებული კი იგი კლების ტენდენციით ხასიათდება. ასე მაგალითად, 1970 წ. 1960 წ.-თან შედარებით ნახშირის საერთო მოპოვებამ შეადგინა 76,5%, 1980 წ. 1970 წ.-თან შედარებით 62,8%, 1990 წ. 1980 წ.-თან შედარებით 48,5%, 1990 წ. 1960 წ.-თან შედარებით კი 23,3%. ასევე თანდათანობით მცირდება ტყვარჩელის საბადოს ხვედრითი წილიც ნახშირის საერთო მოპოვებაში. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 1960 წ. და შეადგენდა 43,6%, ყველაზე დაბალი კი 1989 წ. და იგი უდრიდა 24,4%. 1990 წ. საქართველოში ექსპლუატაციაში მყოფი ორი საბადოდან მოპოვებულია 955 ათ.ტ. ნახშირი, აქედან 665 ათ.ტ. ანუ 69,7% ტყიბულის, ხოლო 290 ათ.ტ. ანუ 30,3% ტყვარჩელის საბადოზე. რაც შეეხება ნახშირის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობას, იგი ასეთია: 90-იანი წლებისათვის ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების მარაგი ძლიერ შემცირდა ვიდრე 80-იან წლებში, როდესაც ტყვარჩელსრესზე ნახშირის დღე-ღამური ხარჯი შეადგენდა 3 ათ.ტ.-მდე, წლიური კი 900 ათ.ტ. ნატურალურ სათბობს /505 ათ.ტ.პ.ს./ ამ პერიოდში ნახშირი რეგიონში შემოჰქონდათ ტყიბულიდან, დონბასიდან და კურახოვოდან. 1990 წ. ტყვარჩელის ქვანახშირის შუალედური პროდუქციის ხარისხი თითქმის

ორჯერ გაუარესდა, რამაც შეამცირა ტყვარჩელსრესის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, გაიზარდა ნახშირის მოპოვების თვითღირებულება. სანავის დიდი ნაცრიანობის გამო, გაძნელდა ქვაბდანადგარების ექსპლუატაცია და ტყვარჩელში მძიმე ეკოლოგიური ვითარება შეიქმნა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1987 წ. ენერგეტიკის საკავშირო სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ტყვარჩელსრესის ბუნებრივ გაზზე გადაყვანის შესახებ. ამასთან დაკავშირებით კი დაიწყო გაზის მილსადენების მშენებლობა, მანამდე ტყვარჩელსრესს ამუშავებდნენ მაზუთზე. ვინაიდან აფხაზეთში 1992 წ. დაიწყო საომარი მოქმედებები, თითქმის დასრულებული მილსადენები ექსპლუატაციაში არ შესულა და შესაბამისად ტყვარჩელსრესის გაზზე გადაყვანის გეგმაც არ განხორციელებულა.

1990-1991 წწ. რეგიონის ნახშირის მრეწველობაში არსებულ მდგომარეობას ნათლად ასახავს **ცხრილი 2**.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ნახშირის მოპოვება /ღირებულებით განზომილებაში/ 1991 წ. შემცირდა წინა წელთან შედარებით 29,3%-ით, ხოლო დარგში მომუშავეთა რიცხოვნობა კი 10,8%-ით. სამრეწველო საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულება 1991 წ. იყო - 61732 /ათ.მან./, 1990 წ. კი - 64588 /ათ.მან./, 1991 წ. სათბობი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში შეადგენდა - 5265 /ათ.მან./, 1990 წ. კი - 7342 /ათ.მან./ აქედან გამომდინარე, ფონდუკუგების მაჩვენებლის სიდიდე განისაზღვრა შესაბამისად 1991 წ. - 0,085 /მან./ და 1990 წ. - 0,114 /მან./, ე.ი. აღნიშნული მაჩვენებელი 1991 წ. შემცირდა წინა წელთან შედარებით 25,4%-ით. რაც შეეხება ფონდალჭურვილობას, ეს მაჩვენებელი 1991 წ. შეადგენდა - 39471 /მან./, 1990 წ. კი - 36823 /მან./, ე.ი. შეინიშნებოდა ზრდის ტენდენცია წინა წელთან შედარებით 7,2%-ით.

1992 წლიდან აფხაზეთში ნახშირის მოპოვება შეწყვიტა ტყვარჩელის შახტებმა, რაც ამ პერიოდში რეგი-

ცხრილი 2.

აფხაზეთის სათბობი მრეწველობის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები 1991 წ.

დარგი	საწარმოთა რაოდენობა	1990 წ.		1991 წ.		ზრდის ტემპი 1991წ.1990 წ.- თან შედარებით, %	
		მომუშავეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა /კაცი/	პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში /ათ. მან./	მომუშავეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა /კაცი/	პროდუქციის მოცულობა შესადარ ფასებში /ათ. მან./	პროდუქცია	სამრეწველო პერსონალი
სათბობი მრეწველობა /ნახშირის მრეწველობა/ ა) ნახშირის მოპოვება ბ)ნახშირის გამდიდრება	3	1 754	7 342	1 564	5 265	71,7	89,2
	2	1 587	5 804	1 405	4 104	70,7	88,5
	1	167	1 538	159	1 161	75,5	95,2

წყარო: შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

ონში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებას უკავშირდება. 90-იან წლებში დეპარტამენტ „საქნახშირის“ მიერ გაკეთებული პროგნოზის მიხედვით, რომელსაც მხარს უჭერდა ევროკავშირის „ტასისის“ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საქართველოს ნახშირის მრეწველობის განვითარების პროექტი, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში შახტების რეაბილიტაციისათვის და მათი მწარმოებლობის სწრაფი მიღწევისათვის პირველ ეტაპზე საჭირო იყო 4 მლნ. აშშ. დოლარი. ამ პროგრამაში აფხაზეთიდან სათანადო მასალების უქონლობის გამო, არ იყო აღნიშნული ინფორმაცია ტყვარჩელის ნახშირის საბადოზე ნახშირის მოპოვების შესახებ. აქ, როგორც ცნობილია, ენერგეტიკული და კოქსვადი ნახშირის მარაგი 21 მლნ.ტ. შეადგენს. მას შემდეგ, როცა შეიქმნება შესაბამისი პირობები, ეს კი ნიშნავს რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენას, დარგის ხელახალი აღორძინების საწყის ეტაპზე, ნახშირის მოპოვების პროგნოზულმა მაჩვენებელმა შეიძლება შეადგინოს 200, ხოლო შემდეგ 300-400 ტ. წელიწადში. აქ რეაბილიტაციას საჭიროებს მე-3, მე-6 და მე-8 შახტები, რომელთაგან პერსპექტიულია მე-8 შახტი. ადგილობრივი ნახშირით უნდა ამოქმედდეს ტყვარჩელსრესი / რომელმაც შეწყვიტა ფუნქციონირება საკუთარი საწვავით როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1987 წ./, ამისათვის კი აუცილებელი იქნება შესაბამისი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება. ვინაიდან უკანასკნელ წლებში /1987-1992/ თბოელექტროსადგური მთლიანად გადავიდა მაზუთის მოხმარებაზე, ცხადია, რეგიონში ნახშირის მრეწველობის აღდგენის კვალდაკვალ, საჭირო იქნება ტყვარჩელსრესის ხელახალი გადამამუშავება ნახშირზე, ამისათვის კი უნდა დაიდგას ნახშირდამამუშავებელი დანადგარები და გატარდეს სხვა შესაბამისი

ლონისძიებები. ტყვარჩელსრესის ამოქმედებით, ტყვარჩელის ნახშირის შახტების ათვისების განახლების საფუძველზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდება. თუ არ აღმოიფხვრება /ეს დამოკიდებულია ნახშირის მოპოვების მასშტაბებზე/ ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტი, გვექნება საიმედო, გარე მიწოდებისაგან დამოუკიდებელი ბაზა, ამით კი შესაძლებლობა შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობის ხელახალი შრომითი მოწყობისა და სხვადასხვა სოციალური საკითხების მოგვარებისათვის. სათბობი მრეწველობის აღდგენას დღესდღეობით რეგიონში, უაღრესად დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს არა მარტო აფხაზეთის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის.

დასკვნა

რეალური ენერგეტიკული რესურსი, რომელიც ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია ჰიდროელსრესების შემდეგ, ეს არის ნახშირი. წლების განმავლობაში ტყვარჩელის ნახშირის მრეწველობას ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. კერძოდ, იგი პირველ რიგში უზრუნველყოფდა შავ მეტალურგიას /რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას/ და ელექტროენერგეტიკას /ტყვარჩელსრესი/. ნახშირის როლის ლიკვიდაციამ რეგიონის ენერგოუზრუნველყოფაში, მეტად მძიმე შედეგები იქონია მისი ეკონომიკის განვითარებაზე. საჭირო გახდა გარედან ეკვივალენტური ოდენობით სხვადასხვა ენერგიაშემცველების შემოტანა, რაც ასევე მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს ბიუჯეტს. ამავდროს გამოუყენებელი რჩება ადგილობრივი რესურსები, როგორც ბუნებრივი, ისე შრომითი, მცირდება სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის საიმედოობა. აფხა-

ზეთში ნახშირის მრეწველობის უკვე არსებული სანედლეულო ბაზა სავსებით საკმარისია ამ დარგის აღდგენა-განვითარებისათვის. მაგრამ ასევე საჭიროა სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურად შესწავლილი მარაგების ახლით შევსება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე რეგიონში გამოვლენილ პერსპექტიულ საბადოთა შემდგომი ათვისების საკითხებს. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნახშირის პოტენციური ბაზარი, როგორც მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის, საკმაოდ ფართო იქნება. ეს შეეხება როგორც სამინაო ბაზარს ქვეყნის შიგნით, ისე სააგარეოსაც მის ფარგლებს გარეთ. ქართული ნახშირის ტრადიციული მომხმარებელია სომხეთი, გარდა ამისა, ბოლო პერიოდში გამოჩნდა ახალი პოტენციური საექსპორტო ბაზარიც - თურქეთის, საბერძნეთის და ბულგარეთის სახით.

აფხაზეთში ნახშირის მრეწველობის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონის მრავალი სოციალური და პოლიტიკური ამოცანის გადანაცველს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, 1997 წ.;
2. ჩომახიძე დ., მრეწველობისა და ენერგეტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1996-1997 წლებში, თბ, 1996 წ.;
3. ჩომახიძე დ., ბიბილაშვილი ლ., საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი: შედეგები და ამოცანები, ეკონომიკის სკი, შრომების კრებული, ტ. I. თბ, 1996 წ.;
4. არველაძე რ., საქართველოს რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების პრობლემები. თბ, 1993 წ.;
5. ეკონომიკური ვითარება აფხაზეთში, სეპარატისტული რეჟიმის ფინანსური და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბ, 1998 წ.;
6. ღვინჯილია ვ., საქართველოს რესპუბლიკის ნახშირის მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა, ნახშირის მარაგები, მათი მოპოვებისა და გამოყენების პერსპექტივები, ჟ. ენერგია, 1997 წ, №1;
7. ყუშიტაშვილი ა., ქვანახშირის მრეწველობის განვითარება საქართველოში. თბ, „საბჭოთა საქართველო“, 1997 წ.;
8. გვარამია ნ., აფხაზეთის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების მიმართულებები, სადისერტაციო ნაშრომი, 2002 წ.;
9. <https://abkhazia.gov.ge/saministro/MINISTRY-OF-FINANCE-AND-ECONOMY>;
10. <https://Kavkaz-uzel.eu>;
11. <https://jam-news.net>topic>;
12. <https://tass.ru> <https://sputnik-abkhazia.ru>.

თანამედროვე სწავლების მეთოდები ქართულ უნივერსიტეტებში: გამოწვევები და პერსპექტივები

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.08>



ნონა ქეცბაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0007-0173-7564>
Email: nonaketsbaia1972@gmail.com



ნინო ქეცბაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი
<https://orcid.org/0009-0001-2042-8368>
Email: ketsbaianin@gmail.com

ანოტაცია

სტატია ეძღვნება თანამედროვე სწავლების მეთოდების ინტეგრაციას ქართულ უნივერსიტეტებში და იკვლევს მათ გავლენას აკადემიურ შედეგებზე, სტუდენტთა მოტივაციასა და სასწავლო პროცესის ზოგად ხარისხზე. ასევე, გამოკვეთილია განსაკუთრებით ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და პროექტებზე მორგებული სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული შესაძლებლობები და გამოწვევები. წარმოდგენილია ქართულ უნივერსიტეტებში, ტექნოლოგიური პროგრესითა და სოციალური-ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული მიმდინარე ტრანსფორმაციების შესახებ კვლევა.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მოცემული კვლევა წარმოადგენს თეორიულ-ანალიტიკურ ნაშრომს, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე აკადემიური ლიტერატურის სისტემურ მიმოხილვაზე, კომპარატიულ ანალიზსა და კონტექსტუალური ფაქტორების ინტერპრეტაციაზე. კვლევაში გამოიყენება საერთაშორისო და ადგილობრივი წყაროების შედარებითი ანალიზი, რაც შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს, როგორც გლობალური ტენდენციების გავლენა, ასევე ქართული საგანმანათლებლო სივრცის სპეციფიკა. შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე პედაგოგიური მიდგომები, მათ შორის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, აქტიური სწავლების სტრატეგიები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ციფრული ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, ინტეგრაცია თანმიმდევრულად იკავებს ადგილს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების მოდელების სწრაფ განვითარებას, რამაც საგრძნობლად დააჩქარა ციფრული ტექნოლოგიებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.

მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს სწავლების თანამედროვე მეთოდების სისტემურ და თანმიმდევრულ დანერგვას ქართულ უნივერსიტეტებში. კვლევაში დასტურდება, რომ კვლავაც მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული რესურსების პრობლემა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების შემთხვევაში. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიებთან პროფესორ-მასწავლებელთა დაბალი კომპეტენცია, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის ინოვაციური მიდგომების ეფექტიან დანერგვას. გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა- სტუდენტთა ნაწილის დაბალი მოტივაცია და ტრადიციულ, პასიურ სწავლებაზე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება. წარმოდგენილია რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, ინფრასტრუქტურული საფუძვლების გაძლიერება, სტუდენტთა ჩართულობის ამაღლება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა განათლების ხარისხის ამაღლებისა და უნივერსიტეტების თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური აღქმისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინტერაქტიული სწავლება, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, ციფრული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი.

MODERN TEACHING METHODS IN GEORGIAN UNIVERSITIES: CHALLENGES AND PROSPECTS

NONA KETSBAIA

Associate Professor, Faculty of Humanities,
Sukhumi State University
<https://orcid.org/0009-0007-0173-7564>
E-mail: nonaketsbaia1972@gmail.com

NINO KETSBAIA

Associate Professor, Faculty of Business and Social Sciences,
Sukhumi State University
<https://orcid.org/0009-0001-2042-8368>
E-mail: ketsbaianin@gmail.com

ANNOTATION

The article is dedicated to Modern Teaching Methods Integration Georgian In universities and investigates Their influence Academic On the results, Students Motivation And Educational Process In general On quality. The article highlights the opportunities and challenges associated with interactive, student-centered, technology-based, and project-based teaching methods. It presents research on the ongoing transformations in Georgian universities caused by technological progress and socio-economic changes.

From a methodological point of view, this study is a theoretical-analytical work based on a systematic review of modern academic literature, comparative analysis and interpretation of contextual factors. The study uses a comparative analysis of international and local sources, which makes it possible to assess both the impact of global trends and the specifics of the Georgian educational space. The analysis of the results shows that modern pedagogical approaches, including student-centered learning, active learning strategies, project-based learning and the integration of digital technologies and artificial intelligence, are consistently taking their place in the Georgian higher education system. It is worth noting that the COVID-19 pandemic has given a significant impetus to the rapid development of distance and hybrid learning models, which has significantly accelerated the introduction of digital technologies and innovative teaching methods.

Despite positive trends, the study identified several problems that significantly limit the systematic and consistent implementation of modern teaching methods in Georgian universities. The study confirms that the problem of infrastructural resources remains acute, which is especially noticeable in the case of regional higher education institutions. In addition, the low competence of professors and teachers with digital technologies often prevents the effective implementation of innovative approaches. Another problem was identified - low motivation of some students and their attitude towards traditional, passive learning. Presented Recommendations Educational Process For improvement: Teachers Professional Development, infrastructure Basics Strengthening, Students Engagement Ascension And International Cooperation Expansion. The above Research Important There is a possibility Education Quality Ascension And Universities Modern Challenges Adequate For perception.

Keywords: Interactive learning, student-centered approach, digital technologies, artificial intelligence.



ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სამყაროში განათლება მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას, რაც განპირობებულია როგორც ტექნოლოგიური პროგრესით, ასევე ცვლადი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით. უნივერსიტეტებში სწავლების ტრადიციული ფორმები, როგორებიცაა ლექცია და აუდიტორიული განხილვა, აღარ ითვლება საკმარისად ეფექტურად იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ მაღალი დონის ცოდნა და უნარები რეალურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად. სწორედ ამიტომ მსოფლიოს უნივერსიტეტებში შეიცვალა მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია აქტიურ სწავლებაზე, ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებსა და კოლაბორაციულ გარემოზე. საქართველოც არ არის ამ პროცესის მიღმა.

ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ცდილობენ უპასუხონ ახალ გამოწვევებს და დაწესებულებების ინოვაციური სწავლების მეთოდები, რათა სწავლა გახდეს უფრო ინტეგრირებული, პრაქტიკაზე ორიენტირებული და შესაბამისი თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი. მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე ადამიანურ რესურსებს. მოცემულ სტატიაში განხილულია, თუ როგორ გამოიყენება თანამედროვე სწავლების მეთოდები ქართულ უნივერსიტეტებში თეორიული თვალსაზრისით. გაანალიზებულია ძირითადი მიდგომები, მათი უპირატესობები და სირთულეები, ასევე შეფასებულია მათი პოტენციური გავლენა სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებსა და მოტივაციაზე.

თანამედროვე სწავლების მეთოდები ეფუძნება პედაგოგიურ მიდგომებს, რომელთა მიზანია სტუდენტი აქციონ ცოდნის პასიური მიმღებიდან აქტიურ შემოქმედებად. ასეთ მიდგომებს აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება. ეს მეთოდი გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც სტუდენტი არის სასწავლო პროცესის ცენტრში. ლექტორის როლი აქ ტრანსფორმირდება ცოდნის, ინფორმაციის „გამცემი“ წყაროდან პროცესის მოდერატორად და მიმართულების მიმცემად. მისი მახასიათებლებია ინდივიდუალური და გუნდური დავალებები; სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება; თვითრეფლექსია და თვითშეფასება. ქართულ რეალობაში ზოგიერთ უნივერსიტეტში უკვე დანერგილია სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და არჩევით საგანთა სისტემები, რაც ამ მეთოდის ნაწილია;

2. აქტიური სწავლების მეთოდები. აქტიური სწავლება გულისხმობს სტუდენტის ჩართულობას პრაქტიკულ, ანალიტიკურ და პრობლემებზე დაფუძნებულ საქმიანობებში. მაგალითად, დისკუსიები და დებატები; შემთხვევების ანალიზი (case study); როლური თამაშები; გუნდური პროექტები. ქართულ რეალობაში ამ მეთოდის ელემენტები განსაკუთრებით გამოიყენება სამართლის, ბიზნესისა და განათლების ფაკულტეტებზე. თუმცა ტექნიკურ სპეციალობებში ჯერ კიდევ დომინირებს ლექციური მოდელი;

3. პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning, PBL). ამ მეთოდით სტუდენტები იღებენ ცოდნას კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან პროექტის განხორციელების პროცესში. მისი მიზანია კომპლექსური აზროვნების, გუნდური მუშაობის უნარის გამომომუშავება. ქართულ რეალობაში არაერთი ტექნიკური და IT მიმართულების პროგრამა უკვე მოიცავს პროექტულ დავალებებს, განსაკუთრებით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე;

4. ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება. თანამედროვე ტექნოლოგიები ქმნის სრულიად ახალ საგანმანათლებლო სივრცეს. ონლაინკურსები, ჰიბრიდული მოდელები და ინტერნაქტიული პლატფორმები (Moodle, Zoom, MS Teams და სხვა) სტუდენტებს აძლევს მოქნილობასა და დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. კოვიდპანდემიამ დააჩქარა ამ მეთოდების დანერგვა. დღეს თითქმის ყველა უნივერსიტეტს გააჩნია LMS (Learning Management System) პლატფორმა.

5. ჰიბრიდული სწავლების მოდელი. ჰიბრიდული სწავლება აერთიანებს ტრადიციულ (აუდიტორიულ) და ონლაინმეთოდებს. ის სტუდენტს აძლევს თავისუფლებას დროისა და სივრცის მხრივ, ხოლო ლექტორს - შესაძლებლობას, მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს რესურსები.

ჰიბრიდული სწავლება განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება რეგიონებში არსებულ უნივერსიტეტებში, სადაც ფიზიკური დასწრება ყოველთვის შესაძლებელი არ არის.

სწავლების თანამედროვე მეთოდია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია უნივერსიტეტებში - AI ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლების პერსონალიზაციას, ეფექტურობასა და ინკლუზიურობას, რაც განსაკუთ-

რებით მნიშვნელოვანია დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების კონტექსტში.

მეთოდოლოგია. მოცემული კვლევა წარმოადგენს თეორიულ-ანალიტიკურ ნაშრომს, რომლის მიზანია თანამედროვე სწავლების მეთოდების ზოგადი მახასიათებლების, მათი გამოყენების შესაძლებლობებისა და გამოწვევების გაანალიზება ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. კვლევა არ ემყარება ემპირიულ მონაცემებს, არამედ ეყრდნობა საგანმანათლებლო თეორიებს, აკადემიურ წყაროებს, პოლიტიკურ დოკუმენტებსა და არსებული უნივერსიტეტების პრაქტიკულ გამოცდილებას. კვლევის მეთოდები:

კომპარატიული ანალიზი. კვლევაში შედარებულია სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები, მათ შორის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით ევროპის) უნივერსიტეტების გამოცდილება.

კონტექსტუალური ანალიზი. გამოყენებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის კულტურულ-სამართლებრივი კონტექსტის გაანალიზება, რაც იძლევა იმის გაგებას, როგორ პირობებში ხდება სწავლების მეთოდების ადაპტაცია. კვლევის ობიექტი: ქართული უნივერსიტეტები.

კვლევის მიზნები: აღწეროს თანამედროვე სწავლების მეთოდების თეორიული საფუძვლები; გაანალიზოს მათი ინტეგრირების შესაძლებლობები ქართულ უმაღლეს განათლებაში; შეაფასოს ძირითადი ბარიერები და მხარდაჭერის მექანიზმები.

შედეგები: თეორიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვა და ინტეგრაცია ქართულ უნივერსიტეტებში თანმიმდევრულად მიმდინარეობს, თუმცა რიგი სისტემური და სტრუქტურული დაბრკოლებები ჯერ კიდევ საგრძნობია. კვლევის შედეგები შეგვიძლია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

1. დადებითი ტენდენციები: ინოვაციური მიდგომების ზრდა; ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტზე ორიენტირებული, აქტიური და პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება სხვადასხვა ფაკულტეტზე. **ტექნოლოგიური პლატფორმების ინტეგრაცია:** უნივერსიტეტების უმეტესობას უკვე გააჩნია ონლაინსწავლების მხარდაჭერა (LMS პლატფორმები, Zoom/MS Teams), რაც ქმნის ჰიბრიდული სწავლების საფუძველს. სასწავლო პროცესის დივერსიფიკაცია: ქართულ უნივერსიტეტებში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს სწავლების მრავალფეროვანი ფორმატები - დისკუსიები, ჯგუფური დავალებები, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.;

2. სირთულეები და გამოწვევები: ლექტორების გადამმზადება, ტრენინგები: ყველა აკადემიური პერსონალი არ ფლობს თანამედროვე პედაგოგიურ ტექნიკებს ან ციფრულ კომპეტენციებს, რაც ზღუდავს ახალი მიდგომების ეფექტურად დანერგვას.

სტუდენტთა დაბალი მოტივაცია: ზოგიერთი სტუდენტი ჯერ კიდევ მიჩვეულია ტრადიციულ, პასიურ სწავლებას და უჭირს ჩართულობა ინტერაქტიულ და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ პროცესში. **ინფრასტრუქტურული პრობლემები:** რეგიონულ უნივერსიტეტებში ხშირად არ არსებობს საკმარისი ტექნიკური რესურსები თანამედროვე სწავლების სრულფასოვანი უზრუნველყო-

ფისთვის (ინტერნეტი, ტექნიკა, სივრცე). **თეორიისა და პრაქტიკის დისბალანსი:** მიუხედავად იმისა, რომ განათლების სტრატეგიები და რეგულაციები მხარს უჭერენ ინოვაციებს, პრაქტიკაში მათი განხორციელება სარისკოა ბიუროკრატიული და ფინანსური შეზღუდვების გამო.

3. შესაძლებლობები: საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა ქმნის მყარ საფუძველს თანამედროვე სწავლების სისტემატური განვითარებისთვის. ახალგაზრდების მზარდი დაინტერესება ტექნოლოგიებით ამარტივებს ციფრული სწავლების მოდელების დანერგვას. უნივერსიტეტების მზარდი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (მაგ., Erasmus+, Tempus) ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

მოცემულ კვლევაში იდენტიფიცირებული ტენდენციები და გამოწვევები ნათლად აჩვენებს, რომ ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარეობს გარდამავალი პროცესი ტრადიციული სწავლებიდან ინოვაციური და სტუდენტზე ორიენტირებული მოდელისკენ. თეორიები, როგორებიცაა: კონსტრუქტივიზმი, აქტიური სწავლების მოდელები, შერეულ-ბლენდირებული სწავლების პრინციპები, ადასტურებს იმ მიდგომების ეფექტურობას, რომლებიც ჩვენ დაგვანახა კვლევის თეორიულმა ანალიზმა. აღნიშნული მიდგომები არა მხოლოდ აუმჯობესებს აკადემიური პროცესის ხარისხს, არამედ აძლიერებს სტუდენტების კრიტიკულ და პრაქტიკულ უნარებს. შედეგების განხილვისას გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო მიგნება: სტრატეგიული წინსვლა არსებობს, თუმცა ის არ არის ერთგვაროვანი - წამყვანი უნივერსიტეტები აჩვენებენ პროგრესულ მიდგომებს, მაგრამ რეგიონული დაწესებულებები ხშირად ამ პროცესს ჩამორჩებიან. ციფრული სწავლების შესაძლებლობები რეალურად გამოიყენება, თუმცა ჯერ კიდევ შეზღუდულად. მიუხედავად ონლაინ პლატფორმების დანერგვისა, მათი პედაგოგიური პოტენციალი სრულად არ გამოიყენება. მაგალითად, ბევრი კურსი უბრალოდ ლექციების ონლაინ ჩანაწერებად იქცა, რაც თანამედროვე სწავლების არსს ვერ გამოხატავს.

სტუდენტების ჩართულობის პრობლემები მეტყველებს იმაზე, რომ მხოლოდ სწავლების მეთოდის შეცვლა არ არის საკმარისი - საჭიროა პარალელურად განვითარდეს სწავლების კულტურა და დამოკიდებულება როგორც სტუდენტებში, ისე აკადემიურ პერსონალში. მათი გადამზადება რჩება გადამწყვეტ ფაქტორად - თეორიული მეთოდების პრაქტიკულად გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლექტორებს ექნებათ საჭირო კომპეტენცია და მოტივაცია. ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განხილული მეთოდების ქართულ კონტექსტში დანერგვის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა არსებობს რეალური პერსპექტივა - განათლების პოლიტიკა, საერთაშორისო კავშირები და ტექნოლოგიური პროგრესი ქმნის საფუძველს ფართომასშტაბიანი რეფორმებისთვის.

დასკვნა

მოცემულმა თეორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე სწავლების მეთოდები - სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, აქტიური სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ტექნოლოგიებზე

დაფუძნებული სწავლება - არსებით როლს თამაშობენ საგანმანათლებლო პროცესის განახლებაში და გაუმჯობესებაში. ქართულ უნივერსიტეტებში მათი დანერგვა უკვე დაწყებულია, თუმცა არ არის ერთნაირად განვითარებული ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მიუხედავად არსებული პოზიტიური ტენდენციებისა, რჩება სისტემური გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ადამიანურ რესურსებთან, ისე ინფრასტრუქტურასა და კულტურულ მდგენელებთან. რეკომენდაციები: აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება: უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სისტემური ტრენინგები და სემინარები თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების შესახებ. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს აქტიური სწავლების ტექნიკებზე და ციფრულ კომპეტენციებზე.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: აუცილებელია აუდიტორიებისა და ონლაინ პლატფორმების ტექნიკური გაუმჯობესება, რათა სტუდენტებს და ლექტორებს ჰქონდეთ ხარისხიანი და ინტერაქტიული სასწავლო გამოცდილება. სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება: სასწავლო პროგრამებში უნდა იყოს მეტი პრაქტიკული კომპონენტი, რეალურ პრობლემებზე დაფუძნებული დავალებები და სივრცე ინოვაციური იდეებისთვის, რაც გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას. განათლების პოლიტიკისა და რეალური პრაქტიკის ჰარმონიზაცია: მნიშვნელოვანია, განათლების სამინისტრომ და თავად უნივერსიტეტებმა უკეთ დააკავშირონ სტრატეგიული მიზნები და ყოველდღიური სასწავლო პრაქტიკა იმგვარად, რომ ინოვაციები რეალურ გავლენას ახდენდნენ სტუდენტთა განვითარებაზე. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება: რეკომენდებულია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში, რათა ქართულ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ წვდომა წარმატებულ პრაქტიკებსა და ინოვაციურ მიდგომებზე.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარათაშვილი მ., (2018). სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მოდელი ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. თბილისი: განათლების მეცნიერებათა ჟურნალი;
2. ხუბუა ნ., (2020). სწავლების ინოვაციური მეთოდები უნივერსიტეტში - გამოცდილება და პერსპექტივები. განათლების კვლევის ჟურნალი, 4(2), 55-63;
3. Aurillard D., (2012). *Teaching as a Design Science: Building Pedagogical Patterns for Learning and Technology*. Routledge;
4. Bates, A. W. (2022). *Teaching in a Digital Age - Guidelines for Designing Teaching and Learning* - ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და თანამედროვე სწავლების მეთოდები;
5. ფოლადაშვილი თ., (2021). სწავლების ინოვაციური მიდგომები და მათი ინტეგრაცია ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში - სტატია განათლების სამეცნიერო ჟურნალში;
6. კობახიძე მ., (2019). სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ქართულ რეალობაში: პრაქტიკული გამოწვევები და პერსპექტივები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევები.

ARTIFICIAL INTELLIGENCE: DEVELOPMENT, CHALLENGES AND PROSPECTS IN GEORGIA

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.09>



NINO KETSBAIA

Associate Professor in Business Administration
at the Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University
<https://orcid.org/0009-0001-2042-8368>
Email: ketsbaianin@gmail.com



NINA KOPIANIDI

PhD student at the Faculty of Business Administration,
Sokhumi State University
<https://orcid.org/0009-0005-9533-3784>
E-mail: nkopianidi@gmail.com

ABSTRACT

This paper „Artificial Intelligence: Development, Challenges, and Perspectives in Georgia” provides a comprehensive discussion of the history of artificial intelligence (AI), exploring its classification, functional characteristics, and various opportunities and challenges that significantly influence its development. It delves into the legal, ethical, and regulatory issues surrounding AI with a particular focus on both international and local legal frameworks. The analysis includes the legal status of artificial intelligence, various models of tort liability, and critical data-protection issues. Special attention is given to the recommendations of the European Parliament and European Commission regarding legal standards for cyber-physical systems and autonomous intelligent robots, which are essential for guiding the responsible development of AI technologies.

In the context of Georgia, this study examines the current state of AI development within the country, highlighting its achievements in the public sector while also identifying significant challenges that hinder further progress. Key obstacles include the need for enhanced technological infrastructure, improvement of the legislative framework governing AI, and necessity for a skilled workforce capable of navigating this rapidly evolving field. To address these challenges, this study presents a series of recommendations aimed at formulating a robust national AI strategy and strengthening the legal framework. These recommendations encompass the creation of specialized working groups, establishment of research and technology centers, and promotion of deeper international cooperation to foster innovation.

Ultimately, this study emphasizes that artificial intelligence has the potential to transform Georgia into a leading driver of innovation and economic growth. Achieving this vision will require coordinated efforts among government entities, academic institutions, and the private sector alongside the mobilization of targeted investments. This strategic approach is crucial to enhance a country's competitiveness and secure a prominent position in the modern technological landscape. By fostering collaboration and innovation, Georgia can harness the transformative power of AI to drive sustainable development and economic prosperity, thus positioning itself as a key player in the global AI arena.

Keywords: Artificial Intelligence (AI), National Strategy for Artificial Intelligence, Cyber-Physical Systems, Tort Liability.

P. (2021). Artificial Intelligence: A Modern Approach (4th ed.). Pearson Education)

Weak artificial intelligence – This is artificial intelligence that specializes in only one specific field and cannot go beyond it. For example, modern smartphones, computers, and the Internet use weak artificial intelligence. They perform specific tasks effectively but cannot be used in other areas.

Strong artificial intelligence: Strong artificial intelligence can use what it has learned not only in one field but also in other fields. It functions at approximately the same level as human intelligence. However, there is no perfect powerful artificial intelligence yet. Individual, very complex systems, such as autonomous control systems, also have weak artificial intelligence because they are only focused on performing specific tasks.

Super artificial intelligence – This intelligence will be smarter than humans and will be able to solve not only specific problems or tasks but also creative and social issues. Super artificial intelligence must be able to define its own goals and values and adapt them to any situation.

In the late 90s and the first decade of the 21st century, artificial intelligence reached its peak of development but still could not replace humans. Scientists have identified several important issues related to physical agents equipped with artificial intelligence. These issues are:

1. Planning: A physical agent with artificial intelligence must have the ability to set goals and accomplish them. Simply put, they should be able to define the future and work with other agents.

2. Learning intelligence refers to the ability to learn. Like humans, a device with artificial intelligence must be able to perceive the environment, learn it, and develop necessary skills.

3. Spoken Language – A robot with artificial intelligence must be able to communicate with humans in their language. Calculations will, of course, take place at the „1“ and „0“ levels, but the result must be presented to people to understand.

4. Moving through space navigation technologies is already highly developed today. A robot with artificial intelligence should be able to determine its location in the environment and choose the correct route.

5. Perception – To perceive the environment, the robot must have sensors, such as visual, auditory, olfactory, thermal, and other biological sensors.

6. Social integration For a – robot, in order for it to be able to communicate properly with humans, it is necessary to actively implement its content so that it can adhere to ethical standards of communication and choose the right behavior. Creativity implies that artificial intelligence must be able to create different options according to the available information and environment. (Russell, S., & Norwig, P. (2021). Artificial Intelligence: A Modern Approach (4th ed.). Pearson education, B. Siciliano, and O. Khatib (Eds.). (2016). Springer Handbook of Robotics

Despite this, the concept of artificial intelligence is still vague. The scientific and technical revolution of the 21st century gave rise to new challenges in modern science. In

addition, legislation in most countries does not contain exact normative definitions of „artificial intelligence“.

The following issues can be distinguished from the legal aspects of artificial intelligence. There is no exact legal definition of artificial intelligence.

1. Is artificial intelligence an independent subject of legal relations?

2. Question on the responsibility of artificial intelligence;

3. ethics and regulation;

4. Data protection and privacy.

Several models of tort liability have been discussed in the scientific and legal literature:

- Tort liability may be imposed on the owner of an artificial intelligence device.

- Tort liability may be imposed on software developers.

- Tort liability may be imposed on operators serving artificial intelligence.

On February 16, 2017, in the resolution of the European Parliament (together with the recommendations of the European Commission) – „Civil Law Norms on Robotics“ – the need to legally define such terms as: „Cyberphysical Systems“, „Smart Autonomous Robots“ and others was voiced. The document envisages that such systems should have the following characteristics: the ability to act autonomously, the ability to exchange data, the acquisition of new knowledge based on acquired experience, the need for minimal physical support, and the ability to adapt to environmental conditions.

Against the background of these global legal and technological trends, Georgia's role and capabilities in the development of artificial intelligence are important. In American and European countries, artificial intelligence is already widely used in industries such as healthcare, education, transport, and finance. Developed countries invest large amounts of resources in AI research, implementation, and regulation, giving them a serious advantage in global competition.

Georgia does not yet have a well-developed technological infrastructure, which is one of the main barriers to the effective implementation of AI. However, the analysis of the experience of advanced countries provides a reason for optimism, and Georgia should not lag behind this most important challenge of the 21st century and should find its place on the map of technological progress.

„Several important studies have already been carried out in the direction of artificial intelligence in Georgia. According to the data of October 2021, the research conducted by the University of Business and Technology (BTU) is particularly noteworthy - „The need to develop a national strategy for AI development of artificial intelligence in Georgia“. In this study, the strategic approaches of different countries are reviewed, and it is emphasized that it is necessary for Georgia to develop a national strategy. The legal basis of the strategy should be the country's constitution and relevant legislative normative acts that ensure the regulation and ethical application of artificial intelligence (AI). It is also important to strengthen the research infrastructure, which requires the involvement of local, regional, and international scientists

to successfully solve complex scientific problems through a unified work platform.

For this you need:

1. Creation of special working committees where both local and international scientists will participate in solving complex scientific challenges.
2. Establishment of Mathematical and Technological Research Centers
3. Establishing a strong legal and ethical framework for artificial intelligence.

The authors of this study offer specific conclusions and recommendations.

1. The creation of a working group for the development of Georgia's artificial intelligence strategy;
2. Create a full-fledged legal framework and establish an ethical framework for the use and implementation of AI;
3. If necessary, Georgia should become a member of the international coalition and cooperate with other European countries in the direction of developing ethics and strategies for the introduction of artificial intelligence (the experience of the above already exists);
4. Establishing special-purpose artificial intelligence research and study centers;
5. To ensure close cooperation between the business sector and academic research institutions (universities);
6. To assess how great a threat can be created in terms of deepening poverty, artificial intelligence was introduced;
7. Write down in detail the amount of necessary investments and activate the existing financial resources; Also allocate an appropriate budget to support the mentioned processes."

"The use of artificial intelligence (AI) in the public sector is being actively developed in Georgia. Several government agencies have used AI technologies in various directions, including:

- 1.Center for Public Safety „112“ – AI technologies are used to manage emergencies to improve response times and processes.
2. The General Prosecutor's Office of Georgia (AI) was used to analyze legal documentation and automate processes.
3. The National Administration of Georgia: Through artificial intelligence, administrative processes are simplified, and service quality is improved.
4. The Education Management Information Center (AI) was used to analyze data and improve the learning process in the field of education.
5. The National Center for Education Quality Development uses AI technologies in quality control and evaluation processes in the education system.

Considering this success, it is important that Georgia does not stop progress and promotes the wider introduction of artificial intelligence. For this, it is necessary to continue the adopted strategic steps, including strengthening the legislation and ethical framework for the development of artificial intelligence, so that the country adapts to the chal-

lenges of the future and becomes a leader in technological innovations in the region."

CONCLUSION

Artificial intelligence is one of the most dynamically developing technological directions of the 21st century and has the potential to significantly change various areas of society, including health, education, and law. ~ The process of artificial intelligence development in Georgia is still at the initial stage and requires a strategic approach from a technological, legal, and ethical point of view.

Despite the existing barriers (poverty of technological infrastructure and imperfection of legal regulations), Georgia has taken important steps in the development and implementation of artificial intelligence. We already have some successful examples of the use of AI in the public sector, which proves the effectiveness and potential of this technology.

For future development, it is necessary to create a national strategy that considers both legal and ethical standards, as well as to strengthen the research and scientific base. International cooperation, attracting investments and integrating innovative approaches into the education system will become the ways that will allow Georgia to take a worthy place on the global technological map.

Today, it is necessary to unite the relevant governmental, academic, and private sectors on a single platform so that artificial intelligence is one of the main driving forces of innovation, economic growth, and social progress in Georgia.

REFERENCES:

1. BTU (2021). The need to develop a national strategy for the development of artificial intelligence in Georgia. Tbilisi: University of Business and Technology. <https://www.btu.edu.ge/ai-strategy-report>;
2. European Parliament. (2017). Resolution of Civil Law Rules on Robotics (2015/2103(INL)). 16 February 2017. Available at: <https://surl.li/eklchq>;
3. Russell, S. and Norvig, P. (2021). Artificial Intelligence: A Modern Approach (4th ed.). Pearson Education;
4. Siciliano, B., & Khatib, O. (Eds.). (2016). Springer handbook of robotics. Cham, Switzerland: Springer. <https://doi.org/10.1007/978-3-319-32552-1>;
5. Education Management Information Center of Georgia. (2022). Use of artificial intelligence in education. Retrieved June 19, 2025, from <https://www.emis.ge>;
6. PwC. (2022). Global artificial intelligence study: Exploiting the AI revolution. Retrieved June 19, 2025, from <https://surl.cc/yynnzc>;
7. Floridi, L., Cows, J., Beltrametti, M., Chatila, R., Chaz-erand, P., Dignum, V., ... & Vayena, E. (2018). AI4People—An ethical framework for a good AI society: Opportunities, risks, principles, and recommendations. *Minds and Machines*, 28(4), 689–707, <https://surl.it/mrpwuz>;
8. Ministry of Justice of Georgia. (2023). National Strategy and Regulation of Artificial Intelligence. Tbilisi.


თანამედროვე კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკური პრობლემები

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.10>



ნასკიდა დარგუშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
<https://orcid.org/0009-0001-8583-5773>
E-mail: naskida@yandex.ru



დავით ბუკია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ფაკულტეტის დოქტორანტი
<https://orcid.org/0009-0000-1672-3869>
E-mail: bukia.davit82@gmail.com

ანოტაცია

საუკუნეებია ეკონომიკის მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები ცდილობენ გაარკვიონ რა ინვესტს ეკონომიკურ პრობლემებს, ეძებენ გზებს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, თუმცა უშედეგოდ და პრობლემები პრობლემებად რჩება. ფაქტობრივად, მსოფლიო იმყოფება მუდმივ ეკონომიკურ კრიზისში. კაცობრიობა რატომღაც „ეკონომიკურ კრიზის“ უწოდებს ეკონომიკური კრიზისების პიკურ ანუ უკიდურესად გამწვავებულ მდგომარეობას. იხარჯება მილიონები სხვადასხვა ეკონომიკურ ფორუმების მოსაწყობად, ტრილიონები - ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად, მაგრამ ამაოდ. განხორციელებული ღონისძიებები ვითარების მხოლოდ დროებით განმუხტვას უწყობს ხელს და არა პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებას.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ ეკონომიკა მთავარი ბაზისი კაცობრიობის არსებობისთვის. თუ ეკონომიკა ხანგრძლივ კრიზისშია, იშლება და ინგრევა ყველაფერი, თვით სახელმწიფოებიც კი. ეკონომიკა ქმნის განვითარების გარემოს და შესაძლებელს ხდის ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები. აუცილებელია, რომ იმ გარემოზე, რომელსაც ეს სისტემები ქმნიან და რომელშიც ქვეყნები, თვით ადამიანი არსებობს, საფუძვლიანი და ღრმა ცოდნა ჭირდება პოლიტიკოსებს - პოლიტიკური პროცესების დაგეგმვის და სახელმწიფოს მართვის დროს; ეკონომისტებს - ეკონომიკური პროცესების სამართავად; ბიზნესმენებს - თავიანთი ბიზნეს საქმიანობის სწორად დაგეგმვის და მართვისთვის; ყველა სფეროს მენეჯერებს - მენეჯმენტის სწორად წარმართვისთვის და ა.შ. მძიმე ეკონომიკურ პრობლემებს ინვესტს სწორედ არარეალურად აღქმნილი გარემო, ეკონომიკურ თეორიებში და ეკონომიკურ ფორმულებში დაშვებული უხეში შეცდომები, მათ ბაზაზე შექმნილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემები.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური მოდელი, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკა, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი.

ECONOMIC PROBLEMS OF THE MODERN CAPITALIST SYSTEM

NASKHIDA DARBUASHVILI

Academic Doctor of Economic Sciences
<https://orcid.org/0009-0001-8583-5773>.

E-mail: naskida@yandex.ru

DAVID BUKIA

Doctoral student in Business
Administration at Sokhumi State University
<https://orcid.org/0009-0000-1672-3869>

E-mail: bukia.davit82@gmail.com

ANNOTATION

For centuries, economic scientists, experts, and politicians have been trying to figure out what causes economic problems, looking for ways to eliminate these problems, but to no avail, and the problems remain problems. In fact, the world is in a constant economic crisis. For some reason, humanity calls the peak or extremely aggravated state of economic crises an "economic crisis." Millions are spent on organizing various economic forums, trillions on overcoming economic crises, but in vain. The measures taken only help to temporarily alleviate the situation, and not to solve the problem once and for all.

It is well known to everyone that the economy is the main basis for the existence of humanity. If the economy is in a prolonged crisis, everything collapses and collapses, even states. The economy creates an environment for development and makes it possible to satisfy human needs.

The presented work discusses the modern problems of the capitalist social order and the free market economy. It is necessary that politicians - when planning political processes and governing the state; economists - to manage economic processes; businessmen - to properly plan and manage their own business activities; managers of all spheres - to properly conduct management, etc. Serious economic problems are caused precisely by the non-reactionary environment, gross errors made in economic theories and economic formulas, and political and social systems created on their basis.

Keywords: Economic crisis, economic model, free market economy, purchasing power of the population.



ძირითადი ტექსტი

დღემდის არსებულმა ყველა ეკონომიკურმა მოდელმა, სრული კრაზი განიცადა, იმიტომ, რომ არ არსებობდა ამ ეკონომიკური მოდელების სრულფასოვანი თეორიული ბაზა, თეორიასა და პრაქტიკას შორის მყარი კავშირი, მიზეზ-შედეგობრივი და მიზან-შედეგობრივი კავშირების თეორიული და პრაქტიკული ბაზა; არ არსებობს მყარი და ზუსტი პროგნოზირების მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები; მეცნიერება არ უღრმავდება პრობლემების ნამდვილ მიზეზებს; ხელისუფლება არ ცდილობს შეცდომების გასწორებას და არსებული გარემოს საფუძვლიანად შეცვლას..

მაგალითისათვის, ავიღოთ სოციალისტური გეგმიური ეკონომიკა. კარლ მარქსმა შექმნა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის მოდელი იდეოლოგიის დონეზე, ანუ სოციალიზმის არსებობის ძირითადი პრინციპები. მას არ შეუქმნია სოციალიზმის არსებობის და განვითარების თეორიული საფუძვლები და რა თქმა უნდა, არ არსებობდა თეორიის პრაქტიკული გამოყენების, სოციალიზმის ამენების და განვითარების სრული წარმოდგენა. მარქს არ შეუქმნია ეკონომიკური განვითარების სოციალისტური მოდელი, რა თქმა უნდა, არც „გეგმიური ეკონომიკის მოდელი“. იდეოლოგიის დონეზეც კი მარქსმა ბევრი შეცდომა დაუშვა. მარქსი სთვლიდა, რომ კაპიტალიზმი ამოწურავდა თავის თავს და ბუნებრივად მოხდებოდა სოციალიზმზე გადასვლა, რაც არ მოხდა. მთავარაქცენტს

მარქსი აკეთებდა პროლეტარიატზე, მუშათა კლასზე, მათ პოლიტიკურ თვით შეგნებაზე და აქტივობაზე. დღეს მუშათა კლასი პრაქტიკულად აღარ არსებობს. თანამედროვე წარმოებებში მუშაობენ რობოტები და ავტომატები, მათ ოპერატორები მართავენ, ოპერატორები კი მუშათა კლასი აღარაა. მარქსი შეცდა იმაშიც, რომ თვლიდა, ერთ ცალკე ადამიანს შეეძლო სოციალიზმი ვერ ამენდებოდა. მაგრამ ერთ ცალკე ადამიანს შეეძლო, რუსეთში, სოციალიზმი ამენდა. მარქსი თვლიდა, რომ სოციალიზმის განვითარებისთვის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად უნდა დამყარებულიყო სოციალიზმი. სოციალისტური ქვეყნების მთელი ბანაკი შეიქმნა, მაგრამ სოციალიზმი ვერ განვითარდა. სამწუხაროდ მარქსის გენიალური იდეების გამგრძელებლები არ გამოჩნდნენ, მისი იდეები და თეორიები კი საკმაოდ კარგად გამოიყენეს სხვადასხვა სოფმხედველობის და იდეოლოგიის მიმდევრებმა.

მარქსისგან განსხვავებით, ლენინი თვლიდა, რომ სოციალიზმის ამენება ერთ ქვეყანაშიც შეიძლება და ეს იდეა პრაქტიკულად განახორციელა, თუმცა ლენინიც შეცდა, როცა ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა სხვადასხვ გზებით შეიძლება. იოსებ სტალინს ეკუთვნის ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვები: „ჩვენ პრაქტიკულად ავაშენეთ სოციალისტური სახელმწიფო, მაგრამ არ შეგვიქმნია სოციალიზმის

არსებობის და განვითარების თეორიული საფუძვლები. თუ, სასწრაფოდ არ შევქმნით თეორიულ საფუძვლებს მას მომავალი არა აქვსო“. ეს სიტყვები სტალინმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე წარმოთქვა. სიცოცხლის ბოლოს მან ყველაფერს თავი დაანება და ამ თეორიული ბაზის შექმნა დაიწყო. რამდენიმე ნაშრომი კიდევ გამოაქვეყნა, მაგრამ სოციალიზმის თეორიული საფუძვლების შექმნა ვერ მოასწრო, ან ვერ შეძლო. რაც სტალინმა თქვა მასეც მოხდა, სოციალიზმი სტალინის დაღუპვის შემდეგ ინერციით განაგრძობდა არსებობას, შემდეგ კი დაიშალა და ზუსტად ახდა სტალინის სიტყვები.

როგორც ვხედავთ, ისეთი მძლავრი ზე სახელმწიფო როგორიც სსრკ იყო დაიშალა, იმიტომ რომ არ არსებობდა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის და განვითარების თეორიული საფუძვლები და სტალინის დაღუპვის შემდეგ არავინ იცოდა როგორ ემართათ და განვითარებინათ სახელმწიფო. ქაოსმა და უგუნურმა მართვამ კი ზესახელმწიფო დაანგრია.

კაპიტალისტურ ეკონომიკას, ანუ „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას“, ბევრი მეცნიერი და მკვლევარი ყავდა: ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო, ალფრედ მარშალი, ირვინგ ფიშერი, ჯონ კეინსი, მილტონ ფრიდმენი, არტურ ლაფერი და ა.შ.. დამუშავდა სხვადასხვა თეორია, შეიქმნა „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მოდელი“, „ზღვრული ხარჯების და ზღვრული შემოსავლების ეკონომიკური მოდელი“, „ეფექტიანი მოთხოვნის ეკონომიკური მოდელი“, „ეფექტიანი მიწოდების ეკონომიკური მოდელი“, „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი“. მათ ბაზაზე შეიქმნა შერეული მოდელებიც.

ყველა მოდელი ეყრდნობოდა „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ პრინციპებს. თვითოეული ეს მოდელი გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, გარკვეულ პირობებში მუშაობდა, შემდგომში კი თვითონ ეს მოდელები ინვევდნენ ახალ, ხშირ შემთხვევაში, უფრო მწვავე ეკონომიკურ კრიზისებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ არცერთი მადგანი არ იყო სრულფასოვანი, არ ხდებოდა არსებული ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის პრობლემების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ზუსტი დადგენა, მათი ანალიზი, მიზან-შედეგობრივი კავშირების ანალიზი და მოსალოდნელი შედეგების სწორი პროგნოზირება. ერთი სიტყვით, არ იქმნებოდა ამ მოდელების, მყარ გათვლებზე და ყოვლისმომცველ ანალიზზე დაფუძნებული თეორიული ბაზა და მისი პრაქტიკული განხორციელების მყარი გარანტიები. თუ დავაკვირდებით, თვითოეული მოდელი გათვლილია კონკრეტულ ეკონომიკურ ფაქტორებზე და საერთოდ არ ითვალისწინებს სხვა ეკონომიკურ ფაქტორებს, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ, გეოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა ფაქტორებზე. ამიტომაც არის, რომ თვითოეულმა მოდელმა დროებით გადაწყვიტა კონკრეტული იმ მომენტისათვის არსებული ეკონომიკური პრობლემები და ვეღარ გაუმკლავდა იმ გლობალურ ცვლილებებს, რომლებიც კონკრეტული ეკონომიკური მოდელის დანერგვის შედეგად ხდებოდა. გლობალური

ცვლილებები კი ახალ პრობლემებს წარმოშობდა და ახალ, ხშირ შემთხვევაში, უფრო მძიმე ეკონომიკურ და სხვა სახის კრიზისებს იწვევდა.

ეკონომიკური კრიზისების მთავარი მიზეზი კი, კაპიტალისტურ ეკონომიკაში ჩადებულ წინააღმდეგობრივ ეკონომიკურ პროცესებშია, რომლებსაც არცერთი დღემდის არსებული ეკონომიკური მოდელი და ეკონომიკური თეორიები არ ითვალისწინებს.

რატომ? რაშია კაპიტალიზმის და კაპიტალისტური ეკონომიკის მთავარი პრობლემა?

წარმოება, მათ შორის, კაპიტალისტური წარმოება, გათვლილია მოსახლეობის ფართო მასებისთვის პროდუქციის შექმნაზე. პროდუქციას რომ რეალიზაცია გაუკეთდეს მოსახლეობის მასას შესაბამისი მსყიდველობითი უნარი უნდა ქონდეს. მოსახლეობის მასას, მსყიდველობითი უნარი ექმნება ძირითადად შრომის ანაზღაურებით და დამატებით, წვრილი (მცირე) მენარმეობით. მცირე მენარმის შემოსავალი (მოგება), იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად მათი შრომის ანაზღაურებაა. მოსახლეობის მასას, მაქსიმალური მსყიდველობითი უნარი მაშინ აქვს, როცა წარმოებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება მოსახლეობაში ნაწილდება, ანუ შემოსავლები შრომის ანაზღაურებაზე, მასების ხელფასებზე მიდის. მაგრამ ამ პროცესში ერევა კაპიტალის მფლობელი (კომპანიის პატრონი, კაპიტალისტი) და შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მას მიაქვს, რითაც ამცირებს მოსახლეობის მასის შემოსავალს და მსყიდველობით უნარს. კაპიტალისტის მიერ წაღებული თანხის ექვივალენტური რაოდენობის პროდუქცია რეალიზაციის გარეშე რჩება. შემოსავლებიდან, რაც უფრო მეტი მიაქვს კაპიტალისტს, მით უფრო ქვეითდება მოსახლეობის მასების მსყიდველობითი უნარი და მით უფრო იზრდება არა რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა. არა რეალიზებული პროდუქცია ესაა ჩანაოლილი საქონელი ანუ ჭარბი პროდუქცია და ეკონომიკური კრიზისი.

ტექნიკურმა პროგრესმა, თანამედროვე ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა მოსახლეობის მასები უმუშავარი დატოვა. შემოსავლების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალური დახმარებების ხარჯზე ახერხებს არსებობას. თანამედროვე ტექნიკა, „ინტელექტის მქონე მანქანები“, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში ანაცვლებს ადამიანს. პრაქტიკულად, ყოველდღიურად იზრდება უმუშავართა რაოდენობა და აქედან გამომდინარე, მუდმივად ქვეითდება მოსახლეობის მასის მსყიდველობითი უნარი. მაშინ როცა, ტექნიკური პროგრესი ამცირებს მასების მსყიდველობით უნარს, პირიქით, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები მკვეთრად ზრდიან კაპიტალისტის შემოსავლებს. შემოსავალის დიდი ნაწილი, რომელიც ადრე შრომის ანაზღაურებას ხმარდებოდა, ახალ პირობებში, კაპიტალისტის შემოსავალი გახდა. სწორედ ამიტომ უმუშავრობის კატასტროფული ზრდის პარალელულად, მკვეთრად იზრდება მილიონერთა და მილიარდერთა რაოდენობაც. ბოლო

მონაცემებით მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობა 3000-ს გადაცდა, გასული საუკუნის დასაწყისში კი სულ რამდენიმე კაცი იყო.

კაპიტალისტს თავისი ცხოვრების პირობების მაღალ დონეზე მოსაწყობად წარმოების შემოსავლებიდან ნაღებული მნიშვნელოვანი ნაწილიდან, მხოლოდ მცირედი ჭირება. ამ შემოსავლების თითქმის მთელი ნაწილი, ახალი პროდუქციის გამოშვებაზე მიდის, უფრო ხშირად კი ბანკებში აკუმულირდება. ბანკების უმრავლესობა ფულითაა გადავსებული და არ იციან, სად წაიღონ ეს ფული. ხშირად ამ ფულს მთავრობები სესხულობენ წარმოშობილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად.

ბანკებიდან ვალებს უმუშავრად დარჩენილი მოსახლეობაც იღებს, მათ უმრავლესობას არსებობის სხვ საშუალება უბრალოდ აღარა აქვთ. ვალები მუდმივად იზრება და მოსახლეობა და მთელი მსოფლიო ვალებშია გახვეული. მთელი მსოფლიოს პრობლემებია: უმუშევრობა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, უსაზღვროდ გაზრდილი ვალები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა.

ჭარბი პროდუქციის რეალიზაციას განვითარებული ქვეყნები სხვა ქვეყნებში ცდილობენ, ზოგჯერ ეს ხდება სამხედრო ძალის გამოყენებით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა „ოპიუმის ომის“ სახელით ცნობილ კომფლიქტს ინგლისსა და ჩინეთს შორის, რომლის მთავრობაც ინგლისის პროდუქციის ჩინეთის ტერიტორიაზე არ უშვებდა. ეს კომფლიქტი საბოლოოთ ჩინეთის ოკუპაციით დასრულდა. ცნობილია ასევე შემთხვევა, როცა იაპონიის მთავრობამ აშშ-ს პროდუქცია იაპონიაში არ შეუშვა, რაზეც აშშ-ს მაშინდელმა მთავრობამ იაპონიის მთავრობას ულტიმატუმი გაუგზავნა სადაც მოითხოვდა აშშ-ს პროდუქციის იაპონიაში თავისუფლად შეტანას და იაპონიიდან საქონლის თავისუფალ გამოტანას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას გააკეთებდა სამხედრო ძალის გამოყენებით. მაშინ, XIX საუკუნეში 60-იან წლებში იაპონიის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო აშშ-ს ულტიმატუმის მოთხოვნები. ეკონომიკურმა პრობლემებმა გამოიწვია პირველი და მეორე მსოფლიო ომები. თანამედროვე მსოფლიოში პროდუქციის უცხოეთში გატანას ომები აღარ ჭირდება. არსებობს იძულების გაცილებით უფრო დახვეწილი თანამედროვე მეთოდები, ძირითადად ეს არის ეკონომიკური ბერკეტები და სოციალური პრობლემები.

როგორც ვხედავთ, თვითონ კაპიტალისტური ეკონომიკა არის კრიზისული ბუნების. კრიზისები, რომ არ იყოს, საჭიროა ისეთი ეკონომიკური მოდელის დამუშავება, რომელიც არსებულ წინააღმდეგობრივ პროცესებს დაძლევეს. ამასთან ერთად, ასეთი ეკონომიკური მოდელი ყველასთვის მისაღები უნდა იყოს და ყველა კმაყოფილი, მათ შორის, კაპიტალისტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ მივიღებთ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, კლასობრივ და რელიგიურ დაპირისპირებას, კომფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, ლოკალურ (ქვეყნებ შორის) ომებს, მსოფლიო ომს, ნგრევას, მოსახლეობის მასიურ განადგურებას და სხვა უამრავ პრობლემას.

აღნიშნული მიზეზების გამო, დღემდე არსებულ

არცერთ ეკონომიკურ მოდელს არ შეუძლია ჩაანაცვლოს, დღეს არსებული „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ მოდელი. არ არსებობს ეკონომიკური მოდელი, რომელსაც შეუძლია თანამედროვე მსოფლიოში არსებული პრობლემების მოგვარება და მსოფლიოს სტაბილური და დინამიური განვითარება. თანამედროვე ტექნიკური პროგრესი ყველა საშუალებას იძლევა და ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ მსოფლიო სტაბილურად და დინამიურად განვითარდეს, მაგრამ ამისთვის არ არსებობს სტაბილური და დინამიური განვითარების შესაბამისი ეკონომიკური მოდელი, მთელი მსოფლიოს პრობლემაც სწორედ ამაშია.

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის შრომას და შრომით რესურსებს. შრომით რესურსები თავისი მნიშვნელობით, ბუნებრივ რესურსებს უტოლდებოდა. ასეც არის, მხოლოდ შრომის და ბუნებრივი რესურსების ერთობლიობა განაპირობებდა პროდუქტის მიღებას. შრომა ითვლებოდა მთავარ ეკონომიკურ ღირებულებად, ყველაფერი ფასდებოდა მასზე დახარჯული შრომის მიხედვით. ბევრი სამეცნიერო კვლევა ჩატარებული და გამოქვეყნებული შრომაზე და შრომით რესურსებზე, ფასწარმოქმნაზე. უმაღლესებში ცალკე ისწავლებოდა „შრომის ეკონომიკა“, „შრომის ორგანიზების მეცნიერული საფუძვლები“. ცხადია, შრომა უმთავრესი ეკონომიკური რესურსია ბუნებრივ რესურსებთან ერთად. ზუსტათ ასეთივე უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიკური რესურსია „ადამიანის მსყიდველობითი უნარი“ ანუ „მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი“. სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ რესურსს მეცნიერულ დოზე არავინ სწავლობდა. მართალია, ჯონ კეინსმა შექმნა ეკონომიკური მოდელი, რომელიც მოსახლეობის მსყიდველობით უნარზეა აგებული, მაგრამ კეინსსაც კი „მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი“, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსი არ განუხილავს და მისი მეცნიერულ დონეზე ყოვლის მომცველი შესწავლა არ გაუკეთებია. სწორედ ამიტომ „ფექტური მოთხოვნის ეკონომიკურმა მოდელმა“ საბოლოოთ არ გაამართლა და ამ მოდელზე გადასვლის მცდელობაც კრაზით დასრულდა.

„მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი“ თავისებური ეკონომიკური რესურსია, რომლის გარეშეც ეკონომიკა ვერ იარსებებს, ისევე, როგორც წინათ, შრომა იყო ეკონომიკის არსებობის მთავარი ფაქტორი, რომლის გარეშეც ეკონომიკა ვერ იარსებებდა. დღეს წარმოების პროცესიდან შრომა თანდათან ვარდება. სამწუხაროდ, ეკონომიკის მეცნიერებმა და მკვლევარებმა ვერ დაინახეს ის, რომ შრომის ნაყოფიერების მუდმივად ზრდის დროს, რასაც ტექნიკური პროგრესი იწვევდა, პროდუქციის შექმნაზე შრომის დანახარჯები მცირდება, ანუ შრომა მუდმივად მცირდება და მისი ზღვარი ნოლია. რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების პროცესებიდან შრომა მთლიანად ვარდება (ამოიღება). დღეს თანამედროვე ეტაპზე ეს პროცესი დასრულების სტადიაშია. გლობალურად სწორედ ეს განაპირობებს ეკონომიკურ კრიზისებს და ეკონომიკის ნგრევას. ამ დროს ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსი, როგორიც „მოსახლეობის

მსყიდველობითი უნარია“, იყო, არის და მანამ ეკონომიკა იარსებებს, ყოველთვის საჭირო იქნება, ჯეროვნად არაა შესწავილი. სამწუხაროდ, მეცნიერებმა, მათ შორის, ცნობილმა მეცნიერებმა შრომაზე და „მშრომელ ადამიანზე“ ააგეს მთელი აქამდე არსებული ეკონომიკა და ყველა დღემდის არსებული ეკონომიკური განვითარების მოდელი. მეცნიერები საერთოდ არ იხილავდნენ „მყიდველ ადამიანს“, როგორც უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ რესურსს და მხოლოდ ზოგადად განიხილავდნენ, ამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორს „მოთხოვნა-მიწოდების“ მრუდებში და თეორიებში. თავის დროზე მეცნიერებს ეს ეკონომიკური რესურსი რომ დროულად დაენახათ და გაეთვალისწინებინათ ეკონომიკურ თეორიებში და მოდელებში, დღევანდელი მძიმე ეკონომიკური პრობლემები აღარ იქნებოდა.

მოსახლეობის ფართო მასების მსყიდველობითი უნარი მთლიანად იყო მიბმული და დამოკიდებული შრომაზე. ტექნოლოგიური პროცესებიდან შრომის ამოვარდნა, მისი განულება და უახლოვეს მომავალში საერთოდ გამორიცხვა, აქვეითებს და ანულებს მოსახლეობის ფართო მასების მსყიდველობით უნარს. წარმოება პროდუქციის რეალიზაციის გარეშე რჩება, ბაზარი კი მყიდველის გარეშე. მყიდველის გარეშე ბაზარი არ არსებობს, ვერც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა იარსებებს. სწორედ ეს იწვევს მძიმე ეკონომიკურ კრიზისებს. თუ ასე გაგრძელდა ჩვენ გვექნება არა მხოლოდ მძიმე ეკონომიკურ კრიზისები, არამედ მივიღებთ სრულ „ეკონომიკურ კოლაფსს“, „ეკონომიკურ შავ ხვრელს“ საიდანაც უკან გამოსვლა შეუძლებელი იქნება. ეს მოხდება უახლოვეს ხანებში, ამ საუკუნის პირველ ნახევარში. თუ სასწრაფოდ არ შეიქმნა ახალი მძლავრი ყოვლისმომცველი ეკონომიკური მოდელი, ეს იქნება ამ ცივილიზაციის, ანუ კაცთამოღების დასასრული.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მსყიდველუნარიანი მოსახლეობის გარეშე ეკონომიკა არ არსებობს. ეკონომიკის გარეშე კი არაფერი არ იარსებებს, მათ შორის საზოგადოება, ადამიანი და ეს ცივილიზაცია.

აქსიომა 1: ეკონომიკის არსებობის მთავარი ფაქტორია საზოგადოების მსყიდველობითი უნარი.

აქსიომა 2: მსყიდველუნარიანი საზოგადოების გარეშე, ეკონომიკა არ არსებობს. ეკონომიკის გარეშე კი საზოგადოება ვერ იარსებებს.

აქსიომა 3: საზოგადოების მსყიდველობით უნარსა და წარმოებულ პროდუქციას შორის დისბალანსი განაპირობებს ეკონომიკურ კრიზისებს.

აქსიომა 4: საზოგადოების მსყიდველობით უნარსა და წარმოებულ პროდუქციას შორის წარმოშობილი დისბალანსის ვალეებით დაბალანსება, ახალი უფრო დიდი ეკონომიკური კრიზისის საფუძველია.

საინტერესოა, რომ ბევრი პრობლემა, რომელსაც XVIII საუკუნის დიდი მეცნიერი ადამ სმიტი ცნობილ ნიგნში განიხილავს, 245 წლის შემდეგაც აქტუალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემები, რომლებიც 250 წლის წინ კაცობრიობის წინაშე იყო, დღესაც არსებობს და არ გადაჭრილა. სამწუხაროდ, კაცობრიობა ყურადღებას არ აქცევს სმიტის უმნიშვნელოვანეს აზრებს, რომლებიც

დღესაც მნიშვნელოვანია და სმიტისგან აღებულია ის თეორიები და მოსაზრებები, რომლებიც დღეს, ზოგი მათგანი კი იმავე პერიოდში, არასწორია და ეს არასწორი თეორიები ადამ სმიტის საყოველთაო აღიარების შემდეგ თავისებურ დოგმებად იქცნენ და მას შემდეგ არავის არ უცდია მათი საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა და გაანალიზება.

სმიტისგან აღებული დოგმებად ქცეული თეორიების გამოა, რომ ბოლო 200 წელია კაცობრიობა მუდმივად ჩიხშია და მუდმივი, ციკლური ეკონომიკური კრიზისები აქვს. ნიშანდობლივია ის, რომ ეკონომიკური კრიზისების ისტორია ადამ სმიტის ნიგნის პირველი გამოქვეყნებიდან ძალიან მალევე, 19-ე საუკუნის ოციან წლებში იწყება. სწორედ ამ პერიოდში მოხდა პირველი დიდი ეკონომიკური კრიზისი.

ადამ სმიტის დოგმებად ქცეულ არასწორი თეორიების გამოა, რომ სწრაფად ზრდადი ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობაში საშინელი გაჭირვება და უკიდურესად მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაა. ეს მდგომარეობა, გაუმჯობესების მაგივრად, უფრო და უფრო მძიმდება. ამის მიზეზია ის, რომ **სწრაფად ზრდადი ტექნიკური პროგრესი მთელი მსოფლიოს მაშტაბით, ასობით მილიონ ადამიანს სამსახურებს აკარგვინებს და უმუშევარს ტოვებს. სამსახურის გარეშე დარჩენილი ასობით მილიონი უმუშევარი მოსახლეობის მიგრაცია, პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში, მათ შორის, განვითარებულ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს. ტექნიკური პროგრესის შედეგად, მთელ მსოფლიოში მკვეთრად იზრდება პროდუქციის რაოდენობა და ასევე, მკვეთრად ეცემა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. ასობით მილიონი ადამიანის უმუშევრად დარჩენის გამო, წარმოიშვება არა რეალიზებული ჭარბი პროდუქცია. სწორედ ჭარბი პროდუქცია იწვევს სისტემატიურ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებს. დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნებს შორის „ომი“ მიმდინარეობს გასაღების ბაზრებისათვის, რომ ჭარბი პროდუქციის რეალიზაცია მოახდინონ.**

ანალოგიური ვითარება იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა მთელი მსოფლიო დიდმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ასეც დაარქვეს „დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი“, მას „დიდ დეპრესიასაც“ უწოდებენ. დღემდის ითვლება, რომ ეს იყო ყველაზე დიდი ეკონომიკური „კატასტროფა“, რაც კი ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა. ამ ეკონომიკური კრიზისის ბევრ მიზეზს ასახელებენ, ძირითადად ჯერდებიან იმაზე, რომ კრიზისი გამოიწვია საფონდო ბირჟებზე აქციების ფასების ვარდნამ. აქციებზე ფასების ვარდნა კი, გამოიწვია არა რეალიზებულმა, ჩანოლილმა ჭარბმა პროდუქციამ, რის შედეგადაც კომპანიების შემოსავლები მკვეთრად შემცირდა, რამაც ამ კომპანიების აქციებზე ფასების ვარდნა და გაკოტრება გამოიწვია, ამან კიდევ უფრო გაზარდა უმუშევრობა და მთელი რიგი ჯაჭვური პროცესები ჩაირთო. ამ მოვლენას უამრავი სპეციალისტი სწავლობდა. ეძებდნენ მიზეზებს, რამაც ამხელა დეპრესია გამოიწვია. დღემდის ცნობილი და დეპრესიის

გამომწვევად დასახელებული, რეალურად, კრიზისის შედეგებია და არა მიზეზები. ერთერთი „მიზეზი“, საფონდო ბირჟებზე აქციების ფასების ვარდნა, ეს არის იმ დროს განვითარებული მოვლენების შედეგი და არა მიზეზი. დიდი დეპრესიის რეალური მიზეზი დღემდის არ არის ზუსტად დადგენილი.

რა მოხდა სინამდვილეში?

ჩვენი ანალიზით დიდი დეპრესია გამოიწვია ტექნიკურმა პროგრესმა. იმ პერიოდში უკვე მომხდარია მესამე სამრეწველო რევოლუცია, დადგა ელექტროობის ხანა, გამოგონილია ელექტრო ძრავი, ხელის და ორთქლის მანქანები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობები ქონდათ, ჩაანაცვლა ელექტრო ძრავიანმა უსახლვრო შესაძლებლობის მანქანებმა და მანქანა ავტომატიზმმა. წარმოების ყველა სფეროში ხდება მექანიზაცია და ავტომატიზაცია. თუ ადრე წარმოებებში ასობით და ათასობით მუშა მუშაობდა, ახალ პირობებში თვითოეული ახალი მანქანა ათობით, ზოგჯერ კი ასობით მუშას ანაცვლებდა, ამის გამო, ათასობით ადამიანი სამსახურს კარგავს და უმუშევარი რჩება. ამასთან ერთად, ახალი მანქანებით და ტექნოლოგიებით წარმოებები და კომპანიები მრავალჯერ მეტ პროდუქციას უშვებენ, ვიდრე მანამდე ამზადებდნენ.

მოდით, ვნახოთ რა ხდებოდა XX საუკუნის 20-30 წლებში ეკონომიკურად. ახალი დანადგარები მკვეთრად ზრდის უმუშევრობას და აქედან გამომდინარე, ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. ამასთან ერთად, მკვეთრად იზრდება მანქანების წარმადობა და პროდუქციის რაოდენობა. **მსყიდველობის უნარ დაკარგული მოსახლეობა და აურაცხელი პროდუქცია, რომლის რეალიზებაც არ ხდება (მყიდველი არ ყავს) მსყიდველობის უუნარო მოსახლეობის გამო, წარმოშობს არარეალიზებულ, ჩანოლილ საქონელს, ანუ ჭარბ პროდუქციას, ეს კი უკვე ეკონომიკური კრიზისია.** ყველა სფეროში და მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა, რამაც „დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი“ გამოიწვია. მოვლენების კულმინაცია გასული საუკუნის 30-იან წლების დასაწყისს დაემთხვა. ამერიკის საფონდო ბირჟებზე მომხდარი, აქციებზე ფასების ვარდნა კი, დიდი ხნის დაგროვილი მძიმე ეკონომიკური პრობლემების თავდაპირველი გამოვლენა იყო და სხვა არაფერი, რასაც მთელი რიგი ჯაჭვური პროცესები მოყვა.

„დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი“ უთვალსაჩინოესი მაგალითია იმისა, თუ სადამდის შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა ეგრეთწოდებულმა „თვითრეგულირებადმა თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ“ და ადამ სმიტის დოგმებმა. სინამდვილეში ეს არის უმართავი ეკონომიკა. ზედაპირულად ისე სჩანს, რომ ეს არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც მილიონერებს და მილიარდერებს (კაპიტალისტებს) აწყობთ. ერთი შეხედვით, ამ მოდელში ისინი როგორც „თევზი წყალში“ ისე გრძნობენ თავს, მთელი მათი სიმდიდრე და ძლიერება ხომ ამ ეკონომიკურ მოდელს უკავშირდება. რეალურად კი ეს ასე არ არის. თუ „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას“ თვითდინებაზე მიუშვებთ, უახლოვეს ხანებში ის ყველას, მათ შორის,

მილიონერებს, კოლოსალური პრობლემების წინაშე დაგვაცენებს, როგორც ეს მოხდა „დიდი დეპრესიის“ დროს. ყველაზე მეტს კი სწორედ მდიდრები, დიდი ქონების პატრონები, კაპიტალისტები დაკარგავენ. თუ არ მოხდება „თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში“ ჩარევა, კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანა და კრიზისის შედეგების აღმოფხვრა, „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“ კაცობრიობას სრულ კატასტროფამდე მიიყვანს.

დიდი კატასტროფა მოხდებოდა „დიდი დეპრესიის“ დროს რომ არ მომხდარიყო ხელისუფლებების ჩარევა ეკონომიკის მართვაში. იმ პერიოდში მთელ მსოფლიოს მაგალითს აშშ-ს მთავრობა აძლევდა. აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა მიღებული კანონებით და ნორმატიული აქტებით მთელი აშშ-ს ეკონომიკა მართვადი გახდა. მაშინ გაჩნდა ტერმინი „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“. სხვადასხვა სოციალური დახმარებებით ზრდიდა მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. გარდა აღნიშნულისა, შექმნა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები და მილიონობით ამერიკელი დაასაქმა. ყველას, ვისაც სურვილი ქონდა, შეეძლო ამ პროგრამებში ჩართულიყო და მუშაობა დაეწყო. სახელმწიფო პროგრამები კეთდებოდა ჰესების, გზების, ხიდების, აეროპორტების, სახელმწიფო და მუნიციპალური შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე და უამრავ სხვა პროექტებზე. პროგრამების დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახდენდა ძირითადად ფულის ემისიის ხარჯზე. ფულის ემისია არ იყო საშიში, იმის გამო, რომ დიდი რაოდენობის პროდუქცია ჩანოლილი იყო და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემთხვევაში სერიოზული იმფლაციის საშიშროება არ იყო. ამ პროგრამებით მილიონობით უმუშევარი დასაქმდა და შემოსავალი გაუჩნდა. გაიზარდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, გაიყიდა ჩანოლილი საქონელი, წარმოებებმა დაიწყეს მუშაობა და მოსახლეობის დასაქმება. ენერგიული ზომების შედეგად რუზველტის მთავრობამ სამ წელიწადში ქვეყანა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანა.

საინტერესო ფაქტია ის, რომ ვინც მაშინ რუზველტის ეკონომიკურ პოლიტიკას დაუპირისპირდა, აშშ-ს მაშინდელი მილიონერები და მილიარდერები იყვნენ. რა არ დააბრალებს და რა არ დასწამებს მათ? ავრცელებდნენ ხმებს, რომ რუზველტი კომუნისტია და სოციალიზმს აშენებს, რუსეთის აგენტია, პირადად სტალინის დავალებებს ასრულებს და ა.შ. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მეორე ვადით აღარ აერჩიათ, მაგრამ რუზველტის მადლიერმა ამერიკელმა ხალხმა, იგი ოთხჯერ აირჩია პრეზიდენტად. მესამე ვადით არჩევის წინ 1938 წელს მილიონერებმა უპრეცედენტო დიდი თანხა (როგორც ამბობენ 800 მლნ. დოლარი) შესთავაზეს, რომ რუზველტს თავისი კანდიდატურა არჩევნებიდან მოეხსნა, მაგრამ რუზველტი თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო და შეთავაზებაზე უარი თქვა. სწორედ მესამე ვადის პერიოდში მოხდა მეორე მსოფლიო ომი, რომლის დროსაც ფრანკლინ რუზველტმა უდიდესი როლი ითამაშა ფაშისტების დამარცხებაში და წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც აშშ-ს, ისე მსოფლიო ისტორიაში.

პარადოქსია ის, რომ, ფრანკლინ რუზველტი რომ არ ყოფილიყო, მას არ ენარმოებინა ის პოლიტიკა, რომლითაც მძიმე ეკონომიკური კრიზისი დაძლია, მომხდარიყო ეკონომიკური კრიზისის თვითღინებაზე მიშვება, იმ მილიონერების ქონებიდან, რომლებიც ასე თავგამოდებით იბრძოდნენ რუზველტის წინააღმდეგ, „ნაცარიც“ აღარ იქნებოდა დარჩენილი და მის სახელი ისტორიას არ შერჩებოდა.

ახლა შევხედოთ, დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ ბოლო 100 წლის მსოფლიოს ეკონომიკური ისტორია. რას ვხედავთ?, ადამ სმიტის დოგმებზე დაფუძნებული „თვითრეგულირებადი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“, თვითრეგულირებას ისე „კარგად“ ახდენს, რომ მსოფლიო ეკონომიკა ყოველთვის ჩიხში შეყავს და მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს იწვევს. კრიზისები ციკლური ხასიათისაა და გარკვეული პერიოდულობით მუდმივად მეორდება. აღსანიშნავია, რომ კრიზისებს შორის პერიოდი დროთაგანმავლობაში თანდათან მცირდება, ბოლო პერიოდში 10-12 წელს შეადგენს. კრიზისებს შორის დროის შემცირებასაც ტექნიკური პროგრესი განაპირობებს. თუ ასე გაგრძელდა და არ შეიქმნება ახალი, სრულფასოვანი ეკონომიკური განვითარების მოდელი, შორს არ არის ის დრო, როდესაც ტექნიკური პროგრესი მიაღწევს იმ დონეს, როცა ეკონომიკურ კრიზისებს შორის დრო საერთოდ „გაქრება“ და მივიღებთ განუწყვეტელი, მუდმივ ეკონომიკურ კრიზისს და აბსოლუტურად გამოუვალ მდგომარეობას.

გასული 100 წლის განმავლობაში ყოველი ახალი ეკონომიკური კრიზისის დაძლევა მხოლოდ მთავრობების აქტიური ჩარევის შედეგად ხდებოდა. კრიზისის დაძლევაზე და მისი შედეგების აღმოფხვრაზე კოლოსალური რესურსები იხარჯება. ბოლო 2007-2010 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე მსოფლიო მაშტაბით ტრილიონობით დოლარი დაიხარჯა. მარტო აშშ-ს მთავრობამ ამ კრიზისის დაძლევაზე 3 ტრილიონი დოლარი დახარჯა. ყოველწლიურად მცირე ეკონომიკური და სოციალური კრიზისების დაძლევაზე სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ათობით მილიარდ დოლარს ხარჯავენ. ეს ყველაფერი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიო ვალმა 2020 წლის მონაცემებით 240 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. 5 წლით ადრე ეს ვალი 80 ტრილიონ დოლარს არ აღემატებოდა.

აი, ასეთი საოცარი და საინტერესო „თვითრეგულირებადი“ სისტემაა „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა“. რეალურად, იმას, რასაც „თვითრეგულირებადი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკას“ ეძახიან ქაოსით, კატასტროფებით, საშინელი ტრაგედიებით და სხვა მძიმე შედეგებით სავსე უმართავი ეკონომიკაა.

გამოცდილებიდან უნდა გვახსოვდეს: „დიდი დეპრესიის“ დაძლევა მოხერხდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ იმ პერიოდში სამსახურის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა მთავრობების აქტიური მონაწილეობით დასაქმდა იმ სფეროებში, რომლებშიც ტექნიკური პროგრესი ჯერ არ იყო შეღწეული. დღეს არ არის დარჩენილი სფერო, რომელსაც ტექნიკური პროგრესი არ შეეხო - „ჭკვიანი სახლიდან“ დაწყებული, როდესაც სახლში ყველაფერს

რობოტები და ავტომატები აკეთებენ, ავტომატიზირებული წარმოებებით დამთავრებული, სადაც ურთულეს საწარმოო პროცესებს, რასაც ადრე ათასობით ადამიანი ემსახურებოდა, ახლა რამდენიმე ოპერატორი მართავს. დღევანდელი და მომავალი ეკონომიკური კრიზისები, არსებული ეკონომიკური მოდელის პირობებში, გაცილებით უფრო მძიმე დასაძლევია, შეიძლება ითქვას, რომ დაუძლევადია. სწორედ ამიტომ იზრდება მსფლიო ვალი ბოლო პერიოდში კატასტროფულად, იმიტომ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მთავრობებს სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სხვა გზები და საშუალებები აღარა აქვს, გარდა ვალების აღებისა და ვალებით პრობლემების მოგვარებისა. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან მსოფლიო მოსახლეობის დიდი ნაწილი - მათ ვალების აღების გარდა, არსებობის, გადარჩენის და სიცოცხლის შენარჩუნების სხვა წყაროები არ გააჩნიათ.

თანამედროვე ეკონომიკაში, ტექნიკური პროგრესის შედეგად, მკვეთრად გაზრდილი პროდუქციის რაოდენობა მსოფლიო ბაზარზე განაპირობებს უძლიერეს კონკურენციას. სმიტის სწავლების მიხედვით კონკურენციაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. სინამდვილეში ადამიანის „კუჭი“ და „კონკურენცია“ არის ის ძალა, რომელიც საბაზრო ეკონომიკას მართავს, რომელსაც სმიტმა „უხილავი ხელი“ უწოდა და ამ უხილავ ხელს კაცობრიობა 245 წელია დაეძებს. კუჭი აიძულებს ადამიანს, რომ იმუშაოს, კონკურენცია კი აიძულებს, ამ შრომით მინიმალური შემოსავალი მიიღოს, ანუ შრომა მინიმალურ ფასად გაყიდოს. ვისაც ყოფნის ჭკუა-გონიერება და მორალურად მზათ არიან, რომ სხვისი შრომა და გონიერება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ, მდიდრდებიან, მილიონერები და მილიარდერები ხდებიან.

ბევრი ფირმა, კომპანია და ფერმერული მეურნეობები, განსაკუთრებით ისინი, სადაც ხელით შრომა ჯერ კიდევ გამოიყენება, მკვეთრად გაზრდილი კონკურენციის პირობებში თავიანთი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, არ ერიდებიან კანონის დარღვევას, ყიდულობენ ადამიანებს და აიძულებენ უფასოდ მუშაობას. სწორედ ტექნიკური პროგრესის და სმიტის დოგმების შედეგია ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში „ტრეფიკინგი“ ერთერთი მსხვილი არალეგალური ბიზნესია, საუკუნეების წინ გაუქმებულ მონობას კი, რენესანსის ხანა დაუდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ მონობა და მონის მდგომარეობა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მონათმფლობელობის დროს იყო. მონათმფლობელობის დროს, კანონით მონა მონათმფლობელის საკუთრება იყო და მასზე ზრუნავდა, როგორც საკუთარ ქონებაზე. თანამედროვე „მონათმფლობელმა“ კარგად იცის, რომ კანონს არღვევს, მონა მისი ქონება არ არის და ნებისმიერ დროს შეიძლება დაკარგოს, ამიტომ მასზე არ ზრუნავს. ხშირად დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით თანამედროვე მონათმფლობელები ფიზიკურად ანადგურებენ თავიანთ მონებს. ამიტომაც არის, რომ მთელ მსოფლიოში უთვალავი ადამიანი უგზოუკლოდ იკარგება და მათ კვალს ვერ

პოულობენ. ასე, რომ თანამედროვე მონობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდი საფრთხეების შემცველია, ვიდრე მონანათმფლობელობის დროს იყო.

აღამ სმიტის თეორიები და დოგმები ვერ პასუხობენ თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევებს და მოთხოვნებს. სმიტის კანონების შედეგია ის, რომ ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური და სოციალური შედეგები აისახება მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილზე და უზრუნველყოფს მათ კეთილდღეობას. მსოფლიოს დანარჩენი მოსახლეობა კი მხოლოდ სარგებლობს ტექნიკური პროგრესის მიღწევებით, თუმცა ეკონომიკური და სოციალური კუთხით დიდ და სერიოზულ პრობლემებს უქმნის და ამძიმებს მათ სოციალურ მდგომარეობას. სმიტის კანონების და მასზე დაფუძნებული ლიბერალური იდეოლოგიის, კაპიტალისტური სისტემის შედეგია ის, რომ ქვეყნების და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა არასწორად მუშაობს. ეკონომიკაში წარმოქმნილი დისბალანსი და პრობლემები განაპირობებს ყველა სხვა დანარჩენ პრობლემებს, მათ შორის, არალეგალურ მიგრაციას, ტრეფიკინგს, არასწორ, ეკონომიკურ დისბალანსზე დაფუძნებულ საერთაშორისო ვაჭრობას, კომფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, ქვეყნებს შორის ომებს, პოლიტიკურ დაპირისპირებებს ა.შ. და ა.შ.

განვითარებული ქვეყნები, მათი შექმნილი და უხვდ დაფინანსებული ორგანიზაციები (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.), სხვა ქვეყნებისაგან მოითხოვენ „თავისუფალ ვაჭრობას“, რაც ითვალისწინებს საქონლის (პროდუქციის) მთელ მსოფლიოში თავისუფალ, ყოველგვარი ბარიერების და შეზღუდვების გარეშე გადაადგილებას. განვითარებულმა ქვეყნებმა და მათმა შექმნილმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა ხერხებით და მეთოდებით, ფინანსური დახმარებით, გრანტებით, შეღავათიანი კრედიტებით, პოლიტიკური იძულებით და ა.შ. მიაღწიეს იმას, რომ თითქმის მთელ მსოფლიოში საქონელი თავისუფლად გადაადგილდება (გარდა სამუშაო ძალისა). თუმცა, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა, მაგალითად ევროკავშირი, აწესებენ უამრავ სტანდარტებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მათთან შეტანილი საქონელი, რითაც მაქსიმალურად ზღუდავენ სხვა ქვეყნების საქონლის საკუთარ ქვეყანაში შეტანას.

რატომაუნდა კარგია, მთელ მსოფლიოში საქონლის თაისუფალი გადაადგილება და თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ, ეს პოლიტიკა წარმოშობს უზარმაზარ გლობალურ პრობლემებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელთა გადანეწყებაზეც არავინ არ ზრუნავს. **განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ტექნიკური პროგრესის მიღწევები, თანამედროვე ტექნიკა და ტექნოლოგიები, ამიტომ, მათი პროდუქცია მნიშვნელოვნად იაფია, ვიდრე დანარჩენ ქვეყნებში დამზადებული პროდუქცია. როდესაც განვითარებული ქვეყნების პროდუქცია შედის განვითარებად ქვეყანაში, იმის გამო, რომ ადგილობრივი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს შეტანილ პროდუქციას, დროთა განმავლობაში ამ ქვეყნის ეკონომიკა ჩერდება და თითქმის მთელი მოსახლეობა უმუშევარი რჩება. მკვეთრად უარესდება**

და უკიდურესად მძიმდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. იმპორტით გამოწვეული, უცხოურ ვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნა იწვევს ადგილობრივი ვალუტის მუდმივ დევალვაციას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მუდმივ ინფლაციას და მოსახლეობის დაუსრულებელ გაღატაკებას. მთლიანად იშლება ქვეყნის ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემა. ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის დამძიმების გამო, განვითარებადი ქვეყნები იღებენ დიდ ვალებს. ვალების მნიშვნელოვანი ნაწილის გასტუმრება ბუნებრივი რესურსების იაფად რეალიზაციის გზით ხდება. ამ ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს აღარანაირი სიკეთე და სარგებელი ქვეყნის მოსახლეობისათვის აღარ მოაქვს. უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანას ტოვებენ სამუშაოს საძიებლად. სოციალური პრობლემების და მიგრაციული პროცესების გამო, ინგრევა ოჯახები, ან მათი არსებობა ფორმალური ხდება. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო, შეუძლებელი ხდება ახალი ოჯახების შექმნა, მცირდება შობადობა და მკვეთრად უარესდება ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა. მძიმდება მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობა. ერთი სიტყვით, მთლიანად ინგრევა ქვეყნის ეკონომიკა და ყველა ის საფუძვლები, რაც ქვეყნის არსებობას ჭირდება.

განადგურებული ეკონომიკა და უკიდურესად მძიმე სოციალური გარემო, წარმოშობს მუდმივ დაპირისპირებას ხელისუფლებასა და უკმაყოფილო მოსახლეობას შორის, ამ პოლიტიკურ მოვლენებთან თანმდევ პროცესებს: კონფლიქტებს, ხელისუფლების გადატრიალებებს, სამოქალაქო ომებს, ეთნო კონფლიქტებს, კონფლიქტებს ქვეყნის რეგიონებს შორის. პრაქტიკულად ერთდროს ნორმალური ქვეყნიდან რჩება თავიდან ბოლომდე უცხოურ ფინანსურ ინექციებზე დამოკიდებული, კომფლიქტებითა და ომებით დაუძლურებული გეოგრაფიული ტერიტორია, ფორმალური, მარიონეტული მართვის ორგანოებით.

შექმნილი გაუსაძლისი პირობების გამო, მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს მასიური მიგრაციის პროცესი განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნები საკანონმდებლო დონეზე კრძალავენ მათთან შესვლას და დასაქმებას, მიუხედავად ამისა, მიგრანტები მაინც ახერხებენ მასიურად შეღწევას და არარეგალურ დასაქმებას, რაც სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის განვითარებულ ქვეყნებს. ის მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რასაც განვითარებული ქვეყნები ატარებენ მთელ მსოფლიოში ბუმერანგივით თავად მათვე უზრუნველბათ უკან და მათვე უქმნის უმძიმეს პრობლემებს. XX საუკუნის პირველ ნახევარში არასწორმა, „მტაცებლურმა“ საერთაშორისო ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიო კატასტროფის წინაშე დააყენა და პირველი და მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. თანამედროვე მსოფლიო არსებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით გლობალური ომის საფრთხის წინაშე დგას. მესამე მსოფლიო ომი ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს. კატასტროფის საფრთხე იმაშია, რომ აქამდე წარმოებულ

ომებში, კაცობრიობას არ ქონია იარაღი, რომელსაც ამ ცივილიზაციისსრულად განადგურება შეეძლო. დღეს ასეთი იარაღი ქარბად არსებობს და მას კაცობრიობის პირწმინდად განადგურება შეუძლია.

ადამ სმიტის „კუჭი-კონკურენცია“ ანუ „უხილავი ხელი“ პრაქტიკულად მოშლილია. ადამიანის შრომა, ანუ კუჭის პრობლემა სისტემიდან თანდათან ვარდება. უახლოვეს ხანებში ადამიანს მის ნებისმიერ საქმიანობაში ჩაანაცვლებს ადამიანის ზუსტი ანალოგი, ადამიანის მსგავსი რობოტი. გამოდის, რომ რობოტები პროდუქციას შექმნიან და მას მომხმარებელი არ ეყოლება. ამ პრობლემის წინაშე კაცობრიობა უკვე დგას. ამასთან ერთად „თამაშვარეთ“ დარჩენილი „კუჭი“ და „კუჭის პრობლემა“ კვლავ რჩება და კიდევ უფრო მეტად მძაფრდება. ძნელი წარმოსდგენი არ რის, ის თუ მომავალში მასიურად დამშეული მსოფლიოს მოსახლეობა, არსებული საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის პირობებში რა მძიმე შედეგებს გამოიღებს, თუმცა კონკრეტულად რა მოხდება, ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია.

ტექნიკურმა პროგრესმა კიდევ ერთი ახალი პრობლემა გააჩინა, ეს არის „ხელოვნური ინტელექტი“ ანუ „მოაზროვნე მანქანები“. უკვე დღეს ხელოვნური ინტელექტის მქონე იარაღი ისე ანადგურებს დასახლებულ პუნქტებს და იქ მცხოვრებ ადამიანებს, რომ არანაირი „სინდის ქეჯნა“ არ აწუხებს. დღეს, ეს იარაღი ადამიანს მოყავს მოქმედებაში, ხვალე ამას გააკეთებს ადამიანის მსგავსად მოაზროვნე რობოტი და თუ დაჭირდა, საერთოდ, გაანადგურებს კაცთა მოდგმას და მთელ ამ ცივილიზაციას.

ითვლება, რომ იმას, რასაც ადამიანი ქმნის ადამიანის წინაარმდეგ ვერ წავა. ეს არის უზომოდ დიდი საფრთხის შემცველი მცდარი მოსაზრება. ასეთმა მცდარმა დასკვნებმა ისე შეიძლება ამოწყვიტოს კაცთა მოდგმა, რომ იმის გაგებაც ვერ მოვასწროთ რა გვემართება, ან როცა ამას გავიგებთ, ისე დაგვიანებული შეიძლება იყოს, რომ ველარაფრის შეცვლა ველარ შევძლოთ.

ყველაფერი, რაც აზროვნებს, ყველასგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებს. იქ, სადაც დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები არ მიიღება, ინტელექტი და აზროვნება არ არის. ყველაფერი, დაწყებული ჭიანჭველიდან, დამთავრებული ადამიანით და ხელოვნური ინტელექტით, დამოუკიდებელად აზროვნებს და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებენ. უმარტივესი და ურთულესი ინტელექტის მქონე მოაზროვნე არსებები დამოუკიდებლად აზროვნებენ და მოქმედებენ. ნებისმიერი მოაზროვნე არსება შეიძლება დაუპირისპირდეს ნებისმიერ სხვა მოაზროვნე არსებას.

საუკუნეებია ადამიანს „ომი“ აქვს ისეთ გარეულ არსებასთან როგორც თავვითა. ამ „ომში“ ადამიანმა, მთელი თავისი ინტელექტის და „ყოვლისშემძლეობის“ მიუხედავად, დღმდის ვერ გაიმარჯვა და ყოველწლიურად აბსოლუტურად უმწეო არსებისგან, თავისგან მილიარდობით დოლარის ზარალს ღებულობს.

თერმობირთვულ ბომბას ადამიანი აკონტროლებს აფეთქების მომენტამდე, აფეთქების შემდეგ ადამიანი

დაწყებულ პროცესებს ველარ აკონტროლებს. ატომური აფეთქების უარყოფითი გავლენა კი, რასაც ადამიანი ველარაფერს უშვრება 600 წელი გრძელდება, ეს ციფრიც ზუსტი არ არის და სხვადასხვა დაშვებებით და ალბათობითაა გამოყვანილი. ზუსტად ცნობილი არის, რომ ხიროსიმაში და ნაგასაკში მომხდარი ატომური აფეთქებების უარყოფითი გავლენა დღესაც, 80 წლის შემდეგაც გრძელდება. ჩერნობილში აფეთქებული ატომური ელექტრო სადგური კი დღესაც, 35 წლის შემდეგაც დაკონსერვებულია და იქ ცხოვრება არ შეიძლება.

ადამიანის კონტროლიდან გამოსვლის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია „კომპიუტერული ვირუსი“. კომპიუტერულ ვირუსს გარკვეული მიზნებისათვის კონკრეტული ადამიანები ქმნიან და ერთ რომელიმე კომპიუტერში ტვირთავენ (უშვებენ), ამის შემდეგ სხვადასხვა გზებით და საშუალებებით ვირუსი უკონტროლოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში და მილიონობით კომპიუტერს აზიანებს, მათი პატრონების ნების და სურვილის საწინააღმდეგოდ. ვირუსის შემქმნელს კიდევაც, რომ უნდოდეს მისი შეჩერება, ამას ველარ გააკეთებს, ვინაიდან პროცესი უმართავია.

კიდევ დაუსრულებლად შეიძლება მაგალითების მოყვანა იმაზე, თუ როგორ ხდება ადამიანთა ხელქმნილი ტექნიკის ადამიანთა წინააღმდეგ მოქმედება, ინტელექტის მქონე სუბიექტების ადამიანთა კონტროლიდან გასვლა და დამოუკიდებლად მოქმედება. თუმცა ამ მცირე ანალიზიდანაც ნათლად ჩანს ის გლობალური დაუძლეველი საფრთხეები, რომლებიც უკვე გვაქვს და მომავალში კატასტროფული ვითარების წინაშე დაგვაყენებს.

ცივილიზაციის ამ სახით განვითარებას და ასეთ ვითარებას სმიტი საერთოდ არ განიხილავს და მისი სწავლება დღეისათვის ამ მხრივაც აბსოლუტურად მიუღებელი და გამოუსადეგარია. სმიტის სწავლებას, მასზე დაფუძნებულ ლიბერალურ ეკონომიკას, ლიბერალიზმზე დაფუძნებულ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობას და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას კაცობრიობის განვითარება დიდ ჩიხში შეჰყავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалеци Экономика, „дело“, Москва, 1995.
 2. Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика Глобальный подход, Москва, издательство „Дело“, 1996;
 3. М. Х. Мескон, М. Альберт, Ф. Хедоури Основы менеджмента, Москва „дело“ 1992;
 4. К. К. Сiao Управленческая экономикв, Москва „инфра-м“ 2000;
 5. Филип Котлер Основы менеджмента, Москва „прогресс“ 1992;
 6. П. Самуельсон Экономика, т. 1, Москва „алгон“ 1992;
 7. П. Самуельсон Экономика, т. 2, Москва „алгон“ 1992;
- Ричард Дж. Тьюлз, Эдвард С. Бредли, Тад М. Тьюлз, Фондовый Рынок; Инфра-м 1997.

გაკოტრების რისკების შეფასების საკითხები საქართველოს სამშენებლო სექტორის საწარმოებში

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.11>

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია სამშენებლო სექტორის კომპანიების ფინანსური მდგრალობის შეფასება სხვადასხვა ქულების მოდელზე დაყრდნობით. გამოყენებულ იქნა ალტმანის, სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის Z-score მოდელები, რომლებიც საშუალებას იძლევა კომპანიები კლასიფიცირდნენ გაკოტრების რისკის მიხედვით. მიღებული შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ კვლევაში შესული კომპანიების უმეტესობა წარმოდგენილია მაღალი ან ზომიერი რისკის კატეგორიებში, რაც მიუთითებს ფინანსური სტაბილურობის პრობლემაზე სამშენებლო სექტორში. მიუხედავად მოდელებს შორის არსებული განსხვავებებისა, საერთო ტენდენცია ხაზს უსვამს სექტორში ფინანსური რისკის ზრდას. კვლევა ასევე მიაჩნებს მონაცემების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე საქართველოში, რაც ზღუდავს ანალიტიკური ინსტრუმენტების სრულად გამოყენების შესაძლებლობას და აჩენს საჭიროებას, მოხდეს, როგორც მონაცემთა ბაზების განვითარება, ისე არსებული მოდელების ადაპტაცია ადგილობრივ რეალობაზე.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მდგრალობა, გაკოტრების რისკი, სამშენებლო სექტორი, Z-score მოდელები, ალტმანი, სპრინგეიტი, ზმიჟევსკი, ფინანსური ანალიზი, რისკის კლასიფიკაცია.



ნინო წიწწივაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

<https://orcid.org/0000-0003-0848-0718>

E-mail: ninotsivtsivadze@sou.edu.ge

ASSESSMENT OF BANKRUPTCY RISK IN THE CONSTRUCTION SECTOR ENTERPRISES OF GEORGIA

NINO TSIVTSIVADZE

PhD student, Faculty of Business and Social Sciences, Sukhumi State University

<https://orcid.org/0000-0003-0848-0718>

E-mail: ninotsivtsivadze@sou.edu.ge

ABSTRACT

This research examines the financial stability of companies operating in Georgia's construction sector by applying three prominent bankruptcy prediction models: Altman's Z-score, Springate, and Zmijewski. The study analyzed the financial data of 12 construction firms over the period 2020–2022 to assess their risk of insolvency.

The results reveal that most of the examined companies fall into high or moderate risk zones, indicating financial instability across the sector. While each model uses different financial ratios, there is a partial alignment among the outcomes, reinforcing the validity of the findings. Zmijewski's model tends to identify higher distress levels, while Altman's is comparatively more optimistic.

A critical limitation of the study is the lack of accessible and standardized financial data in Georgia, which restricts the models' applicability and the research scope. Furthermore, these models are based on foreign economic contexts and require adaptation to reflect the specific conditions of Georgia's construction industry.

The research highlights the urgent need for improved data transparency, local model development, and strategic policy interventions to support the long-term sustainability of the construction sector.

Keywords: Financial stability, bankruptcy risk, construction sector, Z-score models, Altman, Springate, Zmijewski, financial analysis, risk classification.

თემის აქტუალობა

სამშენებლო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც მოითხოვს მასშტაბურ კაპიტალდაბანდებებსა და გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მობილიზებას. სწორედ აღნიშნული მახასიათებლები განაპირობებს მის მაღალ მგრძნობელობას მაკროეკონომიკური რყევებისა და ფინანსური არასტაბილურობის მიმართ. ასეთ გარემოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სექტორში მოქმედი კომპანიების ფინანსური მდგომარეობისა და გაკოტრების რისკის დროული და ობიექტური შეფასება.

მიუხედავად ამ საკითხის აქტუალობისა, საქართველოში ამ ეტაპზე არ არსებობს სრულყოფილი და ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს კვლევის მასშტაბს და სიღრმეს. აღნიშნული გარემოება ზრდის აუცილებლობას, გამოყენებულ იქნას სტანდარტიზებული, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული ანალიტიკური მოდელები, რაც ხელს შეუწყობს სექტორში ფინანსური რისკების ადეკვატურ შეფასებას და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების დაგეგმვას.

**კვლევის მეთოდოლოგია
და ძირითადი შენაარსი**

კვლევა ეფუძნება ფინანსური ანალიზის ქულების მოდელების გამოყენებას, რომელთა მიზანია კომპანიების გაკოტრების რისკის წინასწარ პროგნოზირება ფინანსური მაჩვენებლების საფუძველზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა სამი ფართოდ გავრცელებული მოდელი: ალტმანის Z-score, სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის მოდელები. თითოეული მათგანი ეფუძნება განსხვავებულ კომბინაციას კომპანიის მომგებიანობის, ლიკვიდობის, ეფექტიანობისა და დავალიანების მაჩვენებლების.

მონაცემთა ანალიზისთვის შეირჩა სამშენებლო სექტორში მოქმედი პირველი კატეგორიის 12 კომპანია, რომლებსაც მიესადაგა თითოეული მოდელი 2020, 2021 და 2022 წლების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. კომპანიები კლასიფიცირდა რისკის ზონების მიხედვით (უსაფრთხო, სარისკო, გარდამავალი ზონა).

შედეგების სტატისტიკური დამუშავება მოიცავდა დისპერსიულ ანალიზს (ANOVA), t-ტესტს და ნორმალურობის ტესტს (Kolmogorov-Smirnov), რათა შეფასებულიყო მოდელების შიდა თანხვედრა და სანდოობა. კვლევა ასახავს არა მხოლოდ ინდივიდუალური კომპანიების მდგომარეობას, არამედ სექტორის ფინანსურ მდგომარეობას ზოგადად.

შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ სამშენებლო სექტორის კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია სარისკო ან გარდამავალ ზონაში. კერძოდ, ალტმანის მოდელის მიხედვით კომპანიების დიდი ნაწილი მოხვდა „უსაფრთხო ზონის“

ფარგლებს გარეთ, რაც მიუთითებს მათ ფინანსურ არასტაბილურობაზე. სპრინგეიტის მოდელი, შედარებით ნაკლები სიმკაცრით, რამდენიმე კომპანიას ასახავს როგორც სტაბილურს, თუმცა საერთო სურათი მაინც მაღალ რისკებზე მიუთითებს. ზმიჟევსკის მოდელის მიხედვით კი კომპანიების უმრავლესობას მაღალი გაკოტრების ალბათობა გააჩნია.

მოდელებს შორის შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილობრივი თანხვედრა შეინიშნება, რაც ზრდის ანალიზის სანდოობას. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ინდივიდუალური კომპანიის კლასიფიკაცია განსხვავებულია მოდელებს შორის, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მათ მიერ გამოყენებული ფინანსური კოეფიციენტების სპეციფიკით.

აღნიშნული ტენდენციები განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს კონტექსტში, სადაც სამშენებლო სექტორი ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში და მისი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც შიდა მოთხოვნაზე, ისე ინვესტიციებზე. ბოლო წლებში არსებული მაკროეკონომიკური გაურკვევლობა, ფინანსური სექტორის სიფრთხილე და სესხების პირობების გამკაცრება ამძაფრებს სამშენებლო კომპანიების ფინანსურ მონეჭადობას. შესაბამისად, დაფიქსირებული მაღალი რისკის მაჩვენებლები უნდა გახდეს მნიშვნელოვანი სიგნალი, როგორც კერძო სექტორისთვის, ისე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის.

**გამოყენებული მოდელების
შედარებითი ანალიზი**

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ კვლევაში გამოყენებულ სამ მოდელს — ალტმანის, სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის Z-score ფორმულებს — განსხვავებული კოეფიციენტური შემადგენლობა და შეფასების პარამეტრები გააჩნია. ალტმანის მოდელი აერთიანებს მომგებიანობის, ლიკვიდობისა და საბაზრო ღირებულების მაჩვენებლებს, რაც განსაკუთრებით ეფექტურია საჯარო სექტორის კომპანიების შეფასებისას. სპრინგეიტის მოდელი ამარტივებს კოეფიციენტთა სტრუქტურას და ნაკლებად ეფუძნება საბაზრო ფასს, რის გამოც პრაქტიკულად გამოსადეგია კერძო კომპანიებისთვის. ზმიჟევსკის მოდელი კი ფოკუსირებულია ფინანსური სტრესის სიმპტომებზე, როგორიცაა ზარალი, ჭარბი ვალდებულებები და სალდოს უარყოფითი მაჩვენებლები.

კვლევის ფარგლებში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი თანხვედრა სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის მოდელებს შორის, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია მათი კოეფიციენტების მსგავსი ტიპოლოგიით. ალტმანის მოდელი, პირიქით, შედარებით მაღალი ზღვარის ქულებით გამოირჩევა და ზოგიერთ შემთხვევაში შედარებით ოპტიმისტურად აფასებს კომპანიების მდგომარეობას.

ამ მოდელების პრაქტიკულ გამოყენებას საქართველოში ზღუდავს არა მხოლოდ მათი საერთაშორისო წარმომავლობა, არამედ მონაცემთა სტრუქტურაში

არსებული შეუსაბამოებები — მაგალითად, საბაზრო ღირებულების ან დეტალური კაპიტალის კომპონენტების არქონა. შესაბამისად, საჭირო ხდება მათი შერჩევითი გამოყენება ან ადაპტაცია ადგილობრივი კონტექსტისთვის.

საერთო ჯამში, მოდელების შედარება აჩვენებს, რომ თითოეულ მათგანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარე, და მხოლოდ ერთზე დაყრდნობა ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვან სურათს. მათი კომბინირებული ანალიზი კი ზრდის სიზუსტეს და ქმნის შედარებით ობიექტურ ბაზას გადაწყვეტილებების მისაღებად.

კვლევის შეზღუდვები

კვლევას ახლავს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რაც პირდაპირ მოქმედებს შედეგების ზოგადობაზე და მათი ინტერპრეტაციის სიზუსტეზე. ერთ-ერთი მთავარი შეზღუდვაა საქართველოში ფინანსური მონაცემების ღია და სისტემური ბაზების არარსებობა. ეს გარემოება აფერხებს, როგორც კვლევისთვის საჭირო მონაცემების მოპოვებას, ისე მათი სიზუსტისა და სისწორის გადამოწმებას.

მეორე მნიშვნელოვანი შეზღუდვა უკავშირდება გამოყენებული მოდელების წარმომავლობასა და სპეციფიკას. სამივე მოდელი — ალტმანის, სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის — უცხოურ პრაქტიკაზეა დაფუძნებული და მათი კოეფიციენტური სტრუქტურა შესაძლოა სრულად არ ასახავდეს ქართული სამშენებლო სექტორის რეალობას. განსაკუთრებით, ალტმანის მოდელი ითვალისწინებს კომპანიის საბაზრო ღირებულებას, რომელიც საქართველოში, არასაჯარო კომპანიების შემთხვევაში, პრაქტიკულად მიუწვდომელია.

კვლევის მასშტაბიც შეზღუდულია — ანალიზში ჩართული იყო 12 კომპანია და მხოლოდ სამი წლის მონაცემები (2020–2022), რაც არ იძლევა ფართო ტრენდების იდენტიფიცირების საშუალებას. გარდა ამისა, მოდელების შედეგები არ იყო გადამოწმებული რეალურ გაკოტრების ფაქტებთან, რაც ზღუდავს მათი პროგნოზული სიზუსტის შეფასებას.

ეს შეზღუდვები მიუთითებს, რომ მიღებული შედეგები გადაჭრით არ უნდა განვაზოგადოთ მთელ სექტორზე, თუმცა ისინი მაინც წარმოადგენენ მნიშვნელოვან საწყის ეტაპს სამშენებლო სექტორის ფინანსური რისკების ანალიზისა და შემდგომი გაფართოებული კვლევებისთვის.

შემდგომი კვლევის რეკომენდაციები

მოცემული კვლევის შედეგები წარმოქმნის რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას, რომელთა განვითარება საჭიროა სამშენებლო სექტორის ფინანსური რისკების უფრო სრულყოფილი შეფასებისთვის.

პირველ რიგში, რეკომენდებულია მონაცემთა ანალიზის მასშტაბის გაფართოება, რაც გულისხმობს როგორც კომპანიების რაოდენობის გაზრდას, ასევე მრავალწლიან მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს.

აღნიშნული შესაძლებელს გახდის სერიოზული ტრენდების გამოვლენასა და პროგნოზის სიზუსტის ამაღლებას.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება უკავშირდება მოდელების ადაპტაციას ადგილობრივ ეკონომიკურ რეალობასთან. სამივე გამოყენებული მოდელი უცხოურ პრაქტიკაზეა დაფუძნებული, რის გამოც მიზანშეწონილია ქართულ კონტექსტზე მორგებული შეფასების მოდელის შემუშავება ან არსებული მოდელების მოდიფიცირება ისეთი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო ადვილად ხელმისაწვდომია და ეფექტურად ასახავს სექტორის სპეციფიკას.

გარდა ამისა, რეკომენდებულია მოდელების შედეგების შედარება რეალურ გაკოტრების ფაქტებთან, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შეფასების სანდოობას და პროგნოზული ანალიზის შესაძლებლობას.

და ბოლოს, მონაცემთა ხელმისაწვდომობის ზრდა — საჯარო ფინანსური მონაცემების რეგულარული გამოქვეყნება და სტანდარტიზებული ბარომეტრული ბაზების შექმნა — გახდება მნიშვნელოვანი წინაპირობა საქართველოში ფინანსური რისკების სისტემური ანალიზისა და ეკონომიკური სტრატეგიების გაუმჯობესებისთვის.

დასკვნა

კვლევა მიზნად ისახავდა სამშენებლო სექტორში მოქმედი საწარმოების ფინანსური მდგრადობის შეფასებას ქულებზე დაფუძნებული მულტიფაქტორული მოდელების მეშვეობით. გამოყენებული მეთოდოლოგია — ალტმანის, სპრინგეიტისა და ზმიჟევსკის Z-score მოდელები — შესაძლებლობას იძლევა, შეფასდეს კომპანიების გაკოტრების რისკის დონე ობიექტური ფინანსური ინდიკატორების საფუძველზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კვლევაში ჩართული კომპანიების უმრავლესობა ექცევა მაღალი ან ზომიერი რისკის კატეგორიებში, რაც მიუთითებს ფინანსური სტაბილურობის ნაკლებობაზე და საჭიროებს ადეკვატურ რეაგირებას. მიუხედავად მოდელებს შორის არსებული შეფასებითი განსხვავებებისა, მათ მიერ წარმოდგენილი სურათი მთლიანობაში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სექტორის მოწყვლადობაზე ფინანსური თვალსაზრისით.

მოცემული შედეგები წარმოაჩენს, როგორც კერძო სექტორის ფინანსური მართვის გაუმჯობესების საჭიროებას, ისე სახელმწიფოსა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტების მიერ სტრატეგიული მხარდაჭერის საჭიროებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა ღიაობასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას, რაც ამჟამად წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუციურ ბარიერს საქართველოს ეკონომიკაში.

ჩვენი აზრით, კვლევა ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს შემდგომი, მასშტაბური და შედარებითი ანალიზებისთვის, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო სექტორის ფინანსური რისკების უფრო ღრმა და სისტემურ გააზრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Altman, E.I., Danovi, A. & Falini, A. (2013). Z-Score Models' Application to Italian Companies Subject to Extraordinary Administration. *Journal of Applied Finance*, 23 (1), 128-137;
2. Methodologies, Rationale, and Default Risk. Edited by Michael K. Ong. London: Risk Books, Available online:
<https://pdfs.semanticscholar.org/9899/c671599ca41a1310d9b5e0ed-5a3953c930f0.pdf> (accessed on 10 October 2019);
3. Altman, Edward, Malgorzata Iwanicz-Drozdowska, Erkki Laitinen, and Arto Suvas. 2017. Financial Distress Prediction in an International Context: A Review and Empirical Analysis of Altman's Z-Score Model. *Journal of International Financial Management & Accounting* 28: 131-71;
4. Beaver, William H. 1966. Financial Ratios as Predictors of Failure. *Journal of Accounting Research* 4: 71-111.[CrossRef];
5. Springate, Gordon. 1978. Predicting the possibility of failure in a Canadian firm. Master's Thesis, Simon Fraser University, Burnaby, BC, Canada;
6. Zmijewski, M. E. (1984). Methodological Issues Related to the Estimation of Financial Distress Prediction Models. *Journal of Accounting Research*, 22, 59-82;
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/652?publication=8>;
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/23572?publication=31>.

HOW TOURISM BUSINESS CAN MEASURE AND MAXIMIZE DIGITAL IMPACT

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.12>

ABSTRACT

In the evolving digital environment, social media has emerged as a pivotal component of marketing strategies within the tourism industry. Despite its growing adoption, the measurement of social media effectiveness presents ongoing challenges for tourism businesses. This paper critically examines the strategic role of social media platforms - including social networks, microblogs, multimedia-sharing sites, and user-generated review systems - in enhancing visibility, consumer engagement, and brand positioning. Emphasis is placed on the necessity of aligning social media initiatives with clearly defined business objectives and utilizing both qualitative and quantitative metrics to assess performance. The study explores established frameworks, such as Paine's seven-step model and Etlinger's Social Media Measurement Compass, which offer structured methodologies for evaluating impact and return on investment (ROI). The paper concludes that a comprehensive, data-informed approach to social media measurement not only justifies investment but also enables continuous optimization of marketing



BEKA SKHIRTLDZE

PhD Candidate in Business Administration,
Sokhumi State University
<https://orcid.org/0009-0009-9000-4235>
E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

efforts, thereby contributing to sustained competitiveness in the tourism sector.

Key Words: Social Media Marketing, Tourism Industry, Digital Impact Measurement, Return on Investment (ROI), Strategic Communication

როგორ შეუძლია ტურისტულ ბიზნესს გაზომოს და მაქსიმალურად გაზარდოს სივრული გავლენა

ბექა სხირტლაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების
მიმართულების დოქტორანტი

<https://orcid.org/0009-0009-9000-4235>
E-mail: bekaskhirtladze04@gmail.com

ანოტაცია

ციფრული გარემოს განვითარების ფონზე, სოციალურ მედიას, მნიშვნელოვანი როლი აქვს ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში. მიუხედავად მისი მზარდი გამოყენებისა, სოციალური მედიის ეფექტიანობის გაზომვა, კვლავ გამოწვევად რჩება ტურიზმის სექტორისთვის. ეს ნაშრომი, კრიტიკულად განიხილავს სოციალური მედიის პლატფორმების - სოციალური ქსელების, მიკრობლოგების, მულტიმედიური გაზიარების საიტების და მომხმარებელთა მიერ შექმნილი შეფასებითი სისტემების - სტრატეგიულ როლს: ხილვადობის, მომხმარებელთა ჩართულობის და ბრენდის პოზიციონირების გაუმჯობესებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, სოციალური მედიის ინიციატივების მკაფიოდ განსაზღვრულ ბიზნეს მიზნებთან შესაბამისობის აუცილებლობას და შესრულების შეფასების, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. ნაშრომი განიხილავს უკვე დამკვიდრებულ ჩარჩოებს, როგორცაა პეინის შვიდსაფეხურიანი მოდელი და ეტლინგერის სოციალური მედიის გაზომვის კომპასი, რომლებიც გთავაზობენ სტრუქტურირებულ მეთოდოლოგიას გავლენისა და ინვესტიციის დაბრუნების მაჩვენებლის (ROI) შეფასებისთვის. კვლევა ასკვნის, რომ მონაცემებზე დაფუძნებული ყოვლისმომცველი მიდგომა, სოციალურ მედიაში, არა მხოლოდ ამართლებს ინვესტიციას, არამედ შესაძლებელს ხდის მარკეტინგული ძალისხმევების უწყვეტ ოპტიმიზაციას, რაც ტურიზმის სექტორში გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მედია მარკეტინგი, ტურიზმის ინდუსტრია, ციფრული ზემოქმედების გაზომვა, ინვესტიციის დაბრუნება (ROI), სტრატეგიული კომუნიკაცია

THE MAIN PART

Social media strategies are an essential component in the tourism sector, requiring significant attention from companies operating within the tourism industry. Piskorski (2012) argues that companies that merely transferred their digital strategies into the social environment and simply aimed to „maximize followers“ - only to push their commercial information to users - did not succeed. According to Piskorski, social strategies on social media platforms must be developed gradually; otherwise, they will fail. (Piskorski, 2013). At the first stage, businesses are advised to build better relationships with people to encourage them to complete corporate tasks voluntarily. In the second stage, companies should make non-intrusive efforts to establish connections between the company and its customers. A well-crafted social strategy creates a „many to many“ form of social engagement. Piskorski (2014) supports three types of social paradigms:

1. The „Pipe View“ - This paradigm sees social networks as pipes that transmit reliable information to interested parties through the exchange of information;
2. The „Prism View“ - This approach sees platforms as facilitators of connections between two parties, while also influencing third parties who are not directly involved in the interaction;
3. The „Platform as a Cloak“ - This paradigm suggests that social interactions with friends and acquaintances give individuals an excuse to engage in other types of interesting activities, while allowing them to maintain plausible deniability regarding their true intentions. (Piskorski, 2013).


LinkedIn allows users to focus on professional topics, with content tailored specifically to career-related discussions, leaving little room for entertainment or leisure. Facebook, on the other hand, enables users to find new partners

or explore topics related to their interests. Studies show that only 50% of profile and photo views come from friends; the remaining 50% come from unknown visitors. (Piskorski, 2013). A well thought out social strategy is extremely beneficial in the tourism sector. Potential visitors often have a wide range of competing destinations to choose from, but in most cases, they are unwilling to invest significant time in thoroughly researching their options. On the other hand, tourists are often willing to pay more for a high-quality product if it is easily accessible. Social networks have created vast opportunities for developing and maintaining relationships with engaged consumers. As a tourism marketing tool, social media can significantly enhance the reputation of a destination and more effectively convince people that they are an integral part of the marketing strategy. (Yadav & Arora, 2012). Globalization, along with changes in visitors' needs and attitudes, has increased the volume of information that destinations must analyze to remain competitive in the constantly evolving tourism market.

When discussing social media, the diversity of its tools becomes particularly important, especially due to the significant impact these tools have on the tourism industry. Modern social media can be divided into several categories, often referred to as social media tools, including:

- Social Network Activity - Social networking sites like Facebook, Google Plus, CafeMom, Gather, and Fitsugar allow users to connect and share information with people who have similar interests. These tools enable tourists to effectively stay in touch with friends, family, colleagues, and people around the world. To use Facebook as a business tool, a company should create a branded page and share interesting and updated content with users. The company should help fulfill users' social needs and encourage them to support each other's needs. Depending on the type of

Adoption of Social Media Tools in Tourism Marketing



customer, tailored communication and offers can be created. Businesses can also establish discussion forums to receive feedback on their products and services. (Treadway & Smith, 2010);

- **Microblogs** - Platforms like Twitter, Tumblr, and Posterous allow users to share short text posts that may include links to products, services, and other social media. Twitter is especially popular among celebrities and politicians, making it an attractive tool for companies to reach diverse audiences. Messages (tweets) may include opinions, quotes, news links, images, or product promotions that generate interest and engagement. Tourism businesses should actively seek to grow their network and fan base to boost global engagement;

- **Blogs** - Web journals are platforms where travelers share their personal travel stories and experiences. Blogs are powerful and cost-effective tools for expressing various opinions and interests - whether political, commercial, social, or personal. Blogging platforms include WordPress, Blogger, and Squarespace. Users can participate by posting and responding to messages. Blogs have a strong influence on audiences, making them essential in tourism marketing. Companies often work to win over bloggers whose content can impact public perception. Blogs are also a valuable source for promoting tourism services and destinations. (Khare, 2012);

- **Multimedia and Video Sharing** - Platforms like Flickr (photos) and YouTube (videos) allow for sharing multimedia content. These are essential tools in tourism, with platforms like YouTube, Vimeo, and Viddler playing a major role in destination promotion. It's important for video uploaders to allow users to share content like images and videos. YouTube has over 1 billion registered users and more than 4 billion daily video views, making it the largest video-sharing platform. Tourism businesses can drive traffic using SEO keywords and hashtags aligned with their target segment and brand. (SEOPressor, 2021);

- **Collaboration Tools** - Wikipedia, WikiTravel, and WikiBooks are software-based platforms where users can collaboratively create, modify, and manage content related to social media's role in tourism. (SEOPressor, 2021);

- **Review Sites** - These platforms allow people to post reviews of individuals, businesses, travel destinations, and services. They are strategically developed tools in social media marketing. (SEOPressor, 2021);

- **Photo Sharing Sites** - Platforms like Flickr, Instagram, and Pinterest enable users to upload, edit, publish, and share images and videos. (SEOPressor, 2021) Instagram, a photo and video sharing platform now owned by Facebook, is especially popular among younger users, making segmentation easier. Instagram has around 130 million monthly active users. (ebizmba.com, 2021) To influence users through Instagram, it's essential to post engaging and relevant photos and videos regularly. Content should address users' social, emotional, rational, and epistemic needs. (SEOPressor, 2021);

- **Personal Broadcasting Tools** - Platforms like Talk Radio,

Ustream, Livestream, and Tumblr allow for participatory journalism, where users broadcast their own content;

- **Virtual Worlds** - Platforms like Second Life, World of Warcraft, and Farmville are 3D online communities where users appear as avatars and interact in real time via text or 3D models. (SEOPressor, 2021);

- **Location Based Services** - Apps like Foursquare and Yelp use GPS to connect users to nearby locations and services, such as restaurants, cafes, cinemas, museums, and galleries. These tools help tourists and tourism companies find each other quickly and efficiently. (Corstjens & Umblijs, 2012);

- **Group Buying Sites** - Sites like Groupon, Living Social, Wowcer, and Crowdsavings offer opportunities for bulk discounts and savings, which can result in high transaction volumes. (SEOPressor, 2021);

- **Social Bookmarking and News Aggregation** - Platforms like Digg, Delicious, and StumbleUpon allow users to save and organize links to various websites and online resources. (SEOPressor, 2021) StumbleUpon, with 25 million users, acts as a discovery engine that recommends web pages based on users' interests. It can also share content marked as "liked" and suggest related sites and blogs.

- **Email Marketing** - Sending targeted emails to existing or potential tourists remains one of the most effective online marketing tools. (Jashi, 2013);

- **Search Engines** - Tools like Google, Bing, and Yahoo are widely used by tourists to search for information about companies and destinations. Search Engine Optimization (SEO) is crucial to help a specific site appear higher in search results. (Ernestad, 2010).

Social media marketing has become a critical success factor for many businesses today. More and more tourism organizations are investing in social media strategies, raising an important question: does spending on social media actually yield better results for tourism businesses? The answer is not always straightforward. For many tourism enterprises, social media marketing is still in its early stages, which complicates performance measurement. Managers and marketers responsible for social media find it challenging to demonstrate the return on their investments on platforms like Facebook and Twitter. Hoffman and Fodor (2010) noted that businesses, particularly marketing departments, are searching for appropriate ways to assess the impact of social media strategies, but most models still rely heavily on reach and frequency metrics. Executives and departmental managers need concrete figures to evaluate investment performance. Without reliable measurement, goals are difficult to track, and unmeasured activities often go unfinished. While numbers have their advantages, poor data management can lead to problematic behaviors and hinder broader organizational goals. Therefore, it's essential to have reliable measurement tools to determine whether goals have been successfully achieved (Demopoulos, Futch, & Pisello, 2008).

Measuring the impact of social media on organizations

will likely guide future investments in social platforms. However, this raises further questions: What should be measured? What key performance indicators (KPIs) can help organizations understand the impact of social media across different industries, sizes, and regions? What effect does it have on tourism objects, and how should these metrics be interpreted? Since social media relies on ideas and creativity, it differs significantly from other marketing tools. It is a science revolving around big data, statistics, and analytics. It involves far more than simply posting, sharing, or tracking likes and followers. Tourism organizations must assess not only social media's influence on their overall business performance but also justify the time and money invested. (Demopoulos, Futch, & Pisello, 2008) Organizations that fail to analyze the data generated from social networks risk rendering their social media marketing ineffective. Tourism organizations should remember that social media shares many of the fundamental principles of traditional marketing measurement. Two essential aspects to consider when measuring social media impact are influence and return on investment (ROI). To assess social media's influence on business performance, companies must answer questions like: What is the direct or indirect impact of social media on business outcomes? How do these impacts vary across sectors, organization sizes, and geographical regions?

Social media ROI measurement presents challenges, especially when trying to quantify non-numerical elements like user engagement and conversations. It's difficult to convert metrics like daily tweets or the value of 1,000 Facebook followers into financial returns. However, businesses must develop ways to define what constitutes a "return" (Bitzer, 2012) Basic engagement metrics (likes, followers) alone are insufficient to measure revenue impact from social media. On the other hand, qualitative metrics such as customer sentiment and feedback provide meaningful insights that can drive business improvement. Without a proper measurement framework, businesses cannot assess whether their strategies are effective.

CONCLUSION

Social media has become a vital tool in the tourism industry, fundamentally transforming how destinations and tourism businesses engage with potential visitors. While its popularity and influence continue to grow, accurately measuring the effectiveness and return on investment (ROI) of social media strategies remains a challenge. Metrics such as

likes, shares, comments, and follower counts offer surface-level insights, but they often fall short of capturing the full impact on business objectives.

To truly understand the value of social media, tourism organizations must adopt structured measurement frameworks that align social media activities with clear business goals. Models such as Paine's seven-step framework emphasize the importance of defining target audiences, selecting meaningful benchmarks and key performance indicators (KPIs), and using appropriate data collection tools. Quantitative metrics should be complemented by qualitative data - such as user feedback and engagement patterns to form a comprehensive view of performance.

Ultimately, measuring social media success is not about collecting every possible statistic but about focusing on the data that reflects progress toward strategic objectives. Without proper measurement, organizations risk misallocating resources and failing to optimize their social media efforts. As the digital landscape evolves, the ability to adapt, analyze, and act on social media insights will become an increasingly crucial component of sustainable success in the tourism sector.

BIBLIOGRAPHY:

1. Bitzer, L. (2012). Measuring the ROI of social media: The importance of accurate metrics. *Journal of Digital Marketing*, 5(2), 67-78.
2. Demopoulos, D., Futch, S., & Pisello, J. (2008). The impact of social media on business performance and ROI in tourism. *International Journal of Tourism and Hospitality*, 16(4), 22-36.
3. Etlinger, S. (2011). Altimeter's social measurement compass: A framework for success in digital marketing. Altimeter Group.
4. Hoffman, D. L., & Fodor, M. (2010). Can you measure the ROI of your social media marketing? *MIT Sloan Management Review*, 52(1), 41-49.
5. Lovett, M. (2011). Measuring success: How social media impacts business performance. *Journal of Business & Marketing Strategy*, 8(3), 15-27.
6. Paine, K. D. (2011). *Measure what matters: Online tools for social media marketing analysis*. Wiley.
7. Pan, Y. (2011). Effective social media marketing strategies for the tourism industry. *Journal of Tourism Management*, 13(2), 43-56.

ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის **მქლავრი და დინამიური ინდუსტრია**

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.13>

უპიროზო მოსაზრებები
ნოდარ ბრძელებიშვილის ახალ
მონოგრაფიაზე:
„ტურიზმოლოგია მეცნიერება
ტურიზმის შესახებ“

2025 წლის მაისში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მოისმინა ტურიზმის სპეციალისტის, ამ სფეროს მკვლევრისა და ცნობილი მეცნიერის ნოდარ გრძელშვილის წარდგინება მონოგრაფიაზე **„ტურიზმოლოგია მეცნიერება ტურიზმის შესახებ“**. დისკუსიისში მონაწილეებმა გამოხატეს ინტერესი, აღნიშნეს გამოცემის მეცნიერული და პრაქტიკული ღირსებები. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო - სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამავე აკადემიის სტამბაში, გვ.228. მთავარი რედაქტორი - **აკადემიკოსი როინ მეტრეველი**.

მარტო აღნიშნული საკმარისია, რომ ასეთი ავტორიტეტების მიერ კურთხეულმა მონოგრაფიამ სპეციალისტების ყურადღება მიიპყროს და მათ სამუშაო სამაგიდეზე დამკვიდრდეს.

დარწმუნებული ვარ, ან უკვე ფართო წრისათვის ხელგანვდილ ნაშრომზე დადებითი გამოხმაურებები სხვაც ბევრი დაინერება და უთუოდ შენიშნავენ მის, მართლაც, ღირებულ ნიშნებს. მანამდე, როგორც მკითხველმა და სფეროსთან არამწყრაღად მყოფმა, მინდა ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ.

ეს მონოგრაფია ავტორისთვის პირველი არ არის და სავსებით ლოგიკურია, რომ წინამორბედებისგან გამოცდილების სიუხვით, აკადემიურობით, კვლევის სიღრმით და მასშტაბურობით გამოირჩევა. ამით, არ ვგულისხმობ, მის სხვა ნაშრომებს რამე აკლდა. მაგრამ განსაკუთრებულად შევნიშნავ, რომ ეს გამოცემა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაღალი აკადემიური სტანდარტების შესაბამისი ნაშრომია. ამასთან, ახალი სამეცნიერო დისციპლინის, ტურიზმოლოგიის ინსტიტუციონალიზაციისათვის ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს და მიზნად ისახავს ტურიზმის, როგორც რთული, მრავალგანზომილებიანი სოციალური ფენომენის, სისტემურ გააზრებას.

დღეს წიგნები, განსაკუთრებით სპეციალური მიმართულების ლიტერატურა, ბევრი იწერება. უმეტესი მათგანი საგრანტო თემას, სასწავლო პროგრამას, აკადემიური თანამდებობისთვის პრომების ჩამონათვალის შევსებას, ავტორების მეცნიერული პროდუქტიულობის წარმოჩენას და ათას სხვა გარემოებას უკავშირდება. მათ შორის, იშვიათია გამოცემა, რომელიც მკითხველისთვის,



იური პაპასკუა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, <https://orcid.org/0000-0002-7849-2426>
 E-mail: papaskuairi@gmail.com

მით უფრო, გამოყენებადობის დანიშნულებით იყოს დანერგილი. ამ შემთხვევაში კი ბედნიერ გამოწაკლისთან გვაქვს საქმე - ნაშრომი შესრულებულია მკითხველის მიმართ პატივისცემით, მაღალი პასუხისმგებლობით, კომპენენტურობით, მეცნიერული უნარ-ჩვევებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის პრაგმატულ დანიშნულებას ატარებს. წიგნს უაღრესად დახვეწილი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია - მისი ცალკეული თავი თუ ქვეთავი დამოუკიდებლადაც იკითხება, ინტელექტუალური ინფორმაციით დატვირთულია და საინტერესოა.

ბევრს დღემდე ტურიზმი წარმოუდგენია, როგორც ვიზიტორების შემოსვლა, ქვეყნის ღირსშესანიშნაობებით მათი მოხიზვლა, ხელგაშლილად დახვედრა, გართობა, რომელსაც შემოსავალი მოაქვს. რაღაც მიახლოება არსთან აქ უთუოდ არის. მაგრამ უპირველესად, ამ სფეროთი დაინტერესებულმა უნდა იცოდეს, რომ ტურიზმი მარტო უცხოელისთვის საინტერესო ადგილების ჩვენება არ არის, არც გულუხვი გამასპინძლება - ეს უდიდესი ინდუსტრია, დარგთაშორისი კავშირი, მომსახურების კულტურა, დარგის ცოდნა, გამოცდილება,

უთვალავი რესურსისა და შესაძლებლობის უზადოდ გამოყენებაა. ავტორს თუ დავიმონებთ, „**ტურიზმი - ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალნაზნაგოვანი მოვლენა, რომლის დახასიათება ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია. ცხადია, რომ ტურიზმი - ასევე არის მულტიდისციპლინარული და მრავალფაქტორული მოვლენა.** ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინფრასტრუქტურის, სტუმართმასპინძლობის, გადაადგილების თავისუფლების, ტურისტული პროდუქტების ხარისხის - სამზარეულოს ხარისხის, გარემოს ხარისხის, პერსონალის კომპეტენტურობის, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, კომუნალური მომსახურების ფექტურობის, ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთობა. **ტურიზმი წარმოდგება, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, სადაც ტურისტული პროდუქტი ფორმირდება და რეალიზდება, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახეობა და როგორც თავისუფალი დროის გატარების საშუალება**“ - ფაქტობრივად, ყოვლისმომცველ განმარტებაში აშკარად იკითხება ავტორის შთამბეჭდავი ცოდნა და განსწავლულობა ეკონომიკის, მართლაც, უკიდევანო ამ დარგში.

იყო მოსაზრება, რომ ტურიზმი ქვეყანას და მოსახლეობას მომსახურის პროფილს უქადის. თავის დროზე, ამ მოსაზრებაში იკითხებოდა ანგარიშგასაწიფი მინიშნება, თუმცა, თანამედროვე ტურიზმი იმდენად მრავალნაზნაგა და მრავალი სახისაა, რომ მზარეულის, მრეცხავისა თუ სასტუმროს სხვა პერსონალის რუტინულ საქმიანობას შორს სცდება. ტურიზმთან დაკავშირებული უზარმაზარი ინდუსტრია (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა, გზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, კვების ობიექტები, კულტურა, ხელოვნება, სპორტი და ბევრი სხვ.) მხოლოდ მომსახურება არაა, ეს აღმშენებლობითი ინფრასტრუქტურაცაა და მას ქვეყნის ცნობადობის გაზრდისთვის, შესაძლებლობათა წარმოჩენისა და ეკონომიკური განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, ჩნდება ტურიზმის ახალი სახეობები და საქართველოს, ამ მხრივ, დიდი პოტენციალი გააჩნია. ამოუწურავი რესურსებია საქართველოში ტურიზმის ისეთი მიმართულებისთვის, როგორიცაა ორგანიზმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ფუნქციების აღდგენის, ემოციური განტვირთვის მიზნით მოკლევადიანი და გრძელვადიანი დასვენება; რეკრიაციული ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი; აგროტურიზმი; კულტურული, რელიგიური, საზოგადოებრივი, საკონგრესო, ეკოლოგიური, სპორტული, სათავგადასავლო, ექსტრემალური, თვითშემოქმედებითი, სოციალური ტურიზმი და ცალკეული მათგანის ქვედარგები. თითოეული მოიცავს/საჭიროებს შესაბამის ინფრასტრუქტურას, დაკავშირებული დარგების გამართვას, პროდუქტების შექმნას და მიწოდებას, რაც მრავალპროფილური დასაქმების ახალი ადგილების, ცოდნის, შესაბამისი კადრების მომზადებისა და შემოქმედებითი უნარების

ჩამოყალიბების ერთობლიობაა. კიდევ ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი გამოვლინება გააჩნია ტურიზმს, რომლის გამოც, ქვეყნის განვითარებაში მისი როლისა და ადგილის დაკნინება მხოლოდ მომსახურების სფერომდე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გაუცნობიერებულობის ფარგლებს ვერ გასცდება, ესაა უდიდესი შემაკავშირებელი ძალა - „ცივილიზებული ტურიზმის იდეას შეუძლია გააერთიანოს ერები ეროვნული კულტურის, განათლების, მსოფლიო ხალხების ტრადიციების საფუძველზე“.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიაში ტურიზმი ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტულ მიმართულებად არის წარმოდგენილი. ეს ამ მხრივ საქართველოს რესურსების უდიდესი პოტენციალითაა განპირობებული. მაგრამ საყურადღებოა და უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი მიდგომა მოცემული მომენტისთვის გადაჭარბებულ მოლოდინებს შეიცავს და სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. საქმე იმაშია, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტები და მომსახურება უმეტესწილად ხორციელდება იმპორტული საქონლის, პროდუქტების, მასალების, კომუნიკაციური და სხვა საშუალებების გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, ტურიზმს შემოსავალი კი არ მოაქვს, არამედ მიაქვს - ჩვენ ვაძლიერებთ „სხვის“ ეკონომიკას. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმის კეთილმოყვლეობისა და ქვეყნის განვითარების მომსახურებისთვის აუცილებელია იმპორტჩამანაცვლებელი დარგების წამოწევა, მათი აღორძინება.

წარმოდგენილი წიგნი იძლევა შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა პირმა კარგად გაიგოს, შეისწავლოს და გაერკვეს ტურიზმის სიკეთეებსა და რისკის შემცველ მოტივებში, თვით ტურიზმის არსშიც კი.

საგულისხმოა, რომ დარგით დაინტერესებულ მკვლევართა შორისაც კი არ იყო შეჯერებული შეხედულება ტურიზმის არსის, მისი შესაბამისი განმარტების შესახებაც. მონოგრაფიაში ავტორი იძლევა ტურიზმის სრულყოფილ, ფაქტობრივად, ზუსტ განმარტებას და მის საფუძვლიან არგუმენტებს. მეტიც, პრაქტიკული გამოვლინებების ადექვატური შეფასებების გარდა, აქ ტურიზმი წარმოდგენილია, როგორც მეცნიერება - „**მრავალნაზნაგოვანი ცნება, რომელსაც აქვს კონკრეტული საგანი. ტურიზმი, როგორც მეცნიერება - ეს არის ურთიერთობების ერთობლიობა, რომლებიც შეისწავლიან ტურისტული პროდუქტის ფორმირების, წინაწინების, რეალიზაციისა და მოხმარების კანონზომიერებს ტურისტის სოციალ-კულტურული, ეკონომიკური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით**“. უდავოა, რომ „ასეთი სახით ტურიზმის შესახებ მეცნიერების წარმოჩენა, რომელიც დაფუძნებულია, კვლევის ერთიან ობიექტზე, წარმოქმნის ტურიზმის მთლიან კონცეფციას და საკვლევ ველს სხვა მეცნიერებებისთვის“.

შემთხვევითი არაა, რომ ავტორმა ამ წიგნს ტურიზმოლოგია უწოდა. მართლაც, ჩვენს რეალობაში ჩნდება ახალი ასეთი დარგი. ბატონმა ნოდარმა მას პირველი,

მეცნიერული ღირსებებით გაჯერებული მონოგრაფია მიუძღვნა. სახელდებაც შესაბამისია, - ის იზიარებს მსოფლიო ანალოგებს. ტერმინი „ტურიზმოლოგია“ წარმატებით გამოიყენება მეცნიერთა მიერ სხვადასხვა ქვეყანაში და, ჩემი აზრით, კარგად ესატყვისება სამოქმედოდ მოაზრებულ სფეროს.

ავტორის კონცეპტუალური მიდგომით, ტურიზმოლოგია განიხილება არა როგორც მხოლოდ ტურიზმის ზოგადი თეორია, არამედ როგორც ინტეგრირებული და მრავალვექტორული სამეცნიერო მიმართულება, რომელიც „აერთიანებს ფილოსოფიურ, გეოგრაფიულ, იურიდიულ, სოციოლოგიურ, კულტუროლოგიურ, პედაგოგიურ და სხვა განზომილებებს“. ყველა ნიშნის მიხედვით, ტურიზმოლოგია, მართლაც, თავს მოუყრის მრავალ სამეცნიერო დისციპლინასა და დისციპლინათაშორის მიმართულებას. იგი მალე ტურიზმისა და ტურისტული საქმიანობის შესახებ ზოგადი და გამოყენებითი მეცნიერებების კომპლექსად ჩამოყალიბდება.

ნაშრომში განსაკუთრებით საყურადღებოა ის მიდგომა, რომლის მიხედვით ტურიზმოლოგიის პრობლემატიკა მოიცავს იმ კომპონენტების სისტემურ ანალიზს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული: „ადამიანი - მოგზაურობა - ტურისტული დესტინაცია - გარემო“. ამ მოდელის საფუძველზე ავტორი ავითარებს კომპლექსურ ხედვას, რომელიც აერთიანებს როგორც ჰუმანიტარულ, ისე საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს. ამ მიდგომით მონოგრაფია წარმოაჩენს ტურიზმის მთლიან მეცნიერულ კონცეფციას, რომელიც შემდგომში შესაძლებელია სხვა მეცნიერებებაც გამოიყენონ, როგორც ბაზისი.

ავტორი წარმატებით ახორციელებს ტურიზმოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, კონცეპტუალიზაციას და მომხმარებელს მომავალი კვლევებისთვის სთავაზობს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. მასში გამოყენებულია უცხოელი, ასევე ქართველი მეცნიერების მნიშვნელოვანი კვლევები და დიდი მოცულობის ანალიტიკური მასალა. მონოგრაფიაში წარდგენილი თეორიული დებულებები ეყრდნობა როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ისე კონკრეტული ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მაგალითზე ჩატარებულ კვლევებს. მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ტურიზმის ინტერდისციპლინარულ ბუნებაზეც - იგი ეფექტურად აერთიანებს გეოგრა-

ფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტუროლოგიურ კომპონენტებს.

დღეს, როდესაც ტურიზმი იქცა არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ კულტურულ, საგანმანათლებლო, ეკოლოგიურ და გლობალურ სტრატეგიულ ფენომენად, აუცილებელია, რომ მის შესასწავლად არსებობდეს მკაფიოდ ფორმირებული, დამოუკიდებელი და აკადემიურად აღიარებული მეცნიერება.

ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართულ აკადემიურ სივრცეში და საფუძველს ჩაუყრის ტურიზმოლოგიის, როგორც ცალკე მეცნიერების ინსტიტუციონალიზაციას.

ჩვენი აზრით, ამ ნაშრომის ფართოდ გავრცელება აკადემიურ წრეებში, უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში გამოყენება გახდება ღირებული რესურსი მომავალი თაობის მეცნიერთათვის.

აღნიშნული და სხვა, დროსა და სივრცეში, ჯერ კიდევ გამოსავლენ ღირსებათა გამო, „ტურიზმოლოგია მეცნიერება ტურიზმის შესახებ“, ერთ-ერთი ძალიან ღირებულია ბოლო დროს დასტამბულ ეკონომიკურ გამოცემებს შორის. მონოგრაფია ერთგული მეგზური გახდება მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების, პედაგოგების, დოქტორანტების და საკითხით დაინტერესებული ფართო წრის წარმომადგენლებისთვის.

ავტორი უთუოდ იმსახურებს ნახალისებასა და მხარდაჭერას გამბედაობისთვის, კომპეტენტურობისთვის, პასუხისმგებლობისთვის, მეცნიერული აღლოსა და უნარისთვის, რაც აქ, ამ ჩინებულ ნიგნში არის ჩაკირული.

ABSTRACT

The work reflects the unconditional opinions of the tourism specialist, researcher in this field and famous scientist **Nodar Grdzelishvili** on the monograph: „**Tourismology - Science about Tourism**“. In it, along with high assessments, it is emphasized that this monograph is one of the most valuable among the recently published economic publications. The scientific and practical merits of this publication are presented in an argumentative manner.

The author notes the courage, competence, high responsibility towards the reader, scientific enthusiasm and skills of **Nodar Grdzelishvili**, due to which the monograph deserves the attention of academic circles, universities and research centers.

ევროკავშირის პროექტები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

EU PROJECTS AT SOKHUMI STATE UNIVERSITY



ღონისძიებების ქრონიკა

Chronicle of Events

შეხვედრა ბიზნეს სექტორის ნარმომადგენლებთან ჟან მონეს მოდულის CSREU ფარგლებში

2025 წლის 19 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტების შეხვედრა ნარმატებულ მენარმესა და „აქტო ჯგუფის“ გენერალურ დირექტორთან გიორგი ეზუგბაიასთან (<https://acto.ge>) და კომპანია Tegeta Holdingis-ის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერ, GSR-ის ექსპერტთან, მარიამ ჯაფარიძესთან (www.tegeta.ge).

გიორგი ეზუგბაია სტუდენტების წინაშე წარსდგა მოხსენებით „თანამედროვე ბიზნესი: გამოწვევები და სოციალური პასუხისმგებლობა“. მან ხაზი გაუსვა თანამედროვე ბიზნესის, როგორც პროგრესის წარმართველი ძალის შესაძლებლობებს. ვრცლად ისაუბრა ბიზნესის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, სოციალური პასუხისმგებლობის (GSR) მნიშვნელობაზე და საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე მოახდინა პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირება.

ექსპერტმა მარიამ ჯაფარიძემ ისაუბრა Tegeta Holdingis-ის საქართველოს უმსხვილესი კომპანიების ხუთეულში შემაჯალი ჰოლდინგის შესახებ. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა ჰოლდინგის მიერ განხორციელებულ პროექტებზე კორპორაციული პასუხისმგებლობის (CSR) მიმართულებით და სამომავლო გეგმებზე. Tegeta Holdingis-ის საქმიანობამ და CSR-ის სფეროში გამოცდილებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებში - მათ მიერ დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გაეცა. დასასრულს, პროექტის კოორდინატორმა, პროფესორმა ლარისა თაკალანძემ და სტუდენტებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს მონეველ სტუმრებს საინტერესო მოხსენებებისა და CSR-ის სფეროში მდიდარი გამოცდილების გაზიარებისთვის.

შეხვედრა ჩატარდა ERASMUS+ პროგრამის მიერ მხარდაჭერილი ჟან მონე მოდულის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის“ (CSREU) ფარგლებში (იხ. <https://tinyurl.com/43t6r7x6>).

MEETING WITH THE REPRESENTATIVES OF BUSINESS SECTORS WITHIN THE FRAMEWORKS OF THE JEAN MONNET MODULE CSREU

On May 19, 2025, a meeting of students with successful Entrepreneur and General Director of „Acto Group“ (<https://acto.ge>) Giorgi Ezugbaia and Corporate Social Responsibility Manager of Tegeta Holdingis, CSR Expert, Mariam Japaridze (www.tegeta.ge) were held at Sokhumi State University.

Giorgi Ezugbaia presented a report to the students entitled „Modern Business: Challenges and Social Responsibility“. He highlighted the capabilities of modern business as a driving force for progress. He spoke at length about the challenges facing business, the importance of corporate social responsibility (GSR), and demonstrated practical examples based on his own rich experience in entrepreneurial activities.

Expert Mariam Japaridze spoke about Tegeta Holdingis, a Holding Company that is among the five largest Companies in Georgia. The Expert focused on the projects implemented by the Holding in the direction of Corporate Social Responsibility (CSR) and future plans. Tegeta Holdingis' activities and experience in the field of CSR aroused great interest among the students - all their questions were answered exhaustively. In conclusion, the project coordinator, Professor Larisa Takalandze, and the students expressed their sincere gratitude to the invited guests for the interesting reports and sharing of rich experience in the field of CSR.

The meeting was held within the framework of the Jean Monnet Module „Corporate Social Responsibility in the European Union: Experience for Georgia“ (CSREU), supported by the ERASMUS+ Programme (See <https://shorturl.at/771Vi>)

საგაზაფხულო სკოლა 2025 ჟან მონეს მოდულის CSREU ფარგლებში

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 30 აპრილს გაიხსნა საგაზაფხულო სკოლა „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირისა

და საქართველოს ურთიერთობათა კონტექსტში“ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ERASMUS+ პროგრამის მიერ (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-SCH). საგაზაფხულო სკოლა 2025 გახსნა ჟან მონეს მოდულის კოორდინატორმა, პროფესორმა ლარისა თაკალანძემ; ღონისძიებას ესწრებოდნენ და მონაწილეებს მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ასოცირებული პროფესორი ნინო თოფურიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ჯალაღონია, სსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი რომეო გალდავა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურათაშორისი კავშირების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ინდირა ძაგანია.

საგაზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა სტუდენტთა ცნობიერების გაზრდას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ამ სფეროში ევროკავშირის გამოცდილების შესახებ, ცოდნის ამაღლებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის თანამედროვე ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები, ევროკავშირის ინსტრუმენტები მდგრადი განვითარებისთვის; გარემოსდაცვითი სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში, სოციალური მენარმეობა და სხვა.

საგაზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები; იგი მულტიდისციპლინარულია - თემატიკა თანაბრად მნიშვნელოვანი და აქტუალურია განსხვავებული პროგრამის სტუდენტებისთვის. მონაწილეებისთვის მოწვეულნი იყვნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორები და დარგის აღიარებული ლიდერები (იხ. პროგრამა). საგაზაფხულო სკოლისთვის შეირჩა 150 მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი; შერჩევისას უპირატესობა მიენიჭა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს და სხვადასხვა ღონისძიებებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით აქტიურად ჩართულ სტუდენტებს.

საგაზაფხულო სკოლა 2025, რომელიც მოიცავდა 34 სალექციო საათს (მ.შ. 8 სთ. ონლაინ და 26 სთ. ადგილზე დასწრებით), 7 დღის მანძილზე გაგრძელდა და 2025 წლის 8 მაისს დაიხურა.

საგაზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა 140 საბაკალავრო და 10 სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი; მათ შორის, 21 სტუდენტი (მონაწილეთა 14%) - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის, 68 სტუდენტი (მონაწილეთა 45,3%) ბიზნესის ადმინისტრირების პროგ-

რამის, 21 სტუდენტი (მონაწილეთა 19,3%) - ეკონომიკის პროგრამის 28 სტუდენტი (მონაწილეთა 18,7%) - პუმანიტარულ მეცნიერებათა, 9 სტუდენტი (მონაწილეთა 6%) - სამართლისა და დიპლომატიის, 2 სტუდენტი - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან; მონაწილე სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 28,7% (43 სტუდენტი) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონეა.

სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიებას ესწრებოდნენ სუხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე, პროექტის კოორდინატორი, პროფესორი ლარისა თაკალანძე, პროექტის თანაორგანიზატორი, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, დავით ზაქარია. დაჯილდოების წინ, რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ ვრცლად ისაუბრა ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, ევროკავშირის როლზე, განათლებისა და საკუთრივ, ჟან მონეს მოდულის და სხვა აქტივობების მნიშვნელობაზე, ასევე, ზოგადად, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობაზე და სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. რექტორმა წარმატებები უსურვა ახალგაზრდებს სწავლაში და სამომავლო საქმიანობაში.

ღონისძიების დახურვისას მონაწილე სტუდენტებმა თავიანთი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გააჟღერეს (იხ. <https://tinyurl.com/yuvknzt8>).

SPRING SCHOOL 2025 WITHIN THE FRAMEWORKS OF THE JEAN MONNET MODULE CSREU

On April 30, 2025, the Spring School „Corporate Social Responsibility in the Context of EU-Georgia Relations“ was opened at Sokhumi State University within the framework of the Jean Monnet Module, which is supported by the ERASMUS+ program (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-SCH). The Spring School 2025 was opened by the Coordinator of the Jean Monnet Module, Professor Larisa Takalandze; The event was attended and the participants were welcomed by the Rector of Sokhumi State University, Professor Zurab Khonelidze, the Speaker of the Representative Council, Associate Professor Nino Topuridze, the Head of Administration, Professor David Jalagonia, the Head of the SSU Quality Assurance Service, Associate Professor Romeo Galdava, and the Head of the Department of International Relations and Intercultural Relations, Associate Professor Indira Dzaganian.

The Spring School aimed to raise students' awareness of Corporate Social Responsibility, the EU's experience in this area, and to increase knowledge on such important issues as modern trends and expected results of Georgia's integration

into the EU, EU instruments for Sustainable Development, Environmental Social Responsibility in the EU, Social Entrepreneurship, and others.

The Spring School was attended by students of both bachelor's and master's programs of Sukhumi State University; it is multidisciplinary - the topics are equally important and relevant for students of different programs. Both Georgian and foreign professors and recognized leaders in the field were invited to participate. 150 students with high academic performance were selected for the Spring School; during the selection, preference was given to internally displaced persons (IDP), as well as young people living in the occupied territories of Georgia, and students actively involved in various events on behalf of Sukhumi State University.

Spring School 2025, which included 34 lecture hours (including 8 hours online and 26 hours in-person), lasted 7 days and closed on May 8, 2025.

140 undergraduate and 10 graduate students participated in the Spring School; including 21 students (14% of participants) from the Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy, 68 students (45.3% of participants) from the Business Administration Program, 21 students (19.3%) from the Economics Program, 28 students (18.7%) from the Faculty of Humanities, 9 students (6%) from the Faculty of Law and Diplomacy, 2 students from the Faculty of Educational Sciences; 28.7% (43 students) of the total number of participating students have the status of IDP.

The certificate presentation ceremony was attended by the Rector of Sukhumi State University Zurab Khonelidze, the Project Coordinator, Professor Larisa Takalandze, and the Project Co-Organizer, Associate Professor of the Faculty of Business and Social Sciences, David Zakaraia. Before the award ceremony, the Rector, Professor Zurab Khonelidze spoke at length about the challenges facing the country, the role of the European Union, the importance of Education and, in particular, the Jean Monnet Module and other activities, as well as, in general, the involvement of young people in the process of building a democratic and legal state and the need to form the right worldview. The Rector wished the young people success in their studies and future activities.

At the closing of the event, participating students expressed their impressions and opinions (See <https://tinyurl.com/ydmtwhf9>)

საზაფხულო სკოლა 2025 „ევროკავშირი, მშვიდობა და საქართველო“ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში EUPEACE

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2025 წლის 2 ივნისს გაიხსნა საზაფხულო სკოლა „ევროკავშირი, მშვიდობა და საქართველო“ ჟან მონეს მოდულის ფარგ-

ლებში, რომელიც მხარდაჭერილია ERASMUS+ პროგრამის მიერ (ERASMUS-JMO-2024-HEI-TCH-RSCH-EUPEACE, project N101175481). საზაფხულო სკოლა 2025 გახსნა ჟან მონეს მოდულის კოორდინატორმა, პროფესორმა ლარისა თაკალანძემ; ღონისძიებას ესწრებოდნენ და მონაწილეებს მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე და სამშვიდობო განათლების ცენტრის დირექტორი ლევან გერაძე.

საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა სტუდენტთა ცნობიერების გაზრდას ევროკავშირის შესახებ, ცოდნის ამაღლებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ევროკავშირის სამშვიდობო მისია, ევროკავშირის კონფლიქტის მენეჯმენტი და მედიაცია საქართველოში, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, უმაღლესი განათლების გავლენა მშვიდობის მშენებლობაზე და კონფლიქტის მოგვარებაზე, უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მოგვარების საკითხები საქართველოში და სხვა.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები; იგი მულტიდისციპლინარულია - თემატიკა თანაბრად მნიშვნელოვანი და აქტუალურია განსხვავებული პროგრამის სტუდენტებისთვის. მონაწილეებისთვის მოწვეულნი იყვნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორები და დარგის აღიარებული ლიდერები. საზაფხულო სკოლისთვის შეირჩა 150 მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი; შერჩევისას უპირატესობა მიენიჭა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს და სხვადასხვა ღონისძიებებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით აქტიურად ჩართულ სტუდენტებს.

საზაფხულო სკოლა 2025, რომელიც მოიცავდა 32 სალექციო საათს (მ.შ. 2 სთ. ონლაინ და 30 სთ. ადგილზე დასწრებით), 8 დღის მანძილზე გაგრძელდა და 2025 წლის 11 ივნისს დაიხურა.

საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა 134 საბაკალავრო და 16 სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი; მათ შორის, 17 სტუდენტი (მონაწილეობდა 11,3% საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტიდან, 76 სტუდენტი (მონაწილეთა 50,7%) ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის, 35 სტუდენტი (მონაწილეთა 23,3%) - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, 12 სტუდენტი (მონაწილეთა 8%) - სამართლისა და დიპლომატიის, 10 სტუდენტი (მონაწილეთა 6,7%) - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან; მონაწილე სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 20,7% (31 სტუდენტი) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონეა.

სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიებას ესწრებოდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე, პროექტის კოორდინატორი, პროფესორი ლარისა თაკალანძე და წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, ასოცირებული პროფესორი ნინო თოფურიძე. დაჯილდოების წინ, რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ ვრცლად ისაუბრა ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებზე, ევროკავშირის როლზე და სამშვიდობო განათლების ცენტრის საქმიანობაზე. დასასრულს რექტორმა, პროექტის კოორდინატორმა და სპიკერმა წარმატებები უსურვეს ახალგაზრდებს სწავლასა და სამომავლო საქმიანობაში.

ღონისძიების დახურვისას მონაწილე სტუდენტებმა თავიანთი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გააუღერეს (იხ. <https://shorturl.at/UHAnY>).

SUMMER SCHOOL 2025 "EUROPEAN UNION, PEACE AND GEORGIA" WITHIN THE FRAMEWORK OF THE JEAN MONNET MODULE EUPEACE

On June 2, 2025, the Summer School „European Union, Peace and Georgia“ was opened at Sokhumi State University within the framework of the Jean Monnet Module, supported by the ERASMUS+ Program (ERASMUS-JMO-2024-HEI-TCH-RSCH-EUPEACE, project N101175481). The Summer School 2025 was opened by the Manager of the Jean Monnet Module, Professor Larisa Takalandze; the event was attended and welcomed by the Rector of Sokhumi State University, Professor Zurab Khonelidze, and the Director of the Peace Education Center, Levan Geradze.

The Summer School aimed to raise students' awareness of the European Union, enhance their knowledge on important issues such as the EU Peacekeeping mission, EU conflict management and mediation in Georgia, EU enlargement policy, Common Foreign and Security Policy, the impact of Higher Education on Peacebuilding and Conflict Resolution, security and conflict resolution issues in Georgia, and others.

The Summer School was attended by students of both bachelor's and master's programs of Sokhumi State University; it is multidisciplinary - the topics are equally important and relevant for students of different programs. Both Georgian and foreign professors and recognized leaders in the field were invited to participate. 150 students with high academic performance were selected for the Summer School; during the selection, preference was given to internally displaced persons, as well as young people living in the occupied territories of Georgia, and students actively involved in various events on behalf of Sokhumi State University.

Summer School 2025, which included 32 lecture hours (including 2 hours online and 30 hours in-person), lasted for 8 days and closed on June 11, 2025.

134 undergraduate and 16 graduate students participated in the Summer School; including 17 students (11.3% of participants) from the Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy, 76 students (50.7%) from the Business Administration program, 35 students (23.3%) from the Faculty of Humanities, 12 students (8%) from the Faculty of Law and Diplomacy, 10 students (6.7%) from the Faculty of Educational Sciences; 20.7% of the total number of participating students (31 students) have the status of IDP.

The ceremony of awarding certificates was attended by the Rector of Sokhumi State University, Professor Zurab Khonelidze, the Project Coordinator, Professor Larisa Takalandze, and the Speaker of the Representative Council, Associate Professor Nino Topuridze. Before the award ceremony, the Rector, Professor Zurab Khonelidze spoke at length about the challenges facing the country, the role of the European Union, and the activities of the Peace Education Center. In conclusion, the Rector, the Project Coordinator, and the Speaker wished the young people success in their studies and future endeavors.

At the end of the event, the students expressed their impressions and opinions. (See <https://shorturl.at/ZctFe>)

ახალი სასწავლო კურსი „მშვიდობის ქართული პარადიგმა და ევროკავშირის მშვიდობის მშენებლობა“ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში დაიწყო (გაზაფხულის სემინარი, 2024-2025 სასწავლო წელი)

2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დაიწყო ჟან მონეს მოდულით გათვალისწინებული „მშვიდობის ქართული პარადიგმა და ევროკავშირის მშვიდობის მშენებლობა“ ახალი სასწავლო კურსის სწავლება ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის (30 სააუდიტორიო/საკონტაქტო საათი, მ.შ. 15 სთ ლექცია, 15 სთ სემინარი, 2 სთ შუალედური გამოცდა, 3 სთ ფინალური გამოცდა). კურსი სავალდებულოა პოლიტიკის მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებისთვის და არჩევითია სხვა ნებისმიერი პროგრამის სტუდენტებისათვის. ლექციების ძირითად ნაწილს აღნიშნული პროექტის აკადემიური ლიდერი, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე კითხულობს; სასწავლო პროცესის წარმართვაში ასევე მონაწილეობენ ჟან მონეს პროფესორები ლ. თაკალანძე, ლ. მახაშვილი და სსუ სამშვიდობო განათლების ცენტრის მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი გ. ცაავა. სემინარულ მეცადინეობებზე მონეულია ამავე ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორანტი ლევან გერაძე. სასწავლო კურსზე დარეგისტრირდა 153 სტუდენტი უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამართლისა და

დიპლომატიის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციისა და ფაკულტეტებიდან. სტუდენტთა მთლიანი რაოდენობა დაიყო 2 სალექციო და 5 სასემინარო ჯგუფად.

ჟან მონეს მოდული EUPEACE ძირითადი მიზანია მშვიდობის მშენებლობის შესახებ სწავლების განვითარება, მშვიდობის ქართული პარადიგმა და ამ სფეროში ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ევროინტეგრაციის სფეროში სწავლების, კვლევებისა და დებატების მეშვეობით (იხ. <https://shorturl.at/RtdRf>).

A NEW TEACHING COURSE “GEORGIAN PEACE PARADIGM AND EU PEACEBUILDING” HAS BEEN LAUNCHED WITHIN THE FRAMEWORK OF THE JEAN MONNET MODULE (SPRING SEMESTER, 2024-2025 ACADEMIC YEAR)

In the Spring Semester of the 2024-2025 academic year, a new course „Georgian Peace Paradigm and EU Peacebuilding“ for undergraduate students (30 classroom/contact hours, including 15 hours of lectures, 15 hours of seminars, 2 hours of midterm exams, 3 hours of final exams) began to be taught

under the Jean Monnet Module. The Course is mandatory for students majoring in Political Science and optional for students of any other program. The main part of the lectures is given by the Academic Leader of the project, the Rector of the University, Professor Zurab Khonelidze; Jean Monnet Professors L. Takalandze, L. Makhashvili and Associate Professor G. Tsaava, researcher at the Peace Education Center at SSU, also participate in the teaching process. The Head of the same Center, doctoral student Levan Geradze, has been invited to the seminar classes. 153 students from the faculties of Business and Social Sciences, Humanities, Law and Diplomacy, and Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy of the University have registered for the Course. The total number of students was divided into 2 lecture and 5 seminar groups.

The general objective of the project is to improve quality of study programs at SSU in the field of PeaceBuilding and European integration. Introduction of the Module “Georgian Peace Paradigm and EU Peace building” will contribute to the training of students at SSU; it will acquaint them with the experience of Peacebuilding in the EU. The object of studying is Georgian Peace Paradigm and EU capabilities for peace building and conflict prevention. (See <https://shorturl.at/4nz73>)

შურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ შურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ უკვე 2020 წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზებში: **ERIH PLUS** და **Google Scholar**, აგრეთვე რამდენიმე სხვა ბაზაში (იხ. საიტის მთავარი გვერდი ojs.b-k.ge-ზე).

შურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევეს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და გააგრძელებს ამ ტრადიციას.

შურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომენდაციები.

შურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და განვლით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით**. მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა იყოს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალთა** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **7 გვერდზე** ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს **20 გვერდს**. მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული და უცხოურ ენაზე ტექსტი - შრიფტით **syfaen**, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - **Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საშურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, შურნალის დასახელება, წელი, შურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (შურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამოწვევის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია - შურნალში სტატიის გამოქვეყნების საფასურია **150 (ასორმოცდაათი) ლარი**. ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია შურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის შურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: <http://ojs.b-k.ge>; <http://b-k.ge/>.

სტატიები გამოაგზავნეთ მისამართზე: yuripapaskua.b.k@gmail.com

ან მოგვანოდეთ რედაქციაში ნაბეჭდი სახით, ელვერსიასთან ერთად.

შურნალის რედაქცია

ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS!

We think it is interesting for you to inform that the journal “Business and Legislation” has been published since December 2020 with an international scientific-analytical status and is indexed in the international search databases: **ERIH PLUS** and **Google Scholar**, as well as in several other databases (see the main page of the site at ojs.b-k.ge).

Over the years, the journal has been a reliable partner for business circles, an experienced guide in the field of business, a kind guide in the labyrinths of legislative acts, a selfless servant for the academic field and will continue this tradition.

The journal is open to all interested parties. It is possible to publish articles in Georgian, English, German and Russian languages on topical issues of business administration and management, economic and social policy. Reviews of published monographs and manuals, as well as comments, clarifications, notes and recommendations for improvement on legislative acts are accepted.

Regarding the new status of the journal, we remind you of the rules for publishing a scientific article and provide you with additional requirements:

- The scientific article should be presented in **A4 format**. The volume, including the list of used literature and the abstract, should not be less than **7 pages** of typed text on the computer **with 1.5 spacing and 11 font size and should not exceed 20 pages**. It should outline the relevance of the research problem, research goals and objectives, research methodology, research results (newness), recommendations.

- The paper written in Georgian must be accompanied by abstracts in Georgian and English - up to 1000 marks each. For those written in a foreign language - main content on 2-3 pages in Georgian and abstract in the same foreign language.

- It is necessary to submit the article to the editors as a printed copy, together with the version (Georgian and foreign language text - **Asylfaen font**, and foreign language text - **Times New Roman**). Below the title of the article (on the right side) should be indicated the full name, surname, academic degree, position, telephone and e-mail address of the author (or authors).

- The article should show the use of important literature related to the research problem. The name of the literature should be placed at the end of the article in the form of a single list: a) the name of the book in the following order - surname and initials of the author (authors), name of the book, place of publication, publishing house, year; b) for a journal article - surname and initials of the author(s), title of the article, title of the journal, year, number of the journal. The source indicated in the bibliography should be used in the text of the article. When quoting from the work of this or that author, he should indicate the source by indicating the appropriate page in the following way [3, p. 41], where the first digit corresponds to the serial number of the quoted source in the list of used literature, and the second - to the page from which the quotation is given. The bibliographic description of each book (journal) in the bibliography should correspond to its title page.

- Basically, in the text, tables, graphs and charts should be placed in the place of their reference, if there is not enough space - maybe on the next page. Tables, graphs and charts should have a title and numbering.

The scientific article submitted for publication is reviewed by a specialist reviewer in the field (the identity of the reviewer will not be known to the author, nor will the reviewer be informed of the identity of the author/authors).

With a separate exception, publishing an article is paid - the fee for publishing an article in a journal is **150 (fifty) GEL**. The settlement report is indicated in the journal.

If these requirements are not met, the article will not be published and will not be returned to the author.

At least 2 issues of the journal are published per year, distributed electronically and available to any user at the address: **<http://Ojs.b-k.ge>; <http://b-k.ge/>**.

Send the articles to the address: yuripapaskua.b.k@gmail.com, or submit them to the editorial office in printed form, together with the version.

JOURNAL EDITORIAL

ბიზნესი კანონმდებლობა



Business & Law

გეგმვის რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

TECHNICAL EDITOR: LEVAN BOCHORISHVILI

რედაქციის მისამართი:

თბილისი, გლდანი, ნიკო კეცხოველის 24, ბ.61
ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27
www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:

Tbilisi, Gldani, Niko Ketskhoveli 24, f.61.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700;
ს/კ 404956455.

BANK DETAILS:

JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455